

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

***2424**

მიმართვა
იენასკოს

A12



თბილისის ჯაზ ფესტივალის წარმომადგენელი

A11



ძიუდო შინაა

A13



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



მთავარია, არსებობდას ბარანტი, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად არ შეიცვლება

6 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის და საზოგადოების სამსჯავროზე ეკონომიკური თავისუფლების აქტი გამოიტანა. მთავრობის მიერ მომზადებული ახალი ინიციატივების თანახმად, მთლიან შიდა პროდუქტთან სახელმწიფო ხარჯების, საგარეო ვალის და ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს. ეკონომიკური სტიმულირების ახალი პაკეტის თანახმად, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ მშპ-სთან სახელმწიფო ხარჯების შეფარდება 30 პროცენტს არ აღემატებოდეს. ამავდროს, საბიუჯეტო დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტის 3 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს, სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან კი 60 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. პრეზიდენტის ინიციატივით, ახალი გადასახადის შემოღება და საგადასახადო განაკვეთის გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გზით უნდა ხდებოდეს. ეკონომიკური თავისუფლების აქტი კრძალავს უკვე არსებული ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობის გაზრდას და ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო კანონით უნდა აიკრ-



ძალოს ბანკებში სახელმწიფო წილების არსებობა, ვალუტის თავისუფალი კონვერტაციის შეზღუდვა და გარანტირებული უნდა იყოს ფასების დადგენაში სახელმწიფოს ჩაურევლობა. მთავრობა შესაბამის კანონპროექტებს პარლამენტს ოქტომბრის

ბოლომდე წარუდგენს. დღეს 24 საათი მთავრობის ახალი ეკონომიკური ინიციატივების განხილვის მიზნით მრგვალ მაგიდასთან მსხალი ეკონომიკური სკოლა - საქართველოს ვიცე-პრეზიდენტ გია ჯანდიერს, ბიზნესმენ ნოდარ

ჩინჩალაძეს, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, ეკონომისტ აკაკი ცომაიას და ჩვენს ყოფილ კოლეგა სოსო სიმონიშვილს მასპინძლობს.

ბარანტი A4 გვერდი

კლინტონის სახმადგომო ვიზიტი რუსეთში

დათო გაიხონია

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს რუსეთში მასპინძლობდნენ. ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრთან, შემდეგ კი რუსეთის პრეზიდენტთან გამართულ მოლაპარაკებებზე პრიორიტეტული საკითხები იყო ამერიკელი რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის კონფიდურაცია, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირება, ირანის ბირთვული პროგრამა, ავღანეთი და ჩრდილოეთ კორეა. სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ მხარეები იმ საკითხებზე აკეთებენ აქცენტებს, რომლებშიც შესაძლებელია აშშ-სა და რუსეთის პოზიციები დაემთხვეს. თუმცა, მან განმარტა, რომ ორ ქვეყანას შორის რიგ შემთხვევებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა საქართველოა. მშე ვარკვევით ვთქვი, რომ ჩვენ არ ვცნობთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას - აღნიშნა ჰილარი კლინტონმა.

ბარანტი A3 გვერდი



ანტიქართული პროკაბანდის ახალი აბსურდი

ნათია მსხილაძე

რუსულმა მედიამ, კრემლის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურზე დაყრდნობით, მორიგი ანტიქართული პროკაბანდა დაიწყო. რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახური საქართველოს ტერორისტების დახმარებაში ადანაშაულებს. რუსეთის ბრალდებას კი ოფიციალური თბილისი აბსურდულს უწოდებს.

“რია ნოვოსტის” ინფორმაციით, გუშინ რუსეთის კონტრტერორიზმის კომიტეტის სხდომაზე ფედერალური უშიშროების სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ბორტნიკოვმა განაცხადა, რომ საქართველოს სპეცსამსახურები “ალ კაიდას” ემისრებს ჩეჩნეთსა და დაღესტანში იარაღის გადანაწილებას ეხმარებიან. მებრძოლებთან აღმოჩენილი აუდიომასალა მონაწილეს, რომ მათ, მალ კაიდას ემისრებთან ერთად, კონტაქტები დაამყარეს საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან, რომელთა მონაწილეობითაც განხორციელდა ტერორისტების მომზადება და ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასროლა. გარდა ამისა, ისინი მუდმივად

აზორციელებენ იარაღის, ასაფეთქებლების, ფინანსების მიწოდების მცდელობებს დაღესტნის მაღალი საფრთხის ობიექტებზე, პირველ რიგში კი ნავთობ და გაზსადენებზე დივერსიების მოსაწყობად - აცხადებს ალექსანდრე ბორტნიკოვი.

“ფე-ეს-ბეი-ს მონაცემებით, ივლისის დასაწყისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში 19 ტერორისტული აქტია აღკვეთილი, ხოლო წლის დასაწყისიდან - ორმოცდახუთი. ამავე პერიოდში აღკვეთილია 178 ბანდიტის საქმიანობა. მათ შორის არის ალყორის მკვიდრი დოქტორი მუჰამედი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მალ კაიდას გამოაგზავნა, რათა დაღესტანში ტერორისტული საქმიანობის კოორდინაცია მოახდინოს; დაჯგუფებების ხელმძღვანელები მუსტაფაევი, მანსუროვი, ბარტიხოვი, კამალუტდინოვი, ე.წ. ყაბარდო-ბალყარეთის ჯამაათის ემირი დოტკალოვი და ჯაპუევი; ასევე, დაღესტნის იატაქეშეთის ბანდის შარიათის სასამართლოს ხელმძღვანელი სააღლაგევი - განაცხადა ფედერალური უშიშროების სამსახურის უფროსმა.

კრემლის ზემოაღნიშნულ მიერ ბრალდებას ქართულმა მხარემ აბსურდული უწოდა და აღნიშნა, რომ ამ ანტიქართული პროკაბან-

დით რუსეთი საქართველოს მიმართ მორიგ პროვოკაციას აწყობს. მოსკოვი საქართველოსგან მუდმივი მტრის ხატის შექმნას ცდილობს და ამ გზით იმ პრობლემების ახსნას და გამართლებას აპირებს, რომელიც მას ჩრდილოეთ კავკასიაში შეექმნა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე წუხს, რომ რუსი მაღალჩინოსნების გონივრული განვითარება 10 წლის წინანდელ პერიოდს ვერ გასცდა.

როგორც ჟურნალისტიკის ბაქრაძემ რუსეთის მორიგი ბრალდებების გამო განუცხადა, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები საქართველოს მხოლოდ ორ რეგიონში დე ფაქტო აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არიან და რუსეთის მორიგ ბრალდებები მსხურდული ტყუილია. მწუხვარ, რომ რუსი მაღალჩინოსნების გონივრული განვითარება 10 წლის წინანდელ პერიოდს ვერ გასცდა და მათი რიტორიკა გასული წლების იდენტური დარჩა - განაცხადა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის მსგავსად, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ “აბსურდული” უწოდა რუსეთის მიერ საქართველოს დადანაშაულებას “ალ კაიდას” ემისრების დახმარებაში. ეს სრული აბსურდია. საქართველს

მხრიდან არანაირი მალ კაიდას დახმარება არ ხორციელდება და არც შეიძლება ეს მოხდეს. ჩვენს საერთაშორისოდ აღიარებულ ყველა ნორმას ვიცავთ - განუცხადა დავითაიამ ჟურნალისტიკებს.

ქართველ ექსპერტთა შეფასებით კი, მოსკოვს სურს, შექმნას პორტრეტი, თითქოს საქართველოში მყოფი ამერიკელი ინსტრუქტორები ცდიან მებრძოლებს, რომლებიც შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში იგზავნებიან. ეს მხოლოდ რუსეთის მორიგი ანტიქართული კამპანიაა და საქართველოს “ალ კაიდას” ემისრების დახმარებასთან რელიურად კავშირი არა აქვს. მრუსეთის სურს, რომ საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით უკანონო ქმედებებში მუდმივად ეჭვმიტანილი იყოს. მალ კაიდას ემისრების დახმარებაში თბილისის დადანაშაულებაც ამ სქემში ჯდება და ბუნებრივია, ისიც პირატექნოლოგიის ნაწილს წარმოადგენს. მართალია, იმას არავინ გაგვიგებს, მართლა ეხმარება თუ არა საქართველომ ალ კაიდას ემისრებს, მაგრამ მოსკოვისთვის მთავარია, საქართველოს მიმართ ასეთი განწყობა მუდმივად იყოს შენარჩუნებული - აღნიშნა კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტმა მამუკა არეშიძემ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის

ბაკონტროლებისთვის ბრძოლა ბრძოლა

თამარ ივანიძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება კვლავ აქტიური განხილვის საგანად რჩება. გუშინ ამ თემაზე პარლამენტის თავმჯდომარესთან საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გია ჭანტურია და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე ესწრებოდნენ. შეხვედრაში საპარლამენტო ოპოზიციიდან ლევან ვეფხვაძე, ჯონდი ბალათურია და გურამ ჩახვაძე მონაწილეობდნენ. არასაპარლამენტო ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლები ამ ეტაპზე დავით ბაქრაძესთან გამართულ კონსულტაციებში წარმოდგენილი არ ყოფილან. შეხვედრიდან გამოსულმა პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტიკებს

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს წევრობის ვაკანტურ ადგილებზე უახლოეს დღეებში კონკურსი გამოცხადდება.

“უახლოეს დღეებში გამოცხადდება კონკურსი და დაინიშნება მაუწყებლის საბჭოს დაკომპლექტება. დაკომპლექტების პროცესში კანდიდატების ნომინირების უფლება მიეცემათ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც უკვე გამოხატეს ინტერესი და მიიღეს მონაწი-

ლეობა პოლიტიკურ კონსულტაციებში. ამასთან, გადამწყვეტი მე-15 ხმის უფლება მიეცემათ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამოქალაქო სექტორს, ჩვენ მათგანაც დაველიტობით ნომინირებულ კანდიდატურებს,” - განაცხადა გუშინ დავით ბაქრაძემ.

ცნობისათვის - პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივით, პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომლის საფუძველზეც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა 15 წევრამდე გაიზარდა. პრეზიდენტის შეთავაზებაა, მაუწყებლის საბჭოს ახლებურად დაკომპლექტება პარიტეტული სქემით - 7+7+1 მოხდეს. ხელისუფლებაში ამტკიცებენ, რომ ეს ფორმულა ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მიერ ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევს და მაუწყებლის საბჭოში პოლიტიკურ ბალანსს უზრუნველყოფს.

ცნობისათვის - “ქრისტიან-დემოკრატთა” მიერ არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის გაკეთებულ შეთავაზებას - ერთად დაეკომპლექტებიანთ “საკუთარი კვოტა” ან მთლიანად არასამთავრობო სექტორისთვის დავით ბაქრაძესთან ერთად, არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან განსაკუთრებული აქტიურობა არ მოჰყოლია. მქრისტიან-დემოკრატებთან შეხვედრაზე წამყვანი არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალები საერთოდ არ მივიდნენ, ზოგიერთმა კი, მაგალითად, კონსერვატორებმა, ჟურნალისტიკებთან საუბრისას ამ მიმართულებით აქტიურობისკენ არასამთავრობებს მოუწოდეს.

პროცესში ჩართვის სურვილი ასევე გამოთქვეს მმედია-კლუბის წარმომადგენლებმა,

რომლებიც NDI-ში გამართულ (ზემოთ ხსენებულ) შეხვედრას ესწრებოდნენ, თუმცა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრობაზე კონკრეტული კანდიდატურები ჯერჯერობით არ წამოუყენებიათ.

პოლიტიკური პარტიების პასიურობის გამო გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი. “სამწუხაროა, რომ ხშირად აქვს ადგილი არათანმიმდევრულ მიდგომას ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან. თუ ვინმეს აქვს რაიმე პრეტენზია ან ვინმე უკმაყოფილოა პირველი არხის მუშაობით, ამ პრობლემის მოსახსნელად ყველაზე კარგი გზა იმ შეთავაზების მიღებაა, რომელიც პარლამენტში პრეზიდენტის მხრიდან ითქვა. ყველაზე კარგი გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად დაბლანსებული სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაა,” - აცხადებს დავით ბაქრაძე.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ოპოზიციისადმი მათი შეთავაზებაც სწორედ დაბლანსებული სამეურვეო საბჭოს შექმნას გულისხმობს.

“რაც ჩვენ შეთავაზეთ ოპოზიციას, ეს სწორედ დაბლანსებული სამეურვეო საბჭოს შექმნაა, სადაც შვიდი ადამიანის ნომინირების უფლება უმარჯველობას ექნება, შვიდის - ოპოზიციას, ხოლო გადაწყვეტილების ნომინირების უფლება - სამოქალაქო სექტორს. ეს სქემა იძლევა იმის გარანტიას, რომ სამეურვეო საბჭო დაბლანსებული იქნება,” - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საინტერესოა, რომ გუშინ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ განმარტებული სიახლეებიდან ერთ-ერთი შეიძლება სა-

ზოგადოების წარმომადგენელთა მოთხოვნაზე პასუხად ჩაითვალოს, კერძოდ - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, ახლო მომავალში ჩამოყალიბდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციები გაიზრდება.

“მაუწყებლის ბრძინის დაკომპლექტებისა და მასში ოპოზიციური პარტიების მსყვანის პარალელურად, დაინიშნება მუშაობა ბორდის ფუნქციების გაზრდაზე. ახლო მომავალში შევჯერდებით იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლითაც მაუწყებლის საბჭოს ფუნქციები გაიზრდება. საბჭო არა მარტო შემადგენლობის მიხედვით შეიცვლება, არამედ მას ფუნქციებიც გაზრდება,” - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ამასთან, გუშინ მშეორე არხის მომავალზეც გაკეთდა კომენტარი. გუშინ ცნობილი გახდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა, დაახლოებით, ორ კვირაში მშეორე არხის შესახებ კონკრეტულ გეგმას წარმოადგენს.

“დაახლოებით ორ კვირაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა წარმოადგენს კონკრეტულად განვირდ გეგმას, როგორ მოხდება მშეორე არხის ამუშავება. ამ გეგმის საფუძველზე უახლოეს პერიოდში მშეორე არხი თეორში გავა როგორც პოლიტიკური არხი - აღნიშნა გუშინ დავით ბაქრაძემ.

აშშ-ს ახალი ელჩი თბილისშია

გუშინ საღამოს აშშ-ს ახალი ელჩი ჯონ ბასი თბილისში ჩამოვიდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მას ამერიკის საელჩოს თანამშრომლები დახვდნენ. ჯონ ბასმა პირველი განცხადება ქართულ ენაზე გააკეთა და იმის გამო მოიბოდიშა, რომ ქართული კარგად არ იცის.

ჯონ ბასის განცხადებით, იგი მოხარულია, რომ საქართველოში პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციას წარმოადგენს.

ახალმა ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრის და მათთვის თავისი გეგმების გაცნობის საშუალება ექნება. მისი თქმით, ეს მას შემდეგ მოხდება, რაც პრეზიდენტ სააკაშვილს რწმუნებათა სიგელს გადასცემს.

“თქვენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობთ საქართველოში დემოკრატიის განვითარებაში. დამოუკიდებელი მედია დემოკრატიული ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, თქვენთან და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ძალიან კარგი შეხვედრები და მჭიდრო ურთიერთობები შექნება”, - განაცხადა ჯონ ბასმა.

მისივე თქმით, იგი ქვეყნის ოფიციალურ პირებთან შეხვედრას მიმდინარე კვირიდან დაიწყებს. ელჩის განმარტებით, შეხვედრები პროტოკოლის ფარგლებში დადგენილი წესის მიხედვით შედგება.

საქართველოში ახალი ელჩის დანიშვნის შესახებ 20 ივნისს გახდა ცნობილი. ამერიკული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი თბილისში, 2008 წლის ივლისიდან ერაყში ბალდდის აღდგენაზე მომუშავე სამთავრობო ჯგუფს ხელმძღვანელობდა. აშშ-ს საგარეო უწყებაში ბასი რუსეთთან და ნატოსთან ურთიერთობებს კურირებდა და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში აშშ-ს ელჩის თანამდებობა ჯონ ტეფტს ეკავა, რომელმაც თბილისი მიმდინარე წლის 8 სექტემბერს დატოვა.

გიორგი ბარამიძე უკრაინაში გაემგზავრა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე უკრაინაში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა.

მინისტრის აპარატის ცნობით, 14-16 ოქტომბერს, ლვოვში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის როუს-როუსის სემინარი გაიმართება, სადაც ვიცე პრემიერ-მინისტრი ნატოს წევრი ქვეყნებისა და უკრაინის პარლამენტარებს სიტყვით მიმართავს.

ბარამიძე საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივებზე, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის და ამ მიზნით საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მოქმედებების მნიშვნელობაზე ისაუბრებს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ვიცე პრემიერ-მინისტრის შეხვედრები უკრაინის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა მინისტრებთან. შეხვედრებზე განიხილავენ საქართველოსა და უკრაინის შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს, ასევე იმსჯელებენ ორი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის პროცესისა და არსებული საფრთხეების თავიდან აცილებისათვის ერთობლივი მოქმედების შესახებ.

უკრაინელი საზოგადოებისთვის საქართველოს შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, დაგეგმილია გიორგი ბარამიძის პირდაპირი გამოსვლები რამდენიმე უკრაინულ ტელეარხზე და ინტერვიუები ბეჭდვით მედიაში.



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ღრმად მზუნდრებით ითხოვს, რომ გარდაიცვალა თანამედროვე კინოხელოვნების ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ქართველი კინორეჟისორი,

მიხეილ კალატოზიშვილი

და სამიწმარს უცხადებს განსვენების ოჯახს. 2009 წლის 15 ოქტომბერს, 14 საათზე სამების საკათედრო ტაძარში აღევლინება მიხეილ კალატოზიშვილის სულის მოსახსენებელი პარაკლისი.

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "მეკ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა შიშაბაძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მხარველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ქალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ლავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი) სოფიო კილაშონია (რევიუ), ვახა ფაშუაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკა: თამარ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგივ ქირია, ნინო ყავლაშვილი რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

კლინტონის სახელმწიფო ვიზიტი რუსეთში

პირველი ვიზიტი

მოსკოვში გვიან ღამით ჩასული ჰილარი კლინტონმა დილით პირველი შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან გამართა. მადრიდში შეხვედრის შედეგად მოსკოვსა და ვაშინგტონს ბევრი განსახილველი საკითხი დაუგროვდა. ჰილარი კლინტონმა რუსეთში ვიზიტის დროს კოლეგას, პირველ რიგში, ირანის ბირთვული ამბიციების წინააღმდეგ მიმართული ერთობლივი ნაბიჯების განხილვა შესთავაზა. აგრეთვე, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამის მიმართ რუსეთის პოზიციას გაეცნო. კლინტონს სურდა, ლავროვისა და მედვედევისგან მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ, გამოიყენებს თუ არა რუსეთი ირანის წინააღმდეგ ზენოლის კონკრეტულ მეთოდებს. ჯერ კიდევ მოსკოვში ვიზიტამდე კლინტონი აცხადებდა, რომ მსოფლიო უსასრულოდ არ დაელოდება ირანისგან მტკიცებულებებს, რომ იგი ბირთვული იარაღის შექმნას არ ცდილობს. მისი თქმით, 1 ოქტომბერს შენევაში გამართული "ექსპლუსი" მოლაპარაკება პროდუქტიული იყო, თუმცა მას კონსტრუქციული ქმედებები უნდა მოჰყვებოდა, რადგან მხოლოდ სიტყვები საკმარისი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ ირანი საბოლოოდ უგულვებელყოფდა მასზე დააკისრებულ ვალდებულებებს, რუსეთის ფედერაციამ აშშ-სა და მის მოკავშირეებს ირანის წინააღმდეგ მოქმედებაში მხარდაჭერა აღუთქვა. თუმცა, სახელმწიფო მდივანთან გამართული შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ რუსეთის აზრით, ირანის ატომურ პროგრამასთან მიმართებაში ჯერ არ არის ამონაწერი ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური მეთოდი. ლავროვის თქმით, მოსკოვი გაერო-ს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით სანქციების დაწესებას ეწინააღმდეგება. ჩვენ ძალიან თავშეკავებულად ვეკიდებ, თუმცა ვერაფერს ვუთქვამთ ეს ასე არ არის. ჰილარი კლინტონთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ ირანის საკითხზე არც ერთ მხარეს ერთმანეთისთვის არაფერი უთხოვია, რადგან ჩვენი პოზიციები დაემთხვა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ აქტიურად ცდილობს ირანის მიმართ სანქციების უკიდურესად გამკაცრებას, ლავროვთან შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო მდივანს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, შეთანხმდნენ თუ არა მხარეები ირანის წინააღმდეგ სანქციების საგანგებო მასშტაბით გამკაცრებაზე. გარდა ამისა, ობამას ადმინისტრაციამ ირანისთვის გააცნო კონცეფცია ირანისგან მომდინარე პირველი რანგის საფრთხეების შეფასების შესახებ. კლინტონმა აღნიშნა, რომ ჩვენ რუს

კოლეგებთან ვისაუბრეთ კონცეფციის თემაზე. ახლა კი ჩვენი ექსპერტები დეტალურად დააზუსტებენ და გვსურს ამ კუთხით თანამშრომლობის გაგრძელება. ამჯერად ლავროვმა აშშ-ს ინიციატივების შესახებ დეტალურად საუბრის საგან თავი შეიკავა. მრაც უფრო სწრაფად გავცნობთ ამ ახალ კონცეფციას, მით უფრო ცხადი გახდება ჩვენთვის, შეგვიძლია თუ არა ერთობლივად ჩამოვაყალიბოთ პროექტი, რომელიც არა მხოლოდ აშშ-სა და რუსეთის, არამედ ევროპელების გაერთიანებას შეძლებს - განაცხადა ლავროვმა.

რაც შეეხება სტრატეგიული განიარაღების საკითხს, აშშ-მ და რუსეთმა ამ კუთხით არსებით წინსვლას მიაღწიეს. კერძოდ, 1991 წელს დადებულ ბირთვული განიარაღების ხელშეკრულებას მსტარ 1-ს (ის აშშ-სა და რუსეთის ბირთვულ არსენალს ლიმიტს უწესებს) მიმდინარე წლის დეკემბერში მოქმედების ვადა ეწურება. შეერთებული შტატები და რუსეთი ცდილობენ, მანამდე მიაღწიონ ახალ შეთანხმებას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე მხარეებმა, ფაქტობრივად, შეაჯერეს პოზიციები. გარდა ამისა, ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების საკითხის გარშემო კონსენსუსის მიღწევას შეძლებენ. მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ კონსულტაციების ფარგლებში შეგვიძლია ურთიერთგაგების მიღწევა. მომავალი მუშაობის წესრიგი საშუალებას იძლევა, რომ გავერთიანოთ ჩვენი, ევროპის ქვეყნებისა და ასევე სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების ძალისხმევა, რათა ერთობლივად ვიმუშაოთ სიტუაციის ანალიზსა და მსოფლიოში რაკეტების გავრცელების რისკებზე. ამის პირობები ჩვენმა პრეზიდენტებმა ობამას ვიზიტის ფარგლებში 6 ივლისს მოსკოვში შეათანხმეს - განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის კონკრეტული სურვილების შესახებ მრია ნოვოსტისთვის მიცემულ ინტერვიუში ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაილ მარგელოვმა ისაუბრა. მან თავდაპირველად მაღალი შეფასება მისცა ვაშინგტონისა და მოსკოვის გრძელვადიან სტრატეგიულ თანამშრომლობას. შემდეგ კი დასძინა, რომ რუსეთმა უფრო ადრე შესთავაზა აშშ-ს საერთო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა, კერძოდ, მოსკოვს უნდა ამ სისტემაში არმახირსა (კრასნოდარის მხარე) და კაბალაში (აზერბაიჯანში) მდებარე რუსული რადიოლოკაციური სადგურების ჩართვა. მამგვარი საერთო საქმის დაწყება უპირობოდ შეცვლის ევროპის თავშეკავებულ დამოკიდებულებას დიპლომატიის მიმართ, რაც გულსხმობს საყოველთაო ევროპული უსაფრთხოების ერთობლივ უზრუნველყოფას. აგრეთვე, რა თქმა უნდა,

ნატო-რუსეთის ურთიერთობას საუკეთესო კუთხით მმართველს - განაცხადა მარგელოვმა.

რუსეთის მხარესთან გამართული მოლაპარაკებები სახელმწიფო მდივანმაც პროდუქტიულად შეაფასა. თუმცა რიგ საკითხებში ორ ქვეყნას შორის განსხვავებული პოზიციების არსებობა აღიარა. ჩვენ გვქონდა ყოველმხრივი, შედეგიანი მოლაპარაკებები. ეს მოჰყვა სამუშაოებს, რომელთა ხორცშესხმაც ჩვენ ბოლო თვეებში დავიწყეთ, რათა გარდაიქმნას ჩვენი ურთიერთობა, მივიღოთ საერთო პოზიციამდე, სადაც შესაძლებელია საერთო ინტერესების პატივისცემით მოქმედება. მაგრამ, ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ შორის არსებობს განსხვავება - განაცხადა კლინტონმა. მან აღნიშნა, რომ აშშ-სა და რუსეთს განზრახული აქვთ, ილაპარაკონ ამ განსხვავებებზე - ეს არის ჩვენი ურთიერთობის ახალი სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ საქართველოს შესახებ ვაშინგტონისა და მოსკოვის პოზიციები კვლავინდებურად განსხვავდება. მშე გარკვევით ვთქვი, რომ ჩვენ არ ვცნობთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. მაგრამ, ჩვენ რუსეთთან იმ საკითხებზე გავაგრძელებთ დიალოგს, რომლებშიც პოზიციების თანხვედრა გვაქვს - აღნიშნა კლინტონმა. საქართველოს მიმართ გატარებული რუსეთის პოლიტიკის გარდა, ბარაკ ობამას ადმინისტრაციისთვის მიუღებელია კრემლის დამოკიდებულება ქვეყნის შიგნით დემოკრატიული ფასეულობებისადმი. ლავროვთან შეხვედრის შემდეგ კლინტონმა მოსკოვში ამერიკის ელჩის რეზიდენციაში დიპლომატებთან, ჟურნალისტებთან და უფლებადამცველებთან გამართულ შეხვედრაზე რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ მოისმინა. განსაკუთრებული აქცენტები ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე გაკეთდა. ამავე დროს, შეხვედრაზე ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გაზეთ მკომერსანტიში გამოქვეყნებული სტატია იყო, სადაც ეწერა, რომ აშშ ხმამაღლა არ ისაუბრებს რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. თუმცა, ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ დემოკრატიის მთავარი პრინციპი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა და მისი უფლებების დაცვაა, ამერიკა კი ამ თემებზე გაჩუმებას არ აპირებს. სახელმწიფო მდივანმა მოიხონა რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივა ერთობლივი დიალოგის გამართვის შესახებ. მასში ოთხმა მხარემ უნდა მიიღოს მონაწილეობა - კერძოდ, ორმა ქვეყნის ხელისუფლებიდან და ორმა სამოქალაქო საზოგადოებიდან.

მოგვიანებით კი სახელმწიფო მდივანი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა. დიპლომატიის მდივანი მედვედევმა ჰილარი კლინტონი მოსკოვის გარეუბანში მდებარე ბარევის რეზიდენციაში მიი-

ლო. ამერიკელი სტუმარი მოსკოვური ოქტომბრით აღფრთოვანებული დარჩა. ძალიან სასიამოვნო, ულამაზესმა ოქროს შემოდგომამ ვიზიტს განსაკუთრებული ხარისხი შესძინა - აღნიშნავდა კლინტონი. შემდეგ კი მხარეებმა ამ ამალგებული განწყობით განიხილეს საერთაშორისო უსაფრთხოების თემები. როგორც სახელმწიფო მდივანმა მედვედევთან შეხვედრაზე განაცხადა, შეერთებული შტატები იმედოვნებს, რომ რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობა გაფართოვდება და გაღრმავდება. მისი აზრით, ამ კუთხით წინაპირობები უკვე შექმნილია. მინდა, კმაყოფილება გამოვხატო საქართველოს კომისიის მუშაობის დაწყების გამო, რაზეც პრეზიდენტები ობამა და მედვედევიც იმდენად შეთანხმდნენ - აღნიშნა კლინტონმა. გარდა ამისა, მხარეები აპირებენ 16 სამუშაო ჯგუფის შექმნას. მისი თქმით, კომისია სწორედ იმ თემებზე იმუშავებს, რაც ობამამ და მედვედევმა ივლისში შეთანხმეს. კერძოდ, კლინტონმა განმარტა, რომ ეს არის ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ბირთვული გაუფრთხილებლობა და სხვა. მნიშვნელოვანი საკითხების გადამწყვეტაში აშშ-მ და რუსეთმა ლიდერობის დემონსტრაცია უნდა მოახდინონ, რათა მთელ მსოფლიოს გაუჩნდეს სირთულეების მოგვარებაში თანამონაწილეობის სურვილი და ამ თანამშრომლობა შედეგები მოიტანოს.

ამავე პათოსით იყო განწყობილი სახელმწიფო მდივანთან შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტი. მისი თქმით, ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მაღალ დონეზე აღწევს. მან დასძინა, რომ მხარე ობამას ვიზიტის შემდეგ კომისიამ მრავალი მიმართულებით დაიწყო მუშაობა, ვიმედოვნებ, რომ თითოეული ეს სფერო დაინტერესებას გამოიწვევს. მისი თქმით, ორმხრივმა ურთიერთობებმა დამატებითი იმპულსები შეიძინა. მხოლოდ დროს განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის, პიცბურგში ჩატარებულმა სამიტმა და გაეროს გენერალური ასამბლეაზე გამართულმა შეხვედრებმა გამოაჩინა ჩვენი საერთო განწყობები ყველაზე აქტუალური საკითხების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ყველაზე რთული თემები ღიად და დაინტერესებით განვიხილეთ. მათ შორის, ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოგვარება, ირანი, ჩრდილოეთ კორეა და აგრეთვე სხვა საკითხები, რომელთაც დღეს დღეობით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საერთაშორისო ურთიერთობებში - აღნიშნა მედვედევმა.

პროტოკოლის მიხედვით, ჰილარი კლინტონი 15 ოქტომბერს უკვე ვაშინგტონში უნდა იმყოფებოდეს, მანამდე კი სახელმწიფო მდივანს რუსეთში ვიზიტის ფარგლებში ქალაქ ყაზანში ჩასვლა აქვს დაგეგმილი.

აშშ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლის დაშვებას მოითხოვს

სააგენტო "ინტერფაქსი" ცნობით, აშშ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვებას მოითხოვს.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მრჩევლის რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში მაიკლ მაკფოლის განცხადებით, საქართველოს საზღვრები რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში ამჟამად ყველაზე მწვავე საკითხია.

მაკფოლის თქმით, აუცილებელია საერთაშორისო დამკვირვებლების განლაგება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ნაწილად განიხილავს.

"ამ საკითხში ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის უთანხმოება ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს და უახლოეს მომავალში მისი გადაჭრის საშუალება არ ჩანს. თუმცა, არავალიდებულ მეთოდებში არ უნდა მოხდეს კავკასიაში ახალი დამპყრობლის ესკალაცია", - აღნიშნა მაიკლ მაკფოლმა.

საქართველოს საგარეო უწყების განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პაკისტანში განხორციელებული ტერორისტული აქტების თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა. საგარეო უწყება ტერორისტული აქტების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს სამიძიარს უცხადებს და იმედოვნებს, რომ ისინი იპოვიან საჭირო ძალასა და მხნეობას იმ ტყვილის დასაძლევად, რაც აღნიშნული ტრაგიკული მოვლენების შედეგად მიაღდათ.

"გასული კვირის განმავლობაში პაკისტანში ადგილი ჰქონდა ტერორისტული აქტების სერიას, რომლებმაც ათობით უდანაშაულო ადამიანისა და სამხედრო პირის სიცოცხლე შეინარა. აღნიშნულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტერორიზმი მთელს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაშე მდგარ უდიდეს საფრთხედ იქცა, როგორც ეს მკაფიოდ გაეროს 64-ე ასამბლეაზე დაფიქსირდა", - აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ ამ საფრთხის წინააღმდეგ თანმიმდევრული და გადამწყვეტი ბრძოლა, მის აღმოსავლეთულ მიმართული ძალისხმევის მხარდაჭერა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ვალდებულებაა.

"დარწმუნებულნი ვართ, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, პაკისტანის მთავრობა ძალისხმევას განამტკიცებს და ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვას მიაღწევს", - ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

კოკოთი სტუდენტს შეხვდა

ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე.წ. კომიტეტის ცნობით, მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოთი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. მან ნაიკითხა მოხსენება თემაზე - "რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობა, როგორც კავკასიაში სტაბილურობის ფაქტორი". შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელების ინიციატივით გაიმართა.

კოკოთიმ რუსულ-ოსურ ურთიერთობებზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებზე, საკადრო პოლიტიკაზე, აღდგენით სამუშაოებზე ისაუბრა. შემდეგ კი, სტუდენტების კითხვებს უპასუხა.

შეხვედრას რუსეთში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ელჩი დიმიტრი მედოვი, ე.წ. პრეზიდენტის მრჩეველები - ჟანა ზასევა და კონსტანტინე კორიევი, ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

პოლიტიკაზე ორიენტირებული მეორე არხი

მეორე არხი ორიენტირებული იქნება ყველა იმ პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, - ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გია ჭანტურიამ გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართული კონსულტაციების შემდეგ განაცხადა.

"მეორე არხთან დაკავშირებით უკვე დაიწყეთ მუშაობა. საგარეოდ, 2010 წლის დასაწყისიდან არხი მუშაობას დაიწყებს და პერიოდულად უფრო გამდიდრდება. იმედი გვაქვს, რომ უმოკლეს ხანში ამ არხს ვაქცევთ იმ არხად, რომელიც გამოადგება საზოგადოებას და ზუსტად ასახავს ყველა იმ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პროცესს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს", - აღნიშნა ჭანტურიამ.

მთავარია, არსებობდა ბარანტი, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად არ შეიცვლება

პირველი გვერდიდან



გიორგი გვახარია: რატომ უნდა ხარჯოს მთავრობამ იმაზე მეტი ვიდრე შემოსავალი აქვს? მთავარი მაინც ის არის, რომ მთავრობას აქვს მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა და ამ მცდარი პოლიტიკის გამართლებას დეფიციტის დაფინანსებით ცდილობს

«24 საათი»: ეკონომიკური თავისუფლების აქტის ზოგადი შეფასებით დავინწყით. რითი არის მნიშვნელოვანი პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივათა ეს პაკეტი?

გიორგი გვახარია: ეს, ჩემი აზრით, არ არის ეკონომიკური თავისუფლების აქტი. თავისი არსით უფრო ეკონომიკის სტაბილიზაციის აქტია. მისი მთავარი დანიშნულება ის არის, რომ ამ მთავრობისთვის და მომავალი მთავრობებისთვის არსებული ეკონომიკური კურსიდან გადახვევა გართულებდეს. ამ აქტის შესახებ ოპოზიციის მიერ გამოთქმული კრიტიკა მაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემთხვევაში დღევანდელი ბიზნესგარემო კიდევ უფრო გაუარესდება და ასეთი აქტის მიღებით მთავრობამ სწორი კურსი აირჩია. ვფიქრობ, მთავრობის ეს კურსი სწორია. მთავარია, არსებობდეს გარანტია, რომ არსებული ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად არ შეიცვლება. მენარმისა და ბიზნესმენებისთვის უფრო მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ გადასახადები არ გაიზრდება, ვიდრე ის, რომ გადასახადები დროის რაღაც მონაკვეთში დაბალი იქნება და შემდეგ ისევ გაიზრდება. ამ საკითხს ინვესტირებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერ ინვესტორს საქმის კეთება გრძელვადიან პერსპექტივაში აქვს გადაწყვეტილი. ბიზნესგარემო, რომელიც ხშირად იცვლება, მხოლოდ სარისკო ინვესტიციებს იზიდავს. ყაზახეთსა და რუსეთში საქართველოსთან შედარებით გაცილებით ცუდი პირობებია, მაგრამ ამ ქვეყნებში არსებული რისკების მიუხედავად, ინვესტორები იქ მაინც მიდიან. ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით ამ ქვეყნებს ვერ შევედრებით. იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველი იყოს, ინვესტირებას განსხვავებული პირობები უნდა შევთავაზოთ. ამ აქტით შემოთავაზებული ინიციატივები კი რეალური ინვესტირებისთვის შეიძლება ძალიან მიმზიდველი იყოს.

გარდა ამისა, ცივილიზებული სახელმწიფო იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პოლიტიკა გრძელვადიანია და წარამართ არ იცვლება. ჩვენ ცივილიზებული სახელმწიფო უნდა ჩამოვაყალიბოთ და ვალია რომ მნიშვნელოვანი ღირებულებები. რასაც ვალია რებით, შემდეგში მისი დანერგვა განხორციელდება. ეს ამერიკული გზაა. ამერიკელებმა 200-ზე მეტი წლის წინ შემოიღეს კონსტიტუცია, რომელმაც ღირებულებათა სისტემა შექმნა. ამ სისტემის დანერგვა ნებისმიერ ხელისუფლებას ძალიან უჭირს. ეს აქტი წინაპირობაა იმისთვის, რომ გარკვეულ ღირებულებათა სისტემა შექმნათ. ამ პაკეტში წარმოდგენილი ინიციატივებში ახალი და უცნაური არაფერია. სახელმწიფო ხარჯების მშპ-ს 30 პროცენტამდე შეზღუდვა ახალი ამბავი არ არის. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ თემაზე საუბრობდა, სოსო სიმონიშვილია.

სოსო სიმონიშვილი: ერთ მაგალითს მოვიყვან. გერმანიის კონსტიტუციაში არის საპენალური მუხლი. მის თანახმად აკრძალულია პარლამენტში ისეთი კანონპროექტის შეტანა და განხილვა, რომელიც შეიძლება მედიის თავისუფლებას დაემუქროს. საუბარი აღარ არის იმაზე, რომ ასეთი კანონის მიღება აკრძალულია. როცა კანონპროექტი პარლამენტში განსახილველად შედის, ჯერ მის დასაშვებობას განიხილავენ. თუ გაჩნდა ეჭვი, რომ შეიძლება ამ კანონპროექტმა მედიის თავისუფლება შეზღუდოს, მისი განხილვა აღარ ხდება. გერმანიაში ძალიან ბევრს ჰქონდა მცდელობა, რომ მედიის თავისუფლება შეეზღუდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

სწორედ ამ მაგალითმა მაფიქრებინა, რომ თუ კონსტიტუციით სახელმწიფო ხარჯების ნორმა დანერგება, ამან შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სტაბილიზაცია შეიტანოს. ამ გზით შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის გარანტირება აწმყობით და მომავალშიც. ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის. როცა საგადასახადო ტვირთი იზრდება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მცირდება და ქვეყანა ღარიბდება. გადასახადების გაზრდის ცდუნება კი მთავრობას ხშირად უჩნდება. იმისთვის, რომ ბუკეთილი საქმეები აკეთონ, ბიუჯეტში მცირე ფულის მოზიდავება საჭირო. ბევრი უფუნური საქციელი ძალიან კარგი და კეთილმოხილური მიზნებით არის ნაკარ-

ნახვევი. სახელმწიფო ხარჯების ნორმის დანერგვა კი ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარების გარანტიას ქმნის.

ნოდარ ჩინჩალაძე: ლიცენზიების, ნებართვებისა და მარეგულირებლების სახით რაც უფრო ცოტა ბარიერი იქნება, მით უკეთესი. ბევრი ბარიერი, რომელიც ადრე არსებობდა, გაუქმებულია. ეს ძალიან კარგია. შედეგად ბევრ ბიზნესმენს აქვს საშუალება, რომ საქმე აკეთოს.

«24 საათი»: რატომ უნდა იყოს მშპ-სთან მიმართებაში სახელმწიფო ხარჯები - 30, ბიუჯეტის დეფიციტი - 3, ხოლო სახელმწიფო ვალი 60 პროცენტით განსაზღვრული? საიდან მოდის ეს ნორმა?

აკაკი ცომაია: ეს ციფრები ნეოკლასიკოსების მიერ არის შემუშავებული. თუ მშპ-სთან მიმართებაში სახელმწიფო ხარჯები 30 პროცენტს არ აღემატება, მიჩნევა, რომ ეკონომიკური თავისუფლება დაცულია და ბიზნესის კეთების კარგი საშუალება არსებობს. სახელმწიფო ხარჯების 30 პროცენტამდე დაყვანა თავის დროზე რეივანული ეკონომიკის საფუძველიც იყო. ბიუჯეტის დეფიციტის 3-პროცენტის ნორმა მასტრისტის ხელშეკრულებიდან მოდის. 1991 წელს, როცა ევროკავშირი იქმნებოდა, ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს გარკვეული შეზღუდვები დაუწესეს. ერთ-ერთი ასეთი ბარიერი 3-პროცენტის ბიუჯეტის დეფიციტი იყო. ამ აქტში კიდევ 2 ციფრი თუ გამოჩნდება საპროცენტო განაკვეთების და ინფლაციის ტემპის შესახებ, ეს წინდად მასტრისტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნორმები იქნება, რომელთა მეშვეობითაც კონკრეტული ეკონომიკური გარემო და ეკონომიკაში მთავრობის ინტერვენციები გარკვეულ საზღვრებში მოექცევა.

«24 საათი»: არსებობს თუ არა ამ ნორმების კონსტიტუციაში ასახვის პრაქტიკა და რა დადებით შედეგს უნდა ველოდეთ აქედან?


აკაკი ცომაია: კონსტიტუციაში ასეთი ნორმების შეტანის პრაქტიკა რამდენად არსებობს, არ ვიცი. ამ საკითხზე კონსტიტუციონალისტებმა უნდა ისაუბრონ. მაგრამ, მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო კანონში ასეთი შეზღუდვების დანერგვას პოზიტიური შედეგი ექნება და შევეცდებით ამის ახსნას: საზოგადოების წინაშე ყოველთვის დგას არჩევანი ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ხარჯებს შორის. გაზრდილი სოციალური ხარჯები ეკონომიკურ ზრდას აფერხებს. ეს ქვეშეობიერება და ამაზე არავინ კამათობს. ნებისმიერი მთავრობა თავის წინასაარჩევნო დაპირებებს გარკვეული სოციალური პროგრამებით და ხარჯებით ახორციელებს, რომლებიც, ბუნებრივია, ეკონომიკურ ზრდას უპირისპირდება. როცა გადასახადებით მიღებული შემოსავალი სოციალურ ხარჯებს აღარ ჰყოფნის, გადასახადების გაზრდის საკითხი დგება. თუ მთავრობა გადასახადების გაზრდას ვერ შეუძლებს, მაშინ ისეთ უსინდისო მეთოდს მიმართავს, როგორც ვალის აღება.

ვალს, რომელსაც მთავრობა სოციალური ხარჯების დასაფარად იღებს, თა-

ვისი შინაარსით უფუნურია, რადგან ამ ვალის აღებას ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია. ვალის აღების სხვადასხვა შეფარვითი ტერმინები არსებობს და ისინი საზოგადოებაში კარგად იყიდება. შეიძლება მთავრობამ ვალი არ აიღოს და ფული დაბეჭდოს. დეფიციტის შევსების ერთ-ერთი წყარო სწორედ ემისიაა. ემისია ინფლაციას იწვევს და ადამიანი ინფლაციის დროს მომენტალურად ღარიბდება. მთავრობამ, შესაძლოა ფასიანი ქაღალდები გამოუშვას და ვალი მოსახლეობისგან აიღოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ფული ისეთ პროექტებში უნდა დააბანდოს, რომლებიც მომავალში მოგებას მოიტანს. ეს კი აბსურდია. რადგან, როგორც წესი, კარგ ეკონომიკურ პროექტებში სახელმწიფო ფულს ვერ დააბანდებს. შემდეგ იმისთვის, რომ ძველი ვალი დაფაროს, მთავრობა ახალ ვალს იღებს. ეს ყველაფერი ეკონომიკური ზრდის ხარჯზე ხდება - გარკვეული ნაწილი ფულის, რომელიც შეიძლება ეკონომიკურ კეთილდღეობას მოხმარდეს, ადრე აღებული ვალების დაბრუნებას ხმარდება. შესაძლებელია საგარეო ვალის აღებაც. როცა არსებობენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლებიც მუდმივად იძლევიან შეღავათიან სესხს, ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველთვის აქვს იმის ცდუნება, რომ ვალი აიღოს. ჩვენ უკვე გვიწევს 800 მილიონი დოლარის ვადასადა, რაც საკმაოდ სოლიდური ციფრია. ამ ვალის დაფარვა ეკონომიკური ზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს. იმ შეზღუდვებმა კი რომლებიც კონსტიტუციაში ისახება, შეიძლება პოზიტიური შედეგები მოიტანოს - სახელმწიფო თავის ქმედებებში შემოსავლურული იქნება. ესეიგი, მთავრობას ეკონომიკური თავისუფლების რაღაც ზღვრები დაუწესდება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

სოსო სიმონიშვილი: კანონით გარკვეული ნორმების და შეზღუდვების დანერგვა ძალიან კარგია. სათანადო არგუმენტაცია მაქვს. 1992 წელს მწვანეთა პარტიის მიერ მომზადდა საგადასახადო ცვლილებები და 200-300 პროცენტით გაიზარდა აქციზები. შევარდნაქემ ამ ცვლილებას მხარი დაუჭირა. ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან ქართული ეკონომიკა მოკვდა. საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ექსპორტზე იყო ორიენტირებული. ყველაზე კარგად ის სანარმოები იყვნენ აღჭურვილნი, რომლებიც ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი. ყველა საექსპორტო საქონელი იყო საქეიზო. მერე ამას მოჰყვა საქართველოში ახალი რელიგიის გამოგონება და დანერგვა, რომელსაც ბიუჯეტთაყვანისმცემლობა ჰქვია: რაც მეტს შეიტან ბიუჯეტში, მით უკეთესი, თუნდაც ქვა ქვაზე რომ არ დარჩეს. მაშინ ეს წესი მხოლოდ ქაღალდზე იყო და სინამდვილეში გადასახადს არავინ იხდდა. იმის გამო, რომ მაშინდელი გადასახადების გადახდა თეორიულადაც შეუძლებელი იყო, ქვეყანა მასობრივად კორუფციამ მოიცვა. მერე ახალი მთავრობა მოვიდა და ქაღალდზე დანერგილი წესების შესრულება მოითხოვა, რასაც მოჰყვა ბიზნესების გაკოტრება, ბიზნესმენების გაქცევა და კაპიტალის სა-

ქართველოდან გატანა. გია ჯანდიერი: ამერიკული კონსტიტუცია, ევროპელი კონსტიტუციონალისტების აზრით, საერთოდ არ არის კონსტიტუცია, რადგან იქ ნორმები დეტალურად არ არის განწესებული. ასეთი თვალსაზრისით ბრიტანეთი, როგორც სახელმწიფო, საერთოდ არ არსებობს, რადგან კონსტიტუცია არა აქვს. ამიტომ კონსტიტუციაში ამ პროცენტული ნორმების შესახებ გაკეთდება თუ არა ჩანაწერი, ეს მთავარი არ არის. მთავარია, ვალია რომ ადამიანის ეკონომიკური უფლებები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გასაგებია, რომ ამ უფლების, ისევე როგორც სხვა, მაგალითად კერძო საკუთრებაზე არსებული უფლების დარღვევა შესაძლებელი იქნება,



სოსო სიმონიშვილი: როცა საგადასახადო ტვირთი იზრდება, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მცირდება და ქვეყანა ღარიბდება.

სამაგიეროდ ყველას ეცოდინება, რომ ეს დარღვევაა.

«24 საათი»: ამჟამად მშპ-სთან მიმართებაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 9,5 პროცენტია, რასაც მთავრობა გასული წლის რუსეთ-საქართველოს ომითა და გლობალური საფინანსო კრიზისით ხსნის. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით მონიშნაღმდეგეების არგუმენტები ასეთია: მომავალში რაიმე ფორსმაჟორი რომ მოხდეს და შექმნილმა მდგომარეობამ მშპ-სთან მიმართებაში საბიუჯეტო დეფიციტის გაზრდა 3 პროცენტზე მეტად მოითხოვოს, ანდა სახელმწიფო ხარჯების გაზრდა დაგვიჭირდეს, კონსტიტუციაში ისევ ცვლილება უნდა შევიტანო?

სოსო სიმონიშვილი: ასეთი აუცილებლობა არც არსებობს, არც არსებობდა და არც იარსებებს. ეს შეიძლება იყოს ისეთი ადამიანების ილუზია, რომლებიც საქმეში და ეკონომიკაში ცუდად ერკვევიან. ასეთი პოზიცია მხოლოდ ქვეყნის განვითარების მონიშნაღმდეგეებს შეიძლება ჰქონდეს. თუ ქვეყნის მთელი შემოსავლები მხოლოდ ხარჯებზე მიიმართება, დაეხარჯავთ მთელ ფულს და ქვეყნის განვითარებაზე საუბარიც დამთავრდება. საქმე ის არის, ისე და იმდენი დავხარჯოთ, რომ ქვეყანას ეკონომიკური განვითარების შანსი დავუტოვოთ. თქვენ ამბობთ, რომ შეიძლება შეიქმნას აუცილებლობა, რომ ქვეყნის განვითარებას მოვაკლოთ და ყველაფერი დღესვე შევჭამოთ? მასსოვს, ერთხელ ბოშების დასაქმება გადაწყვიტეს და სათესლავ კარტოფილი დაუჭირეს. ბოშებმა კარტოფილი მოხარეს და იმავე დღეს შეჭამეს. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ასეთი საქციელი შეიძლება აუცილებელი გახდეს? წარმოუდგენელი!

გია ჯანდიერი: როცა საუბრობენ იმაზე, რომ ამჟამად ბიუჯეტის დეფიციტი 9,5 პროცენტია, ეს ნიშნავს იმას, რომ მთავრობამ არ იმყოფება ის ფული, რაც ჰქონდა. საიდან ჩნდება დეფიციტის დასაფინანსებელი ფული და რა მოაქვს ამ ფულს გაჩენას, ეს სხვა საკითხია. 9,5 პროცენტის საბიუჯეტო დეფიციტი ნიშნავს, რომ მთავრობა სწორედ ამდენივე პროცენტითაა უდიცნოები. რატომ უნდა ხარჯოს მთავრობამ იმაზე მეტი, ვიდრე შემოსავალი აქვს? მთავარი მაინც ის არის, რომ მთავრობას

აქვს მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა და ამ მცდარი პოლიტიკის გამართლებას დეფიციტის დაფინანსებით ცდილობს. როცა ხარჯები შემოსავლებს აჭარბებს, მთავრობა უნდა დაფიქრდეს იმაზე, რატომ მოხდა, რომ ქვეყანაში ნაკლები დოვლათი იქმნება და ხალხსაც და ქვეყანასაც ფული შემოაკლდა. ამის ნაცვლად ჩვენი ოპოზიცია გვთავაზობს, რომ მთავრობა უფრო მეტად უზასუხისმგებლო და უფუნური იყოს და ეს უფუნურობა დეფიციტის 3 პროცენტზე მეტით გადაიფაროს. 3-პროცენტის დეფიციტიც კი საშიშრელებაა. ყოფილმა პრემიერმინისტრმა ლადო გურგენიძემ შარშან ზარზეიმით გვამცნო, რომ მთავრობამ დეფიციტურ ბიუჯეტზე უარი თქვა. ახლა 9,5 პროცენტი 3 პროცენტზე რომ დავიწყოთ, ამაზე ვკამათობ?

ნოდარ ჩინჩალაძე: არ მესმის, რატომ უნდა იყოს ვინმე იმის მომხრე, რომ სახელმწიფო ხარჯი მშპ-ს 30 პროცენტზე მეტი იყოს? რატომ უნდა დაკანონდეს საბიუჯეტო დეფიციტი? თუ ქვეყნის განვითარებაზე ფიქრობ, ამის გაკეთება არ არის საჭირო. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ამ პუნქტებში კონკრეტული ციფრები კი არ ჩანერილიყო, არამედ ტენდენციები, რომელიც ყველა ხელისუფლებას წინა მთავრობასთან შედარებით სახელმწიფო ხარჯების, საგარეო ვალის და საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებას აიძულებდა.

სოსო სიმონიშვილი: როგორც ჩანს, ჩვენ ვერ გავთავისუფლდით სოციალისტური მსოფლმხედველობისაგან და პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ მთავრობა და ხელისუფლება უნდა იყოს ისევე ჩვენი მამა და მარჩენალი. ჩვენ აღარ გვინდა ასეთი სახელმწიფო. ჩვენ გვინდა თავისუფალი ადამიანების სახელმწიფო, სადაც თავისუფალი ადამიანები შრომობენ და თავიანთ უნარს და შესაძლებლობებს ავლენენ, ღირსეულად ცხოვრობენ და საზოგადოებისთვის საჭირო გადასახადებს იხდიან. როცა გადასახადის ზღვარზე ვლავარაკობთ, ვლავარაკობთ იმაზე, რომ ოჯახმა, რომელმაც წლის განმავლობაში 20 000 ლარი გამოიმუშავა, აქედან ბიუჯეტს რამდენი უნდა გადაუხადოს. როგორ დავიჯერო, რომ არსებობს ისეთი ოჯახი და პიროვნება, რომელიც მთავრობის ბიუჯეტს საკუთარი ოჯახის ბიუჯეტზე მაღლა აყენებს. ასეთი რამ ვერ წარმომიდგენია. არცერთი განვითარებულ სახელმწიფოში და არცერთი თავისი თავის პატივისმცემელი პოლიტიკოსი საარჩევნო კამპანიის დროს სახელმწიფო ბიუჯეტზე არ საუბ-



ნოდარ ჩინჩალაძე: თუ დასჭირდა მთავრობას შეუძლია სათანადო პროპაგანდა განიოს და ხალხი დაარწმუნოს, რომ მსხვილ კომპანიებს მოგების გადასახადი გაუზარდოთ.

რობს. ისინი ოჯახების და ადამიანების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე საუბრობენ. თავისთავად იგულისხმება, რომ როცა ოჯახები გამდიდრდებიან, ბიუჯეტზე მეტს მიიღებს და მთავრობაც მეტს საქმის კეთებას. ის, რომ მთავრობამ გადაწყვიტა გახდეს ბევრად უფრო დისციპლინირებული, ჩვენი ფული უფრო ყაიარათიანად ხარჯოს და კანონის მიერ დადგენილი საზღვრებიდან არ გადავიდეს, არა მგონია ვინმესთვის მიუღებელი იყოს. რა არის ამაში ცუდი?

მთავარია, არსებობდეს ბარანტი, რომ აკონომიკური პოლიტიკა ხშირად არ შეიცვლება

ბიოგრაფიკალი

«24 საათი»: რამდენად მისაღებია ახალი გადასახადების და განაკვეთების ზრდის რეფერენდუმის შედეგებით გადამწყვეტა?

ნოდარ ჩინჩალაძე: ახალი გადასახადების შემოღების და გადასახადის განაკვეთის ზრდის მხოლოდ რეფერენდუმის გზით გადაწყვეტის მიზანი ის არის, რომ ახალი გადასახადის შემოღების და გადასახადის გაზრდის პროცედურა მაქსიმალურად გართულდეს. ვფიქრობ, რომ ეს ინიციატივა ამ აქტის მუშა ნაწილი ვერ იქნება. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ახალი გადასახადის შემოღებას და განაკვეთის ზრდას ხმას არავინ მისცემს. მე ამასი დარწმუნებული არ ვარ. თუ დასჭირდა, მთავრობას შეუძლია სათანადო პროპაგანდა განიოს და ხალხი დაარწმუნოს, რომ მსხვილ კომპანიებს მოგების გადასახადი გაეზარდოთ. ვფიქრობ, რომ აქ რაღაც სხვა მექანიზმის მოფიქრებაა საჭირო.

სოსო სიმონიშვილი: რეფერენდუმის რომ უნდა მიიწვიო და ხარჯი გასწიო, ესეც შემზღულად ფაქტორია. ეს არის მაქსიმალურად გართულებული პროცედურა. მისი ალტერნატივა და მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურა კი ის იქნება, რომ ახალი გადასახადის შემოღება მიწისთვის ბრძანებით იყოს შესაძლებელი. რომელი ჯობია? გადამწყვეტილების გამარტივებული ნუსხით მიღებას სჯობს პროცედურა მაქსიმალურად გართულებული იყოს.

გია ჯანდიერი: ნოდარს ვეთანხმები. ახლა ისეთი სიტუაციაა, ტელევიზია შეიძლება კარგად გამოიყენო და საზოგადოება დაარწმუნო, რომ გადასახადების გაზრდა კარგია და რეფერენდუმის მოიგო. მაგრამ, ამავე დროს შეიძლება მოსახლეობას ისიც აუხსნა, რომ საბოლოოდ ყველა გადასახადს მომხმარებელი იხდის. დღეს საქართველოს მოქალაქეებს ვინმემ რომ აუხსნას, ავტობუსის ბილეთის საფასურში გადასახადს რა წილი უკავია, დარწმუნებული ვარ, არავის მოეხონება. მოსახლეობა აღმოაჩენს, რომ გადასახადები ჩვენთან მითითურად არის დაბალი და სინამდვილეში საკმაოდ მაღალია. ავტობუსის ბილეთი შემთხვევით არ ვახსენებ. მის ღირებულებაში ბენზინის ფასი საკმაოდ დიდი წილით მონაწილეობს. ბენზინის ფასში კი გადასახადებს ლომის წილი უკავია. ასახსნელი და სალაპარაკო ნამდვილად არის და რეფერენდუმის იმის საშუალებას მაინც მოგვცემს, რომ ხალხს აუხსნათ, რასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, დღეს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი ფიქრობს, რომ ისეთ გადასახადებს, როგორებიცაა დღე და აქციზი, არ იხდის. რეფერენდუმის გვაძლევს შესაძლებლობას, ხალხს აუხსნათ, რომ გადასახადებს საბოლოო მომხმარებელი იხდის. შეიძლება რეფერენდუმის არ იყოს და რამე სხვა გზა მოვიფიქროთ. მთავარია, ახალი გა-



დასახადის შემოღების და გადასახადის გაზრდის პროცედურა მაქსიმალურად გართულდეს.

«24 საათი»: ბევრი ოპონენტის აზრით, მშპ-სთან მიმართებაში 60-პროცენტის საგარეო ვალის დაკანონებით მთავრობა ცდილობს გარკვეული ლუფტი დაიტოვოს, რომ უახლოესი 2 წლის განმავლობაში საგარეო ვალი ისევ აიღოს. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს მშპ-სთან მიმართებაში საგარეო ვალის მაქსიმალური ზედა ზღვარი?

გია ჯანდიერი: ეს ნორმა საქართველოსთვის ძალიან მაღალია. ახლა, რუსეთ-საქართველოს ომისა და გლობალური საფინანსო კრიზისის შემდეგ საგარეო ვალის შეფარდება მშპ-სთან 36 პროცენტზე მეტი არ არის. ამაზე მეტი გაჭირვება რაღა უნდა იყოს? როდესაც ვალის აღებასა და ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიკითხოთ ვის ხარჯზე აპირებს მთავრობა ამის გაკეთებას. საგარეო ვალის აღება, ბიუჯეტის დეფიციტის და სახელმწიფო ხარჯის გაზრდა ნიშნავს, რომ არსებობდეს მექანიზმი, რომლითაც მოსახლეობის გაძარცვა შესაძლებელი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მოსახლეობის ფარული, გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი ძარცვა მოხდეს. თავის მართლება, რომ სხვა გზა არ არსებობს, ტყუილია. ეს არის მთავრობის გადადგომის გზა. თუ მთავრობამ არასწორი პოლიტიკით მიაღწია იმას, რომ ბიზნესი ზარალდება, ქვეყანა ღარიბდება და ბიუჯეტშიც ფული აღარ შედის, უნდა გადადგეს.

ისეთი ღარიბი ქვეყანა, როგორც საქართველოა, ვალებს არ უნდა აგროვებ-

დეს. საგარეო ვალთან დაკავშირებით შეიძლება სხვადასხვა კრიტერიუმების შემოტანა. მაგ. ერთ წელში ასაღები ვალის მაქსიმალური ოდენობა, ერთი მთავრობის მიერ ასაღები ვალის დასაშვები ოდენობა.. აქ ლაპარაკია იმაზე, როგორ შევზღუდოთ მთავრობა. როცა ვალის აღება აუცილებელი ხდება, მთავრობა უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ რაღაც შეეშალა, რაღაც პროექტები ზედმეტად დააფინანსა, ან ეკონომიკა ისე შეზღუდა, რომ ის სათანადო რესურსების გამოშვებას ვეღარ უზრუნველყოფს.

«24 საათი»: საკამათო თემად რჩება მარეგულირებელი ორგანოების საკითხი და ანტიმონოპოლიური სტრუქტურები, რომელთა შექმნასაც ევროკავშირთან პარტნიორობის პროგრამა მოითხოვს.

აკაკი ცომაია: ევროკავშირთან თავიუფალი ვაჭრობის რეჟიმში ყოფნა თუ გვინდა, უნდა ავიღოთ ის ვალდებულებები, რაც რეგულირების საკითხებს ეხება. ვეთანხმებით თუ არა ამ საკითხს, ეს სხვა საუბრის თემაა. რა ფასად უჯდება ევროკავშირის ქვეყნებს ასეთი რეგულირება, ეს მართლაც საკითხავია. მაგრამ, თუ გვინდა, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გვექონდეს, გარკვეულ დამოუკიდებელ ნასვლა მოგვიწევს. თუ გარკვეული მოთხოვნები არ შევასრულებთ, ევროკავშირი ჩვენთან ურთიერთობაზე არ წამოვა.

გია ჯანდიერი: ეს ძალიან საინტერესო თემაა. ამ თემაზე სპეკულაციები არ წყდება. სპეკულაციას იმიტომ ვამბობ, რომ ევროკავშირის მოთხოვნები წერილობითი სახით არსებობს თუ არა, არ ვიცი. პირადად მე, ასეთი მოთხოვნები ნე-

რილობითი სახით არ მინახავს. ჩვენ რომ დღეს ანტიმონოპოლიური სამსახური არ გვაქვს, ევროკავშირს ამით რა აკლდება? თუ არ გვაქვს სურსათის უვნებლობის ისეთივე მკაცრი კანონი, როგორც ევროკავშირის აქვს, ამით მათ ბაზარს რამე უშავდება? ევროკავშირის ბაზარზე უხარისხო სურსათს შევაპარებთ? იქ ხომ ნებისმიერ პროდუქტს მაინც ამოწმებენ. საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე შესვლამდე იქ შემოწმებას აუცილებლად გაივლის. არის მეორე ვარიანტიც. პროდუქცია შეიძლება აქ შემოწმდეს ევროკავშირის მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციების მიერ და ამას ახალი კანონების მიღება და მარეგულირებელი ორგანოების შექმნა არ სჭირდება.

«24 საათი»: რამდენად არსებობს ამ აქტის რეალურად განხორციელების პოლიტიკური ნება?

სოსო სიმონიშვილი: იდეა უმაღლესი ხელისუფალისგან მოდის. თუ მართლა უნდა ამ აქტის აღსრულება, ძალიან კარგი. თუმცა, უკეთესიც შეიძლება.

ჯანდიერი: ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები თუ გადაიდგმება, ძალიან კარგი იქნება. რადგან მოსახლეობა ეკონომიკურ საკითხებზე აზროვნებას დაიწყებს. ადამიანს აქვს ეკონომიკური უფლებები და ამ უფლებების რეალიზაციის გარეშე ის დამონებულია. ამაზე ჩვენ თეორიების კითხვა არ უნდა გვჭირდებოდეს - ეს ჩვენთვის განვლილი ეტაპია. ვიცით ეკონომიკური თავისუფლების არქონა რას ნიშნავს. ეკონომიკური თავისუფლების არქონა ავტომატურად ნიშნავს ძლიერ ბიუროკრატას. ჩვენ ყველანი უნდა ვთანხმდებოდეთ იმაზე, რომ ადამიანს

რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური თავისუფლება ჰქონდეს და იმაზე ვისაუბროთ, რომ ეს აქტი სრულყოფილი არ არის და მეტი ეკონომიკური თავისუფლებაა საჭირო.

აკაკი ცომაია: არ ვარ პოლიტიკოსი და ვერ განვსჯი: ამ აქტის გამოქვეყნება შესაძლოა, მართლაც პოპულიზმა. შესაძლოა, ეს ტალიანის დასკვნის გადასაფარადც გაკეთდა. შესაძლოა, პრეზიდენტს ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარება აინტერესებდეს. ყველანაირი შესაძლებლობა არსებობს. ამაზე დასკვნას ვერ გავაკეთებ. ეკონომისტის და მეცნიერის პოზიციიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ამ ინიციატივის კარგად გამოყენება შეიძლება.

«24 საათი»: არის თუ არა ეს ინიციატივები საკამარისი იმისთვის რომ უცხოური ინვესტიციები მოვიზიდოთ? თქვენი აზრით, რა აკლია ამ პაკეტს?

სოსო სიმონიშვილი: გააჩნია რას ვისახავთ მიზნად მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. თუ საიდნლაც უნდა დავინყოთ, ეკონომიკური თავისუფლების აქტით შემოთავაზებული ინიციატივები ცუდი დასაწყისი არ არის. სახელმწიფო ხარჯების მშპ-ს 30 პროცენტით განსაზღვრა დასაწყისისთვის ცუდი არ არის. უფრო რისკიანი და საქართველოს აღმშენებლობაზე პრეტენზიის მქონე ხელისუფლება 15 პროცენტსაც გარისკავდა. შედეგად, 2-3 წელიწადში ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ბუმი იქნებოდა.

აკაკი ცომაია: სანამ პრობლემები იქნება საკუთრების უფლებასთან, სასამართლოსთან და პოლიტიკურ სტაბილურობასთან დაკავშირებით, ეკონომიკურ აქტივობაზე საუბარი არ შეიძლება. როგორ ეკონომიკური გარემოც არ უნდა შექმნათ, ეს ბარიერები თუ არ გადაილახა, ინვესტორი არ შემოვა.

გია ჯანდიერი: ინიციატივა კარგია, მაგრამ ის საჭიროებს დამატებებს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისა და მონეტარული დისციპლინის შესახებ. ეროვნულ ბანკს არ უნდა ჰქონდეს ბუნდოვანი და გაურკვეველი პოლიტიკა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ორნიშნა ინფლაცია იყო. მაღალი ინფლაცია კი შეუძლია ეკონომიკური ზრდის ყველანაირი ძალისხმევა წყალში ჩაყაროს. აუცილებელია, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის აღიარება. ხელშეუხებლობა ნიშნავს, რომ საკუთრების ჩამორთმევის განხილვა დაუშვებელია. ამ ინიციატივებით ჩანს, რომ გადასახადების შემცირება არ იგეგმება, რაც ძალიან ცუდია. არაფერია ნათქვამი ასევე საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციების მძიმე წესებზე, რომლებიც ძალიან ხშირ შემთხვევაში კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდის.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2009 წლის 6 დეკემბერს 12 საათზე, ქ ბათუმში, შპს მბათუმი ოილ ტერმინალ ლტმლ-ს სასწავლო ცენტრის შენობაში (მისამართი ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №55ბ), გაიმართება ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების განმენდის ბაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია შპს მბათუმი ოილ ტერმინალ ლტმლ-ს მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნავთობშლამების უტილიზაცია, ნავთობით ისტორიულად დაბინძურებული ნიადაგების განმენდა და სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების შენობის მოწყობა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:
- შპს მბათუმი ოილ ტერმინალ ლტმლ-ს სასწავლო ცენტრის შენობაში - ქ. ბათუმი მაიაკოვსკის ქ. №55ბ;
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა «გამა»-ს ოფისში - ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 29 ნოემბრის 18 საათამდე.

შპს მბათუმი ოილ ტერმინალი ლტმლ-ს ადმინისტრაცია

მაგისტრის ხარისხის მოპოვება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ა.შ.შ.-ის მთავრობის აწვევს პროფესიონალების და ბაკალავრებს საქართველოდან მთავრობის მიზანწილითაა 2010 წლის ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამის კონკურსში (MUSKIE). მასკის პროგრამა გათვალისწინებულია სამაგისტრო კურსის ხარისხის მინიჭების გარეშე, ერთწლიან სამაგისტრო კურსის ხარისხის მინიჭებით ან ორწლიან სამაგისტრო კურსის ხარისხის მინიჭებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის ან საგანაცხადო ფორმების მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ აირექსის საქართველოს ოფისს ან ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს www.irex.ge.
IREX საქართველო, აბაშიძის ქ. № 4; თბილისი
ტელ: (995 32) 291905; 253469; 912608; 912609

ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2 ნოემბერი, 2009, 17:00

შეხვედრა ახალი ვადით დანიშნულ მოსამართლეებთან

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი ახალი ვადით დანიშნულ მოსამართლეებს შეხვდა. საქალაქო, რაიონული და სააპელაციო სასამართლოების თხუთმეტ მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, კიდევ 10 წლით გაუხანგრძლივდათ უფლებამოსილება.

თხუთმეტივე მოსამართლემ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოცხადებული კონკურსი წარმატებით გაიარა. რადგან თხუთმეტივე კანდიდატი უკვე მუშაობდა მოსამართლედ, ამიტომ მათ არც იუსტიციის უმაღლესი სკოლის სავალდებულო კურსის გავლა და არც სამოსამართლო ფიცის დადება მოუწევთ.

როგორც კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, სასამართლო რეფორმის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ახალი კადრების პროფესიულად და მაღალი სტანდარტის შესაბამისად მომზადება და მათი დანიშვნა, ასევე ძველი, გამოცდილი გუნდის შენარჩუნება, მათი კვალიფიკაციის გამოყენება და გაზიარება.

ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც მოსამართლის უფადო დანიშვნას ითვალისწინებს. კანონპროექტის თანახმად, მოსამართლეები უფადოდ, ანუ საპენსიო ასაკის მიღწევამდე დანიშნებიან.

კანონპროექტი საკონსტიტუციო ცვლილებას მოითხოვს და მისი მიღება, სავარაუდოდ, 2010 წლისთვის არის დაგეგმილი.

ინტერპრესნიუსი

დაკავება მიწის ნაკვეთების კანონის დარღვევით გაცემის ფაქტზე

სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომელი გურამ ქავთარაძე მიწის ნაკვეთების კანონის დარღვევით გაცემის ფაქტზე ეჭმიტანილის სახით დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მიწის ნაკვეთების გაცემის ფაქტზე.

სამართალდამცველების ინფორმაციით, გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ 2008 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს სპეციალისტმა გურამ ქავთარაძემ დაამზადა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის სახელზე წერილი გაყალბებული ხელმოწერით, ნასყიდობის ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა მოქალაქე კაკრიანიშვილის სახელზე, რომელიც დაამოწმა ძველი სამსახურებრივი ბეჭდით.

ინტერპრესნიუსი

მოქალაქეთა საჩივრების ზეპირი მოსმენა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში

მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ უძრავი ქონების სარეგისტრაციო წარმობასთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სააგენტოს სათავო ოფისში და საკუთარი პოზიციის უკეთ დასაბუთების მიზნით მოითხოვონ საქმის ზეპირი მოსმენა.

როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გამართავენ, ეს სიახლე ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების ფაქტობრივი გარემოებების უკეთ გამოკვლევას და სააგენტოს მხრიდან ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

საჩივრების ზეპირი განხილვის დროს სააგენტოს იურისტებს და დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ეძლევათ, დაასაბუთონ როგორც საკუთარი პოზიციები, ასევე მოუსმინონ ოპონენტებს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩივრის ზეპირი მოსმენის ოთახი, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესის შესაბამისად, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და ტექნიკით.

თითოეული პროცესის განხილვა ალიბეჭდება აუდიო და ვიდეოფორზე, რაც საშუალებას იძლევა, ჩანაწერი მტკიცებულებად იქნას გამოყენებული საჭიროების შემთხვევაში. ამ ჩანაწერზე დაყრდნობით, სააგენტოს იურისტები ადგენენ საქმის ზეპირი მოსმენის ოქმს.

ინტერპრესნიუსი

ქართველი არალეგალები

ევროკავშირის ახალი პროგრამა სამშობლოში დაბრუნების მსურველთათვის

თამარ ქაცირაძე

ავსტრიის ქალაქ ტრაისკირხენში (ქვემო ავსტრია) მდებარე ლტოლვილთა ცენტრალურ ბანაკში ქართველ და ავღანელ ლტოლვილებს შორის ინციდენტი მოხდა.

საქართველოს საგარეო სა-მინისტროს საკონსულო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის გიორგი ტაბატაძის ინფორმაციით, ჩხუბი 11 ოქტომბერს ღამე 11 საათისთვის დაიწყო და მასში 40 ლტოლვილი მონაწილეობდა.

გიორგი ტაბატაძის თქმით, ლტოლვილთა რამდენიმესართულიან კორპუსში ქართველები მესამე, ავღანელები კი მეორე სართულზე ცხოვრობენ. უცხოელი მეზობლების უკმაყოფილება ერთ-ერთი ქართველი სტოლვილის პირლებინებას მოჰყოლია. თავდაპირველად, ჩხუბში ქართველთა მცირე ჯგუფი ჩაერთო, თუმცა ცოტა ხანში მათი რიცხვი 40-მდე გაიზარდა. ჩხუბისას დევნილები ჯოხებს და ავეკის ნაწილებს იყენებდნენ. თუმცა, ტრაისკირხენის პოლიციის რვა ეკიპაჟმა მოჩხუბართა გაშვება მოახერხა.

მიუხედავად ამისა, როგორც გიორგი ტაბატაძემ გვითხრა, მოგვიანებით, ღამის 3 საათზე, ავღანელების დაახლოებით 80-კაციანი ჯგუფი, თავს დაესხა მიწარე ქართველებს და ხის და რკინის ხელკეტებით დაუწყეს ჩხუბი. ამ ინციდენტის გასანეიტრალებლად ბანაკის ხელმძღვანელობას პოლიციის 16 ეკიპაჟის გამოძახება დასჭირდა.

არსებული ინფორმაციით, 25 დაშავებული ქართველიდან საავადმყოფოში გადაყვანილია ათი. დაზარალებულებს ძირითადად, დაჟეჟილობები და მოტეხილობები აღენიშნებათ. საქართველოს ერთ მოქალაქეს, რომელიც ფანჯრიდან გადახტა, ფეხი აქვს მოტეხილი.

საკონსულო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე დაწყებული გამოძიება, თუმცა ჯერჯერობით მისი შედეგები ცნობილი არ არის.

სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის ასეთ დაპირისპირებებს ლტოლვილთა ბანაკებში ხშირად აქვს ადგილი. ქართველების და ავღანელების დაპირისპირების ეს უკვე მესამე

შემთხვევაა, თუმცა, რატომ მოხდა წინა ორი ინციდენტი, ჩვენთვის უცნობია, რადგან ავსტრიულ მხარეს ჩვენთვის არ მოუმართავს. ჩხუბი ხშირად საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ხდება და ამიტომ მას სისხლის სამართლებრივი შეფასება არც ეძლევა. გუშინდელ ფაქტზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ ავსტრიის პოლიცია ჯერჯერობით რამე სახის ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებს. ქართული მხარე აქტიურად არის ჩართული პროცესში და როდესაც გააკეთებენ ოფიციალურ განცხადებას, მას ჩვენც მოგვანდინა, - იმ 24 საათთან საუბრისას განაცხადა გიორგი ტაბატაძე.

რამდენი ქართველია ამჟამად ავსტრიის ან სხვა ქვეყნის ლტოლვილთა ბანაკში, ოფიციალურად უცნობია. ამის მიზეზი, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გვითხრა, არის ის, რომ წლის ბოლომდე ინფორმაცია კონფიდენციალურია. მხოლოდ წლის ბოლოს გამოქვეყნდება, რამდენ მოქალაქეს მისცეს ლტოლვილის სტატუსი და რამდენს არა - სწორედ ამის შემდეგ ხდება ემიგრანტთა რაოდენობა ცნობილი.

ის მოქალაქეები, რომლებიც ვერ მიიღებენ უცხო ქვეყანაში ცხოვრების ოფიციალურ ნებართვას, საქართველოში იქნებიან დეპორტირებულნი. ეს რიცხვი კი არც ისე მცირეა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილის პაატა პაპუაშვილის განცხადებით, ყოველთვიურად უცხოეთიდან 500-მდე ქართველი მიგრანტის დეპორტაცია ხდება. თუმცა, მისივე განმარტებით, დეპორტირებულ ადამიანთა რაოდენობა, შესაძლოა, ოფიციალურ მონაცემზე მეტიც იყოს, რადგან სახელმწიფოს აქვს უფლება, მოქალაქის გამოძევების შესახებ მის ქვეყანას ინფორმაცია არ მიანდოს.

საქართველოს მოქალაქეების გამოძევება ყველაზე ხშირად რუსეთიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან და პოლონეთიდან ხდება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის გიორგი ტაბატაძის განცხადებით, ქართველ მიგრანტთა დეპორტირების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ისინი უცხო ქვეყანაში არალეგალურად გადა-

დიან და ცხოვრობენ.

ჩვენ არაერთხელ ვთხოვეთ და მივმართეთ ჩვენს მოქალაქეებს, რომ თავი შეიკავონ არალეგალური გზებით ევროკავშირის ტერიტორიაზე გადასვლას, რადგან, საბოლოოდ, ყველას მაინც დეპორტაცია ემუქრება. უარეს შემთხვევაში, დააკავებენ და რამდენიმე თვე პატიმრობაში მოუწევთ ყოფნა, - ამბობს გიორგი ტაბატაძე.

ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციის ზრდა წელს მოსალოდნელი არ არის. სამაგიეროდ, ბოლო ორი წლის განმავლობაში საგრძობლად გაიზარდა უცხოეთში თავშესაფრის მოთხოვნულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა.

პაატა პაპუაშვილის ინფორმაციით, წელს პოლონეთში თავშესაფარი 3 ათასზე მეტმა ქართველმა ითხოვა, რომელთა უმრავლესობა იქ ბელორუსიდან გადავიდა.

ამასთან, მისივე განმარტებით, ბოლო სამ თვეში 50 ქართველმა ითხოვა თავშესაფარი ლიტვაშიც, რაც ამ ქვეყნისთვის "გრანდიოზული ციფრია".

ლიტვაში, არა თუ ბოლო სამ თვეში, 50 ადამიანს თავშესაფარი ბოლო წლების განმავლობაშიც კი არ მოუთხოვია, - ამბობს პაატა პაპუაშვილი.

რაც შეეხება საქართველოდან დეპორტირებულებს, ოფიციალური მონაცემი ასეთია - ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოდან მხოლოდ სამი უცხოელია დეპორტირებული.

საქართველოში შემოსვლის რეჟიმი იმდენად ლიბერალურია, რომ უცხოელებს არ სჭირდებათ ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლა. ამიტომაც, საქართველოდან დეპორტირებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ დაბალია, - აღნიშნავს პაატა პაპუაშვილი, რომლის მტკიცებითაც, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა უმეტესობა რუსეთის და თურქეთის მოქალაქეა.

საქართველოში მყოფ რუსეთის მოქალაქეთა 80 პროცენტი ეროვნებით ქართველია. რაც შეეხება თურქებს, ისინი საქართველოში ძირითადად, რამდენიმეწლიანი სამუშაო ხელშეკრულებით არიან, თუმცა უკვე იმატა ქართველებსა და თურქებს შორის შერეულმა ქორწინებამაც, -

განმარტა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო-ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილემ.

იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში საგრძობლად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალების რაოდენობა, რასაც დამატებითი პრობლემები მოჰყვა, ევროკავშირი სხვადასხვა გზებით ცდილობს, რომ არალეგალური სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნდნენ. ამისათვის უკვე მოქმედებს სპეციალური პროგრამა მობილური პარტნიორობისთვის, რაც სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებულებს და არა დეპორტირებულებს, დაეხმარება ადვილად გაიარონ ადაპტაცია და რეინტეგრაცია თავიანთ ქვეყანაში.

ამ ეტაპზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მოქალაქეების ნებაყოფლობით დაბრუნების შემთხვევაში, იმუშაონ მათ ინტეგრაციაზე და ამაში ფულიც დახარჯონ. ამჟამად ვიკლეფთ, სა სახის პროექტები გეჭირდება. ანუ რა სჭირდებათ საქართველოს მოქალაქეებს, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ. მაგალითად, თუ დეპორტირებული მოქალაქე ნარკომანია ის სახელმწიფო, რომელმაც მისი გამოძევება მოახდინა მისი რეაბილიტირება უნდა უზრუნველყოს. თუ დასაქმების პრობლემა ექნება, მისი კვალიფიკაციის ამაღლება დააფინანსოს, - ამბობს საკონსულო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი გიორგი ტაბატაძე, რომლის თქმითაც, ასეთი პროგრამები სხვა ქვეყნებში უკვე მოქმედებს.

არის კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა - საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უცხოეთში დაპატიმრებულ ქართველთა რაოდენობა 5 ათასამდეა. საქართველოს ყველაზე მეტი მოქალაქე იხდის სასჯელს: უკრაინის, თურქეთის, ავსტრიის, რუსეთის და ესპანეთის ციხეებში.

რუსეთში დაპატიმრებულ ქართველთა უმეტესობა ქართლის მუხლით არის წასამართლავი. ძირითადად, იგივე ბრალდებით არიან გასამართლებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიც. რაც შეეხება თურქებს, აქ ქართველები უმეტესად პროსტიტუციისა და ტრეფიკინგისთვის იხდიან სასჯელს, - ამბობს გიორგი ტაბატაძე.

მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა მინისტრს

მთავარმა პროკურატურამ სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების სამინისტროს შვიდი არასრულწლოვანი პრობაციონერისთვის პირობითი მსჯავრის მოხსნის შუამდგომლობით მიმართა.

როგორც გაირკვა, იმ მოზარდებს შორის, რომლებსაც პროკურატურამ უშუამდგომლა, ყველაზე უფროსი 18 წლისაა, ყველაზე უმცროსის ასაკი კი - 14 წელია.

როგორც მთავარ პროკურატურაში განმარტავენ, მათი დიდი ნაწილი ქურდობის ბრალდებით არის გასამართლებული.

დაპირება, რომ ყველაზე აქტიურ და შრომისმოყვარე მოზარდს პროკურატურა პირობითი მსჯავრის მოხსნის მიზნით შუამდგომლობას გაუწევდა, პრობაციონერმა მანავში, მთავარი პროკურატურის ინიციატივით მოწყობილ საზაფხულო სკოლაში მიიღეს.

პრობაციონერებს, რომლებიც ყველაზე აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტ "საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში და თავი გამოიჩინეს, პროკურატურამ სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრთან რეკომენდაცია გაუწიეს.

საქმე ისაა, რომ საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, 2009 წლის 13-22 ივლისს 30-მა არასრულწლოვანმა პრობაციონერმა საგარეოში, მანავის პატრიოტთა ბანაკში დაისვენა. მოზარდებმა, რომლებიც არასაპატიმრო სასჯელს სხვადასხვა დანაშაულისთვის იხდიდნენ, 10 დღე პატრიოტთა ბანაკში პროკურატურისთან ერთად გაატარეს და სხვადასხვა სახის ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. 10 დღის განმავლობაში იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები, შეხვედრები ცნობილ მოღვაწეებთან, სხვადასხვა პროფესიაში წარმატებულ ადამიანებთან.

პრობაციონერები, რომელთათვისაც პირობითი მსჯავრის მოხსნის შუამდგომლობით მთავარმა პროკურატურამ სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრს მიმართა, გუშინ მთავარ პროკურატურაში, მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს დავით საყვარელიძეს შეხვედნენ.

გარკვეული ინსტანციების გავლის შემდეგ რვა არასრულწლოვანი პრობაციონერს პირობითი მსჯავრი მოეხსნება და ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდებიან.

საკუთარი ინფორმაცია

გვინეა სამხედრო დიქტატურის ფლვარზე

გვინეას სამხედრო დიქტატურა ემუქრება, - მიიჩნევს დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების (ECOWAS) ლიდერი მუჰამედ იბნ შამბასი. მისი სიტყვებით, ხუნტა, რომელმაც ხელისუფლება 2008 წელს ჩაიგდო ხელში, ავინროებს ერს, სარგებლობს შეუზღუდავი ძალაუფლებით და დაუსჯელობით. **ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ თუ ხუნტა ვინმემ არ შეაჩერა, ქვეყანას მორიგი დიქტატურა ემუქრება**, - ამბობს შამბასი.

ორი კვირის წინ მებრძოლებმა ცეცხლი გაუხსნეს ოპოზიციონერთა დემონსტრაციას. საპროტესტო გამოსვლების მიზეზი გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხუნტის მეთაური კაპიტანი კამარა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. არჩევნები 2010 წლის იანვარში ტარდება.

ოპოზიციური მოძრაობის აქტივისტის მონაცემებით, 157 ადამიანი დაიღუპა, 100-ზე მეტი დაიჭრა, ბევრი ქალი კი ჯარისკაცების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პირდაპირ ქუჩაში გახდა. ხელისუფლება ირწმუნება, რომ მხოლოდ 57 კაცი დაიღუპა, რომელთა უმრავლესობა ჭყლეტაში მოყვა.

გვინეის სოფლის მეურნეობის მინისტრი თანამდებობიდან გადადგა ხელისუფლების სასტიკ ქმედებებზე პროტესტის ნიშნად. სამხედროების ხელით დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნისთვის მოსახლეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ორდღიან გაფიცვას ატარებს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გვინეის სამხედრო ხელისუფლების ქმედებას მსაკუთარი



გვინეის პრემიერი კაბინე კომარა (მარჯვნიდან)

ხალხის ვერაგულად ფეხქვეშ გათელვამ უწოდა. საფრანგეთმა გააკეთა განცხადება, სადაც მკაცრად დაგმო მის ყოფილ კოლონიაში ოპოზიციონერთა დემონსტრაციის დროს მომხდარი ხოცვა-ჟლეტა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუმენრმა განაცხადა, რომ **საფრანგეთმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გვინეასთან სამხედრო თა-**

ნამშრომლობა. ხუნტის მოწინააღმდეგეები იმედოვნებენ, რომ მასშტაბური გაფიცვა, მუკოვასის ზენოლასთან ერთად, იმოქმედებს ხუნტის მეთაურზე, კაპიტან მუსა დადის კამარაზე და იგი იძულებული იქნება, თანამდებობიდან გადადგეს. მუკოვასის ნევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, გვინეის ოპოზიციის აქტივისტები და ქვეყნის სამ-

ხედრო მთავრობის წარმომადგენლები კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზების მოსაძებნად ნიგერიაში შეიკრიბნენ.

2008 წელს პრეზიდენტ ლანსანა კონტეს სიკვდილის შემდეგ, რომელიც გვინეას 1984 წლიდან ხელმძღვანელობდა, ქვეყნის მართვის სადავეები სამხედროების ხელში გადავიდა. მაშინვე დეკემბერში დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკო-

ნომიკური თანამშრომლობის გაერთიანებამ გვინეა თავისი რიგებიდან გარიცხა.

მას შემდეგ, რაც გვინეამ საფრანგეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, კონტე აფრიკის ამ სახელმწიფოს მეორე პრეზიდენტი იყო. იგი ხელისუფლების სათავეში 1984 წელს უსისხლო გადატრიალების შედეგად მოვიდა და მთელი ეს წლები, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, ქვეყანას მრკინის მუშტიმ მართავდა. მის დროს ქვეყანა სამოქალაქო მმართველობას დაუბრუნდა და იგი სამჯერ აირჩიეს პრეზიდენტად.

მბი-ბი-სი-ს საერთაშორისო მიმომხილველ მარკ დოლის სიტყვებით, კონტეს მმართველობის სტილი დიდად არ განსხვავდებოდა სხვა აფრიკელი ქვეყნების მმართველობისგან. მაგალითად, მან ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემა შემოიღო, თუმცა მთელი ოპოზიციონერები ციხეში ჩასხა.

კონტეს ყველაზე მნიშვნელოვანი დამსახურება ის იყო, რომ მან ქვეყანაში სამოქალაქო ომის თავიდან აცილება შეძლო, მაშინ როცა მეზობელ სახელმწიფოებში - სიერა-ლეონეში, ლიბერიაში და კოტ დ'ივუარში სისხლისღვრა მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

თუმცა, ქვეყანას, რომელიც მდიდარია მინერალებითა და ნაყოფიერი მიწით, ლანსანა კონტეს მმართველობის მთელ პერიოდში სუსტი ეკონომიკა უჭონდა.

მოამზადა თამთა კახაძემ

სხვა ცხედრების იპოვნის

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ დაადასტურა გაზეთ "ზერკალა ნედელი"-ს მიერ ორი დღის წინ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, უფრანლისტ გიორგი ლონდაძის მკვლელობის ადგილას რამდენიმე ადამიანის სხეულის ფრაგმენტები იპოვეს. როგორც გაზეთი ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერდა, სამართალდამცველებმა მიაგნეს ექვსი ადამიანის სხეულის ფრაგმენტებს. პროკურატურის განცხადებით კი, კიევის ოლქის ბელოცერკოვსკის რაიონის სოფელ სუხოლესთან ნაპოვნია არა ექვსი, არამედ ათი ადამიანის სხეულის ნაწილები - შვიდი მამაკაცის, ორი ქალის და ერთი ბავშვის.



ლისტის მკვლელობაში მთავარი ბრალდებული უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო საქმიანობის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსეი პუკაჩი დააკავეს.

ადგილი, სადაც უფრანლისტის თავის ქალა იყო ჩამარხული, სწორედ ალექსეი პუკაჩმა მიუთითა სამართალდამცველებს. მან აღიარებით ჩვენებაში განაცხადა, რომ თავად მიიღო მონაწილეობა უფრანლისტის მკვლელობაში და რაც მთავარია, განაცხადა, რომ დაასა-

ხელებდა მკვლელობის დამკვეთებს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო საქმიანობის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა ალექსეი პუკაჩმა უკრაინაში მომხდარი ყველაზე რეზონანსული მკვლელობის შემკვეთების ვინაობა მართლაც დაასახელა, რომელთაგან ზოგი უკვე გარდაცვლილია, ზოგი კი ცოცხალი. თუმცა მკვლელობაში მთავარმა ბრალდებულმა კონკრეტულად ვინ დაა-

სახელა ყოფილი პრეზიდენტის ხელისუფლებიდან მკვლელობის დამკვეთად, კვლავ გასაიდუმლოებულია. ალექსეი პუკაჩი კი დაკავების დღიდან გაძლიერებული დაცვის ქვეშ იმყოფება.

სამარხში ნაპოვნი თავის ქალის ფრაგმენტები რომ მართლაც 2000 წელს გაუჩინარებულ გიორგი ლონდაძეს ეკუთვნის, ექსპერტიზით დაადასტურებულია.

სამარხი, სადაც მოკლულის თავი იყო ჩამარხული, უკვე სავალი გზის საფარით იყო დაფარული. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამავე სამარხის შორიხლოს კიდევ ორი ადამიანის ჩონჩხის ნაწილებიც აღმოაჩინეს. თუმცა, მაშინ ეს ინფორმაცია კატეგორიულად ურყევს თავად სამართალდამცველებმა.

მოკლული გიორგი ლონდაძის ოჯახის ინტერესების დამცველი ვალენტინა ტელიჩენკო აცხადებს, რომ არ აქვს იმ საგამოძიებო ჯგუფის იმედი, რომელიც მკვლელო-

ბის საქმეზე მუშაობს. ადვოკატს ეჭვი აქვს, რომ თუკი საგამოძიებო ჯგუფი არ გამოიცვლება, შესაძლოა, ალექსეი პუკაჩის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს ფასი დაეკარგოს და საქმის ბოლომდე მიყვანა - მკვლელობის დამკვეთების დაკავება-დასჯა არც ამჯერად მოხერხდეს.

ვის ეკუთვნის ალექსეი პუკაჩის მიერ მითითებულ ადგილას ნაპოვნი სხეულის ნარჩენები და კაუშირი აქვს თუ არა გიორგი ლონდაძის მკვლელობასთან, ჯერჯერობით დაუდგენელია. გამორიცხული არ არის, სწორედ ალექსეი პუკაჩის ჩვენებებმა ახადოს ფარდა წლების განმავლობაში გაუხსნელ საქმეებს. როგორც ექსპერტ-კრიმინალისტი ამბობენ, აღმოჩენილ სხეულის ნარჩენებს ძალადობის კვალი ეტყობა.

პერმანული ენის

პროფესიონალი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი გთავაზობთ ენის შესწავლას სხვადასხვა, თქვენთვის მისაღები პროგრამით. სასკოლო პროგრამა, აბიტურიენტთათვის, ბიზნესგერმანული. სწავლენა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფებისთვის. მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

8 93 57 70 53

თალიბებს "ალ კაიდაზე" მეტი ფული აქვთ

ამერიკის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტების ინფორმაციით, ტერორისტული ქსელი "ალ კაიდა" მრავალი წლის მანძილზე ყველაზე დიდ ფინანსურ კრიზისს განიცდის. მათ წელს ფინანსური დახმარების თხოვნით რამდენჯერმე მიმართეს მხარდამჭერ ორგანიზაციებს. საკუთარი სპონსორები გააფრთხილეს, რომ სახსრების ნაკლებობა ბოვევიკთა რაოდენობასა და მათი მომზადების ხარისხზე უკვე აისახება. ტერორისტების კრიზისის მთავარი მიზეზი ამერიკისა და დასავლეთის სპეცსამსახურების აქტიური მუშაობაა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსური არხები აღმოეჩინათ და შეძლებისდაგვარად გადაეკეტათ. ამის გამო მსოფლიოს შესაბამის წრეებში "ალ კაიდას" გავლენაც შესუტდა, თუმცა ეს სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს, თუ დასავლეთის შესაბამისი სამსახურები ყურადღებით არ იქნებიან, რადგან "ალ კაიდას" ჯერ კიდევ ბევრი მდიდარი მხარდამჭერი ჰყავს. სამაგიეროდ, მოძრაობა "თალიბანის" დაფინანსება უმჯობესდება, ძირითადად ნარკოტიკებით ძალიან აქტიური ვაჭრობის წყალობით. თალიბანის სპარსეთის ყურეშიც ბევრი სპონსორი ჰყავს, რომლებიც დიდ შემონიშნულობებს არ იშურებენ. ეს ყველაფერი იმ პირობებში ხდება, როცა ამერიკელები, "ალ კაიდას" მსგავსად, "თალიბანსაც" ხელს უშლიან თანხების მოძიებაში.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა მოლაპარაკებებზე დათანხმდნენ

ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეასთან მოლაპარაკებების განახლებაზე თანხმობა განაცხადა. განახლებულ საკითხებს შორის, ძირითადად, ეკონომიკური და ჰუმანიტარული თემებია, მათ შორის ალბათ იმ ოჯახების ხელახალი შეერთების საკითხებსაც განიხილავენ, რომლების წევრებიც ომის დროს კორეის გამოყოფილ საზღვრის სხვადასხვა მხარეს დარჩნენ. იმსჯელებენ აგრეთვე საზღვრისპირა რეგიონში წყალდიდობების თავიდან აცილების საშუალებებზე. ეს, პრინციპში, გამოწვეულია ჩრდილოეთ კორეის მოქმედებებით მდინარე იმჟინგანზე. სექტემბერში ჩრდილოკორეელებმა დამბები გახსნეს და მოვარდნილმა წყალმა სამხრეთ კორეაში 6 ადამიანი შეიწირა. ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ წყლის საშუალოდ დაზიანებას გამოიწვია. სამხრეთ კორეის მედიის ცნობით, ნაოსნობისთვის ჩრდილოეთ კორეის ორივე სანაპირო ზოლი ჩაკეტილია, რაც იმ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა, რომ რაკეტების გამოცდა კიდევ არის დაგეგმილი. საერთოდ, სამხრეთ კორეელები ძლიერ იჯერებენ იმას, რომ ჩრდილოეთ კორეა საკუთარი ბირთვული პროგრამების გაუქმებაზე მოლაპარაკებების წარმოებას თანხმდება. ეს მოლაპარაკებები მაისში ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ ჩაიშალა, ამ გამოცდებს გაეროს-ს სანქციებიც მოჰყვა. ახლა კი ჩრდილოეთ კორეა შეხვედრების განახლებაზე თვითონ ალაპარაკდა, ოღონდ ექვსმხრივი ფორმატის აღდგენამდე ამერიკასთან პირდაპირ მოლაპარაკებას ითხოვს.

ესპანეთში სომალელ მეკობრეებს გაასამართლებენ

მადრიდში სასამართლოს წინაშე ორი სომალელი წარდგება, რომლებიც ესპანურ თევზსაჭერ გემზე თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილები. ინდოეთის ოკეანში გემ "ალაკრანაზე" თავდასხმა ოქტომბრის დასწყისში მოხდა. მის ბორტზე 36 კაცი იმყოფებოდა და ეს გემი დღემდე მეკობრეების ხელშია. ბანდიტებმა განაცხადეს, რომ გემისა და მისი ეკიპაჟის წევრების გასათავისუფლებლად მოლაპარაკებებს მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებენ, რაც მათ თანამზრახველებს გაათავისუფლებენ. ესპანელმა სამხედროებმა მეკობრეები მაშინ დააპატიმრეს, როცა ისინი შეპყრობილი გემიდან ნაპირისკენ პატარა ნავით მიემართებოდნენ.

ამერიკელი სამხედროები ავღანეთში იაპონელების მხარდაჭერის გარეშე რჩებიან

იაპონიის თავდაცვის მინისტრმა ტომომი კიტაზავამ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ აპირებს ინდოეთის ოკეანეში ყოფნის ვადა გაუხანგრძლივოს სამხედრო საზღვაო ფლოტის იმ გემებს, რომლებიც კოალიციის ძალების ხომალდებს სანავიით ავსებენ. იაპონელების მისია, რომელიც 2001 წელს დაიწყო, 2010 წლის 15 იანვარს იწურება. ამასთან, იაპონიის ხელისუფლებამ მიანიშნა, რომ მზად იქნებიან, დაეხმარონ ავღანეთის მშვიდობიანი ცხოვრების დამყარებაში.

მომზადდა ივა შილაკაძემ

რუსეთი და ჩინეთი აკონომიკურ თანამშრომლობას აფართოებენ

ივა შილაკაძე

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი 13-14 ოქტომბერს ორდღიანი ვიზიტით ჩინეთში იმყოფება. ის მოლაპარაკებებს გამართავს თავის კოლეგასთან - ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ვენ ძიაბაოსთან, მონაწილეობას მიიღებს თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (შოსი) წევრ სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა საბჭოს სხდომის მუშაობაში. რუსეთის პრემიერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ძინტაო მიიღებს. პუტინის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე მისი ორმხრივი შეხვედრები იმ სახელმწიფოების ხელმძღვანელ პირებთან, რომლებიც პეკინში ასევე "შოსის" სხდომის ფარგლებში არიან ჩასულები. კერძოდ პუტინი შეხვედრა ყაზახეთის მთავრობის მეთაურ კარიმ მასიმოვს, ავღანეთის ვიცე-პრეზიდენტ ქარიმ ხალილს, პაკისტანის პრემიერ-მინისტრ იუსუფ გილანის და ირანის პირველ ვიცე-პრეზიდენტ მოხამად რეზა რასხიმს.

ჩინეთში რუსეთის პრემიერის მთავარი ამოცანა ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებაა. ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა ბოლო ექვს წელიწადში ისედაც ძალიან გაიზარდა - თითქმის 10 მილიარდიდან 50 მილიარდ დოლარამდე, მაგრამ რუსეთი გეგმავს, ჩინეთთან ნავთობისა და გაზის მიწოდების დაახლოებით 5,5 მილიარდი დოლარის ღირებულების დამატებითი კონტრაქტები დადოს.

მაგპრომის ხელმძღვანელ ალექსეი მილერის სიტყვებით, უკვე შეთანხმებული და პარაფირებულია ჩინეთისთვის გაზის მიწოდების შესახებ, დოკუმენტები რომლებსაც პუტინის ვიზიტის ფარგლებში უნდა მოეწეროს ხელი. დადგენილია ბუნებრივი აირის მიწოდების



რაოდენობაც - დაახლოებით, 70 მილიარდი კუბური მეტრი წელიწადში. გაზი ჩინეთში ორი განსაზღვრული უნდა ჩავიდეს: 30 მილიარდი - დასავლეთის გაზსადენით დასავლეთ ციმბირის რესურსთა ბაზიდან და 38 მილიარდი - აღმოსავლეთის გაზსადენით, აღმოსავლეთ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და სახალინის საბადოებიდან. შესათანხმებული რჩება მხოლოდ ფასი, რომელიც, ძირითადად, ევროპაში მიწოდებული გაზის ფასზე იქნება მიზნული. მილერის აზრით, გაზის მიწოდება შეიძლება მაშინვე დაიწყოს, როგორც კი ფასი შეთანხმდება, თუმცა ასეთი ოპტიმიზმი არ იზარებს რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი, რომელმაც პეკინში განაცხადა, რომ ამ ბუნებრივი აირის მიწოდება ტექნიკურად გარკვეულ სამუშაოებს მოითხოვს და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა, ფიზი-

კურად გაზი ჩინეთში 2014-2015 წლებში ჩავა (არადა თავიდან ლაპარაკი იყო 2011 წელზე, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთი კრიზისის გამო ვადებში ვერ ეტევა). შეთანხმება მიღწეულია ნავთობის მიწოდებაზეც - 6 მილიარდი დოლარის ღირებულების ნავთობი რკინიგზის ტრანსპორტით უკვე 2010 წელს მიენიჭება ჩინეთს.

ჩინეთში პუტინის ვიზიტის დროს სხვადასხვა სფეროში, დაახლოებით, 20 ხელშეკრულებას უნდა მოეწეროს ხელი. გუშინვე მოეწერა ხელი შეთანხმებას ბალისტიკური რაკეტების გაშვების ერთმანეთისთვის შეტყობინების შესახებ. რუსულმა და ჩინურმა კომპანიებმა პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფარგლებში ხელი მოაწერეს სხვადასხვა კონტრაქტებს - მთლიანობაში, 3,5 მილიარდი დოლარის ოდენობით. რუსული სახელმწიფო ბანკები "ვი-თი-ბი" და "ვები" ჩინური ბანკები-

დან კრედიტებს მიიღებენ - თითოეული ნახევარ მილიარდ დოლარს. რუსეთს ჩინური ინვესტიციები განსაკუთრებით აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საბადოების ასათვისებლად სჭირდება. იმ ზონაში რუსეთს მუშახელიც ძალიან აკლია და ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის დახმარების გარეშე ამ მხარის ეკონომიკურ განვითარებას ვერ გაუმკლავდება.

მხარეებმა საზღვრისპირა ვაჭრობის საკითხებიც განიხილეს, რაც ორივე ქვეყნის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პუტინი ჩინეთში ვლადივოსტოკიდან ჩავიდა და მის ვიზიტს წინ უძღოდა 11 ოქტომბერს რუსი და ჩინელი დეპუტატების, აგრეთვე საზღვრისპირა ოლქების ხელმძღვანელთა შეხვედრები.

26 სელმოწერა 27 ქვეყნიდან

ჩეხეთი ლისაბონის შეთანხმების რატიფიკაციამდე ახალ მოთხოვნებს აყენებს

მარიკა იაშვილი

ჩეხეთის პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსს ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკირებამდე დოკუმენტში გარკვეული შესწორებების შეტანა სურს. თავისი მოთხოვნების შესახებ მან სატელეფონო საუბარში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შევიციის წარმომადგენელ ფრედრიკ რეინფელდტს განუცხადა. რეინფელდტის თქმით, შენიშვნები ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიას ეხება.

ამავე დროს, ჩეხეთის გარდა, ლისაბონის ხელშეკრულების მონიშვნებამდე ერთადერთი ქვეყნის პოლონეთის პრეზიდენტმა პირობა შეანარჩუნა და დოკუმენტზე ხელი მოაწერა. ჩეხეთისა და პოლონეთის ლიდერები აცხადებდნენ, რომ ლისაბონის შეთანხმების რატიფიკირებას მას შემდეგ და-

თანხმდებოდნენ, რაც ირლანდიაში დოკუმენტის შესახებ ჩატარებულ განმეორებით რეფერენდუმზე დადებითი შედეგი დაფიქსირდებოდა.

ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის მიერ გადამწყვეტილებათა მიღების პროცესს ამარტივებს და ორგანიზაციის პრეზიდენტის პოსტის შექმნას გულისხმობს, გარდა ამისა, ის საერთაშორისო გადაწყვეტილებათა მიღებაში ევროკავშირის ინსტიტუტების როლის გაზრდასაც უზრუნველყოფს.

შეთანხმებაში ჩართულია ქარტია ევროკავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებების შესახებ და ლისაბონის შეთანხმების მიღების შემდეგ მისი შესრულება სავალდებულო იქნება. ორი ქვეყანა, რომლებსაც ქარტიის მიღებაზე უარის თქმის უფლება აქვთ, დიდი ბრიტანეთი და პოლონეთია.

ვაცლავ კლაუსი დოკუმენტის რატიფიკაციაზე უარს იმ

დრომდე აცხადებს, სანამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო დოკუმენტის მონიშვნამდე სენატორთა მიერ შეტანილ მორიგ სარჩელს არ განიხილავს.

რეინფელდტის განცხადებით, კლაუსი მოითხოვს, რომ მის მიერ შეთავაზებული შენიშვნები მიიღოს ევროპის საბჭომ, რომელშიც ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის ლიდერები შედიან. კლაუსი ცდილობს, თავისი ქვეყნისთვის უფლებათა ქარტიაზე უარის თქმის უფლებას მიაღწიოს და დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის მსგავსად იქცეს ქვეყნად, რომლისთვისაც მისი შესრულება სავალდებულო არ იქნება. თუმცა ევროკავშირში ვაცლავ კლაუსის მოთხოვნებს გადაწყვეტილების მიღების გადავადების მცდელობა განიხილავს.

ჩეხეთის ლიდერის განცხადებით, ქვეყანაში შიშობენ,

რომ გერმანელები, რომლებმაც ჩეხეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იძულებით დატოვეს, დაკარგული საკუთრების უკან დაბრუნებას მოინდომებენ.

ამგვარად, ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან ჩეხეთი ერთადერთია, რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების მიღებაზე უარს აცხადებს.

პოლონეთის პრეზიდენტმა შეთანხმებას საზეიმო ცერემონიაზე მოაწერა ხელი, რომლის დროსაც განაცხადა, რომ ევროკავშირის კარი ახალი წევრების მისაღებად მომავალშიც ღია იქნება და ორგანიზაციის წევრობის ერთ-ერთი კანდიდატი საქართველოა. კარინსკიმ ისიც დაამატა, რომ ევროკავშირი ერთ დიდ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას არ აპირებს და ის დამოუკიდებელ, თვითმყოფად სახელმწიფოთა გაერთიანებად რჩება.

რევოლუ

იტალიური ენის კვირეული



კადრი ფილმიდან "მარჩელო, მარჩელო"

პოლიციელია და ახალგაზრდა ქალის მკვლელობას იძიებს. ეს ნაწარმოები დაედო საფუძვლად ამავე სახელწოდების ფილმს, რომელშიც კრიმინალური სამყაროს თავისებურებებია წარმოჩენილი. ის მოულოდნელი ფინალით მთავრდება და მაცურებელს მოწყენის საშუალებას არ აძლევს.

25 ოქტომბერს კი კვირეულს დაასრულებს შვეიცარიელი-იტალიელი რეჟისორისა და სცენარისტის, დენის რაბალიას ფილმი "მარჩელო, მარჩელო", რომელიც 2008 წელსაა გადაღებული და საერთაშორისო ფესტივალებშიც მონაწილეობდა. მოქმედება 50-იანი წლების იტალიის ერთ პატარა სოფელში ხდება და მოგვითხრობს მარჩელოზე, რომელსაც მის მხარეში გავრცელებული ჩვეულება - სასურველი გოგონას მამისადმი ძღვენის მირთმევა - არ აძლევს მოსვენებას.

აი, ასეთია კვირეულის მოკლე ჩამონათვალი და შინაარსი. უფრო კონკრეტულად მასზე მოგვიანებით, მისი გახსნისთანავე გაგაცნობთ.

თამარ კიკნაველიძე

19-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოში იტალიური ენის IX მსოფლიო კვირეული, სახელწოდებით იტალიური ენა ხელოვნებაში, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში, გაიმართება. მას იტალიის საელჩო იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მეურვეობით წარმოგვიდგენს. კვირეულის მხარდაჭერები არიან: თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი და შვეიცარიის საელჩო საქართველოში.

მოსალოდნელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, გუშინ იტალიის საელჩოში მოენყო პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდნენ: ვიტორიო სანდალი (იტალიის ელჩი საქართველოში), როზარია კორადო (იტალიის კულტურის ატაშე), ლორენცო ამბერგი (შვეიცარიის ელჩი საქართველოში).

კვირეული გაიხსნება 19 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში, სადაც ანალიზა ძარატიანის საჯარო ლექცია გაიმართება თემაზე: ტექნოლოგია ხელოვნების ნაწარმოებთა რესტავრაციაში.

ანალიზა ძარატიანი ლაციოს რეგიონის არქეოლოგიის დარგის კურატორი და იტალიის კულტურის სამინისტროს წყალქვეშა არქეოლოგიის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია. უკანასკნელი წლების განმავლობაში ის მუშაობს სფეროში, რომელსაც მპრევენციულ არქეოლოგიას უწოდებენ. ეს მეცნიერი საქართველოში გასულ წელსაც იმყოფებოდა, დაესწრო ძალისას არქეოლოგიურ გათხრებს და ჩაერთო პროექტში, რომელიც ამ ძეგლის შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

21 ოქტომბერს, 15 საათზე, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე დაიწყება მხატვრული კითხვის ციკლი. ამ დღეს მაცურებელი მოისმენს ნანყვეტს ჯონათან ლევის მიუზიკლიდან "მსხეულთა ვარდნა". ნაწარმოები გალილეო გალილელისა და პრიმო ლევის პერსონა-

ჟებით არის შთაგონებული, ის მეცნიერებისა და ძალაუფლების თემას ეხება. მასში ვიოლინისტი, ლელა მჭედლიშვილი მონაწილეობს. კითხვას, რომელიც იტალიურად წარმართება, დაესწრება ავტორი, მწერალი და დრამატურგი, რომელიც ორი წელია რომში ცხოვრობს.

21 და 22 ოქტომბერს, კვირეულს უკვე იტალიური პიესების მხატვრული კითხვა გააგრძელებს. თითოეულ დღეს მაცურებელს საშუალება მიეცემა დაესწროს, როგორც იტალიურ (15 საათი), ასევე ქართულ (18 საათი) ვერსიებს, იმ განსხვავებით, რომ ქართულად ნათარგმნ პიესებს სცენაზე პროფესიონალები გააცოცხლებენ.

ამ დღეებში გვთავაზობენ იტალიელი მსახიობის, დრამატურგისა და რეჟისორის - სპირო შიმონეს ნაწარმოებს "კონვერტი" და "დღესასწაული". ეს უკანასკნელი ავტორმა 1999 წელს დაწერა, ფრანგულად ითარგმნა და Comedie-Francaise-ს სცენაზეც დაიდგა. ორინიული კომედია ერთი რიგითი წყვილის ქორწინების ოცდამეათე წლისთავს ასახავს. მისი დიალოგები აბსურდულია და რეალურის ზღვარზე გადის და ცოლქმრული ცხოვრების დამორგუწველ ყოფას ამიშვლებს. რაც შეეხება "კონვერტს", ის პოლიტიკური ხასიათისაა და ინდივიდისა და ძალაუფლების კავშირზე გვიამბობს.

23 ოქტომბერს იმავე სცენაზე შედგება ახალგაზრდა დრამატურგისა და მსახიობის, ფაუსტო პარავიდინომის პიესის კითხვა. მორი ძმა - 53 დღიანი ტრაგედია ოთახისათვის" - ასე ეწოდება ნაწარმოებს, რომელსაც 2001 წელს UBU-ს პრემია მიენიჭა კატეგორიაში "საუკეთესო სიახლე". მასში მოქმედება ერთ ოთახში ვითარდება და ასახავს ძმების წინააღმდეგობრივ ურთიერთობას, რომელიც კულმინაციას ერთი ქალის, ერიკასადმი სიყვარულის მიზეზით აღწევს. ამავე ავტორის მეორე ნამუშევარს 24 ოქტომბერსაც გავეცნობით. ამჯერად ნაგვიკითხვენ პიესას, სახელწოდებით "ნატურ-მორტი თხრილში". ის დეტექტიური დრამაა, რომლის მთავარი გმირიც

A STAR ALLIANCE MEMBER

იჩქარეთ. შემოთავაზება ძალაშია 20 ოქტომბრამდე.

ლონდონი ✂ €270-დან
დუბლინი ✂ €229-დან
ბრიუსელი ✂ €205-დან
ჰამბურგი ✂ €299-დან
ლოს ანჯელესი ✂ €419-დან
ჩიკაგო ✂ €369-დან
სან ფრანცისკო ✂ €489-დან

bmi.com
fly better for business
SALE

დაჯავშნეთ 20 ოქტომბრის ჩათვლით. დასაჯავშნად დაგვიკავშირდით +995 32 940719/20 ან მიაკითხეთ თქვენს ტურისტულ სააგენტოს.

ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.



14 ოქტომბერი

თეატრი

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში) თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი "შინელი" - Geko Company, დიდი ბრიტანეთი დასაწყისი: 20:00

კინო

რუსთაველი

"ყველაფერი კარგად იქნება" დასაწყისი: 12:00 14:00 16:00 18:00 20:00 22:00
"შექალთანე" დასაწყისი: 12:30 14:30 16:30 18:30 20:30 22:15
"იდეალური გაქცევა" დასაწყისი: 12:45 14:45 21:45
"აგენტი-ზღვის გოჭები" დასაწყისი: 16:15 18:15 20:00
"მწარე სიმართლე" დასაწყისი: 13:30 15: 17:30 19:30 22:00
"სუროგატები" დასაწყისი: 12:15 14:15 16:15 18:15 20:15 22:15

ამირანი

"ყველაფერი კარგად იქნება" დასაწყისი: 12:15 14:15 16:15 20:15
"კოკო შანელი" დასაწყისი: 18:00; 16:00; 20:00; 22:00
"აგენტი-ზღვის გოჭები" დასაწყისი: 12:00 14:00
"ყველაფერი კარგად იქნება" 18:15 22:15

საქართველო

დიდი გამყინვარება

დასაწყისი: 13:00

მიდიოტოკრატია

დასაწყისი: 15:00

ყველაფერი კარგად იქნება

დასაწყისი: 17:00 19:00 21:00

გამოფენები

ქარვასლა

"არტიტერიუმი '09"

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიუმი

გოეთეს ინსტიტუტი

New Art კაფე

კავკასიური სახლი

აბანოთუბანი

მონაწილე ქვეყნები: აშშ, არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ავსტრია, შვეიცარია, ჰოლანდია, პოლონეთი, ჩეხეთი, ირანი, თურქეთი, სამხრეთ კორეა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლატვია, ირლანდია, რუსეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია.

რუსთაველის თეატრის ფოიე

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი - მირიან შველიძის თეატრალური ესკიზების გამოფენა

არტ გალერეა "ლაინი"

ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერნერა, ქანდაკება)

მეიდან არტ ჰოლი

ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერნერა, ქანდაკება)

გალერეა "შარდენი"

თანამედროვე ტიხრული მინაქრის ხელოვნების გამოფენა - (სამკაული, მინიატურა, ხატი)

სამყარო წიგნის და თეატრი სცენის ბარაზი...

რამდენიმე მოსაზრება ფოთის თეატრის ბოლო ნამუშევარზე

ლავა ჩხარტიშვილი

მაშინ, როცა დედაქალაქის წამყვანი თეატრებმა თეატრალური სეზონები საკმაოდ ადრე დახურეს, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მთელი ზაფხულის განმავლობაში ახალი სეზონისთვის ემზადებოდა. ახალი 2009-2010 წლების, რიგით 127-ე თეატრალური სეზონი - პრემიერით - რეიზ ბრედბერის განმარტებული რომანის ინსცენირებით მოთხასრომოდ დათურთმეტი გრადუსი ფარენჰაიტით, ანუ ტემპერატურა, რომელზეც ინვის ქალაქი "გახსნა. სპექტაკლი ახალგაზრდა რეჟისორმა ზურა ბეგლარიშვილმა დადგა. სანამ უშუალოდ სპექტაკლზე მოგახსენებდეთ, მკითხველს შევახსენებ იმ ფაქტს, რომ რამდენიმე წელია ფოთის თეატრს საკუთარი შენობა არ გააჩნია და იგი დროებით ქალაქის კულტურის სახლის შენობაშია განთავსებული, სადაც ერთდროულად იყრის თავს ზღვისპირა ქალაქში არსებული თითქმის ყველა მხატვრული კოლექტივი (სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები, სხვა მხატვრულ-შემოქმედებითი წრეები). სანამ ფოთის თეატრის ახალი შენობა შევა ექსპლუატაციაში (თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი თანხები გამოიყო შენობის ექსპლუატაცია 2010 წლისთვის არის დაგეგმილი), დასს, როგორც ჩანს, რამდენიმე წელი კვლავ ამ შენობაში მოუწევს სპექტაკლების გამართვა. სივრცის ფაქტორი შემთხვევით არ მიხსენებია, ის პირდაპირ კავშირშია სპექტაკლთან, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ. სცენა, სადაც ფოთის თეატრი სპექტაკლებს მართავს კამერულია და ის არ აძლევს საშუალებას რეჟისორებს მონუმენტური სპექტაკლების დადგმის. შესაბამისად არ არის უპრიანი და მართებული სპექტაკლის დადგმა მასიური სცენებით. საპრემიერო სპექტაკლში კი 17 მსახიობი მონაწილეობს, რაც მეტისმეტად დიდი რიცხვია ამ სცენისთვის. რეგიონის ნებისმიერ თეატრში მინიმალური ყველა რეჟისორი უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული თეატრის მოთხოვნას. სცენაზე განსახორციელებელი ლიტერატურული მასალა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს კონკრეტულ დასთან და მის შემოქმედებით პოტენციალთან, რეჟისორმაც თავისი სპექტაკლის ტექნიკური-ვიზუალური გადაწყვეტა უნდა მოარგოს კონკრეტულ გარემოს. ასეთ შემთხვევაში რეჟისორი გარკვეულ ჩარჩოებში ექცევა და კომპრომისზე მიდის. ნებისმიერი შემოქმედისთვის რთულია შეზღუდვა, მით უმეტეს, ახალგაზრდისთვის, რომელსაც უამრავი ექსპერიმენტის ჩატარების ამბიციაც აწუხებს, ცდილობს საკუთარი ხელნერის ჩამოყალიბებას და ადგილის დამკვიდრებას თეატრალურ სამყაროში ორიგინალური ხედვით. რეჟისორმა ზურა ბეგლარიშვილმა ყველაფერი კარგად გათვალა, თუნდაც სპექტაკლის საერთო ვიზუალური გადაწყვეტის მხრივ, რომელიც მართალია დაუსრულებლობის, დაუხვეწელობის და სრულყოფილად გაუმართაობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მაყურებელში ეს ფაქტორი გალიზიანებას არ იწვევდა და ყველაფერი ტექსტთან ლოგიკურ კავშირში იყო. ფაქტია, რომ რეჟისორის ასეთი გათვლა დიდ სცენას, ვაცილებით ფართო სივრცეს უფრო მოერგებოდა, ვიდრე ფოთის თეატრის კამერულ სცენურ ატმოსფეროს და მაყურებელს განცხადებისა, რომ მსახიობები ერთმანეთს ეჯახებიან სცენაზე აღარ დაუფლებოდა...

ერთადერთი რაც სპექტაკლთან დაკავშირებით კამათს არ იწვევს პიესის აქტუალურობა და პრობლემატურობაა. "451*F"-ში მოქმედება 2035 წელს, ანუ მომავალში მიმდინარეობს. ეს არის ეპოქა, როცა წიგნების კითხვა აკრძალულია და მისი ადგილი პირობითად მვირტუალურმა წიგნმა დაიკავა. უფრო მეტიც, თუ კი მხანძრის პროფესია აქამდე ხანძრის ჩაქრობა იყო, მომავლის მეხანძრის პროფესიული ფუნქცია ცეცხლის გაჩაღებაა, ოღონდ ზოგადად ქალაქის, უფრო კონკრეტულად კი კლასიკური მხატვრული ლიტერატურის გასანადგურებლად. ერთი სიტყვით, სპექტაკლი მალაღობი მხატვრული ლიტერატურის არმცოდნე საზოგადოებაზე დადგმული. პრობლემა, რომელსაც სპექტაკლი სვამს მეტნაკლებად ეხება თავად სპექტაკლის ავტორებსაც და პირველ რიგში მთარგმნელს, რადგან თარგმანი იმდენად არაქართულადაა შესრულებული, რომ სცენიდან საკმარისად ნათქვამი სტილისტურად და სინტაქსურად დაულაგებული ტექსტი, ქართული გრამატიკის არმცოდნე მაყურებელსაც კი ჭრიდა ყურს. ეს პრობლემა მხოლოდ ფოთის თეატრში როდი არსებობს... ეს არის თეატრებში სალიტერატურო ნაწილის ინსტიტუტების მოშლის საფრთხილი შედეგი.



სპექტაკლი გრძელი, ილუსტრაციული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული შესავალით იწყება, რომელიც განსაკუთრებით არაფერს აძლევს არც სპექტაკლს და არც სიუჟეტის უკეთ თხრობას უწყობს ხელს, პირიქით რიტმი, რომლითაც რეჟისორი იწყებს სპექტაკლს, კი არ იზრდება და ვითარდება, არამედ ეცემა. ზურა ბეგლარიშვილმა პირდაპირ და ნათლად დასვა აქტუალური პრობლემა და მისეული გადაჭრის გზაც შემოგვთავაზა. კიბერ რეალობაში ჩაფლული რობოტებად ქცეული ადამიანები, რომელთაც ადამიანური ვნებები, გრძობები და ემოციები აღარ გააჩნიათ, მონაცემები არიან სულიერ საზრდოს და მათი მისწრაფებები და სურვილები სხვა განმტკბებით არის მიმართული. ამ სამყაროში სიყვარული, როგორც ასეთი, სულიერ ფასეულობად აღარ განიხილება, არც ურთიერთობებია აქტუალური ადამიანთა შორის. ამ სამყაროში ყველა ერთმანეთს ჰგავს, როგორც ინკუპატორი გაემოჩევილი ცხოველები და ყველა ერთნაირად ლაპარაკობს. ამაში პრობლემას პერსონაჟები ვერ ხე-

დავენ. მათ ამ მხრივ არავითარი დისკომფორტი არ აქვთ. განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს არც ამ სამყაროში სწავლობენ, თუმცა მათ შეურაცხადებად როდი აცხადებენ, ამ შემთხვევაში მათ სჯიან და გასანადგურებლად სწირავენ. საბედნიეროდ, ზურა ბეგლარიშვილის შემოთავაზებულ სიტუაციაში სამივე თაობის პერსონაჟებში აღმონდება თითო-თითო ადამიანი, რომელსაც მრავალფეროვანი და მდიდარი სულიერი სამყარო გააჩნია. ესენი არიან: ვაი მონტეგი (გიორგი სურმაგა), პროფესორი ფაბერი (ნაირა ჭიჭინაძე), კლარისა (ნანა ვასაძე). სწორედ ისინი გვაძლევენ იმედს, რომ სამყარო შესაძლოა ისევ სულიერ ფასეულობებზე დაყრდნობით განვითარდეს და მათ არ დაკარგონ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია - იყვნენ ადამიანები.

სპექტაკლის სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება თავად რეჟისორს ეკუთვნის. სცენური სივრცე მაქსიმალურად არის ათვისებული, ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს პერსონაჟთა ხასიათებს კოსტიუმები და მუსიკალური მასალაც ლოგიკურ ფონს უქმნის სპექტაკლში განვითარებულ მოვლენებს, თუმცა იგი მაინც შორსაა კონცეპტუალური მუსიკალური პარტიტურისაგან. სამაგიეროდ, მეტად სახიერია მირიან ჯეჯელავას ეკრანული პერსონაჟი, რომელიც სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირიცაა და სცენოგრაფიის ნაწილიც. მართალია, მისი მუსიკალური პერსონაჟი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ იგი არც თუ ისე შორსაა მოსალოდნელი რეალობისაგან. საინტერესო სახეებს ქმნიან მსახიობები მარკო ბუკია (მოდერედ მონტეგი), რამინ კილასონია (კაპიტანი ბიტი), ჯანსულ იზორია და ელგუჯა ქარაია (თანამშრომლები), ფატიმა აბრახამია და ნათია კუპრაგა (მოდერედის მეგობარი ქალები), თუმცა სამსახიობო ნამუშევრის თვალსაზრისით ლიდერები სპექტაკლში გიორგი სურმაგა, ნანა ვასაძე და ნაირა ჭიჭინაძეა. აშკარაა მათი გამორჩეულობა ამ სპექტაკლში. მსახიობები ახერხებენ ყოველგვარი ყალბი პათეთიკის გარეშე მართალი ემოციების და ღრმა შინაგანი დუღილის, თავიანთი პერსონაჟების პიროვნული, თუ საზოგადოებრივი ტრაგედიაში გადმოცემას. მათი მონოლოგები და დიალოგები მაყურებელში სასიამოვნო ემოციებს აღძ-

რავს და დადებითად განგანყოფს მაყურებელს მსახიობთა მიმართ და რაც მთავარია, მათ მიერ განხორციელებული პერსონაჟები იწვევენ თანაგანცდისა და თანაგრძნობას მაყურებელში.

სპექტაკლში ჩართული ქორეოგრაფიული ეტიუდები ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ნოველის ხასიათს ატარებს (ქორეოგრაფი ირინე კუპრაგა), მაგრამ მისი ფუნქცია სპექტაკლში ვინაა, ის მხოლოდ მაყურებელთა განმხუტვას ემსახურება და სპექტაკლის კონცეფციის ლოგიკური შემადგენელი ნაწილი არ არის. ქორეოგრაფიული ჩანარები ცალკე აღებულ სასიამოვნო სანახავია, თუმცა იგი სპექტაკლის იდეური ნაწილი ვერ გახდა.

ზურა ბეგლარიშვილი მაქსიმალურად ცდილობს მხატვრული, ფანტასტიკური გაფორმის შექმნას, ძირითადი აქცენტი სპექტაკლში სწორედ ვიზუალურ მხარეზეა გადატანილი, მთავარ როლს სცენის სიღრმეში დამონტაჟებული ეკრანი თამაშობს, რომელიც სპექტაკლის ხასიათის გადმოცემის მთავარი მედიატორია, როგორც მაყურებელსა და ვირტუალურ სივრცეს, ისე სპექტაკლის პერსონაჟებსა და კიბერ სივრცის შორის. გათამაშებული სამყაროს მთავარი მოქმედი გმირი და სიტუაციის წარმმართველი ტექნიკური პროგრესია.

ბოლო პერიოდის ქართულ თეატრში სერიოზულ პრობლემად იქცა სპექტაკლებში სიუჟეტის თხრობის, ამბავის გადმოცემის საკითხი. სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ზურა ბეგლარიშვილის სპექტაკლი ამ მხრივ. ახალგაზრდა რეჟისორმა მოახერხა ფორმისთვის არ შეენირა ძირითადი ამბავი, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, არ დაკარგა რეჟისორის სათქმელი და არ გადატვირთა სიუჟეტი გვერდითი მოვლენებით, შესაბამისად, სპექტაკლმა ფოთელი მაყურებლის მონონება და ტაში დაიმსახურა.

სამყარო წიგნის, მხატვრული ნაწარმოებების და კლასიკოსების იდეების გარეშე არსებობს, მისი ადგილი სხვა ფასეულობებმა დაიკავეს, თუმცა ირკვევა, რომ უსუსლო ფასეულობებზე აგებული საზოგადოება მალევე დაავადდება და დაინგრევა, ამის იმედს რეჟისორი ოპტიმისტურ-ტრაგიკული ფინალით გვაძლევს.

თბილისის ჯაზ ფესტივალი წარმოგიდგინოს

მარკუს მილერი მაისლ დევისის მუსიკასთან ერთად ბრუნდება

ნა შავა

ჯაზი თბილისში ბრუნდება - ორწლიანი პაუზის შემდეგ, განახლებულ სივრცეში, ტრადიციული ხარისხითა და კვლავ მისტერნ პრომოუშენთან ერთად. თბილისის მე-12 საერთაშორისო ჯაზ ფესტივალი სტარტს 27 ოქტომბერს აიღებს და მსმენელს ექვს საფესტივალო დღეზე განერილი პროგრამით დატვირთავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე მასშტაბური ჯაზ ფესტივალია, რაზეც არა მხოლოდ საკონცერტო დღეების რაოდენობა, არამედ მათში მონაწილე მუსიკოსების სახელებიც მეტყველებს. ფესტივალს რამდენიმე ჰედლაინერი ჰყავს, მათ შორის ყველაზე მთავარი კი მარკუს მილერის ბენდი და მაისლ დევისის მუსიკაა.

2008 წლის ბათუმის შავის ზღვის ჯაზ ფესტივალის მთავარმა ვარსკვლავმა, მარკუს მილერმა კონცერტის დასრულების შემდეგ პირობა დადო, რომ საქართველოში აუცილებლად დაბრუნდებოდა. პირობა შეასრულა და ბრუნდება, თანაც მარტო არა - თან ლამის ჯაზის ქრესტომათიურ ჩანაწერად აღიარებული მაისლ დევისის 1986 წლის Tutu ჩამოაქვს. ეს ორი მუსიკოსი ერთმანეთს 1981 წელს შეხვდა. დევისის მილერისადმი, როგორც მუსიკოსისადმი, დამოკიდებულებაზე კი მათი ექვსი ერთობლივი ნამუშევარი მეტყველებს: The Man with the Horn, We Want Miles, Star People, Tutu, Music From Siesta და Amandla. შარშანდელ ბათუმის ფესტივალზე მარკუს მილერი ბოლო ალბომის, Free-ს მხარდასაჭერი ტურნეს ფარგლებში ჩამოვიდა, თუმცა გემრიელ ლუკმად მსმენელისთვის სწორედ მთუთუმ, ამავე სახელწოდების ალბომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპოზიცია ჰქონდა მოტოვებული. წელს პროექტ Tutu Revisited music of Miles Davis-ს მთლიანობაში წარმოადგენს, ლეგენდარული მუსიკოსის პარტიებს კი მესაყვირე კრისტიან სკოტი შეასრულებს. თანამედროვე ჯაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მესაყვირის მუსიკალურ გაქანებაზე მსჯელობა სწორედ აქ შეგვიძლია შევწყვიტოთ - მაისლ დევისის მუსიკასთან შეჭიდებას ბევრი უბრალოდ ვერ გაბედავდა.

თბილისელი მსმენელი კრისტიან სკოტს მარკუს მილერთან ერთად პირველად მოუსმენს, დანარჩენი მუსიკოსები კი შავი ზღვის ფესტივალის მსმენელს აუცილებლად ეცნობა: 21 წლის გენიალური საქსოფონისტი ალექს ჰანი, რომელსაც დიდი ხანია მჯაზის ახალგაზრდა ლომს უწოდებენ და უკვე აქვს თანამედროვე ჯაზის ვარსკვლავებთან: ჯორჯ დუკთან, ჯოი დი ფრანჩესკოსთან, ჯორჯ ბენსონთან, ბობ მინცერთან მუშაობის გამოცდილება. ბათუმში სწორედ მას ითავა მაისლ დევისის პარტიების შესრულება და ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა (მსმენელს ალბათ დღემდე ახსოვს მის მიერ შესრულებული Jean Pierre-ის რიტმები, რომელსაც ფონად მილერის არაჩვეულებრივი მუზიციერება გასდევდა). ბენდში ასევე იხილავთ პიანისტ ფედერიკო გონსალეს პენიას და



დრამერ რონალდ ბრუნერს.

Tutu Revisited-ის ტურნეს მარკუს მილერი მთელი წლის განმავლობაში აწყობს. თბილისში იგი მოსკოვიდან ჩამოვა, აქედან კი ციურისში გამგზავდება. საკონცერტო ტურნეს გეოგრაფია ასევე მოიცავს უკრაინის, პოლონეთის, გერმანიის, სლოვენის, ესპანეთის, იტალიის, ბელგიის, საფრანგეთისა და სხვა ევროპული ქვეყნის საუკეთესო სცენას.

მარკუს მილერის ბენდამდე კი მსმენელის მუსიკალურ დატვირთვაზე ჯეიმს კარტერის კვინტეტი იზრუნებს მესაყვირე კორი უილკესის, პიანისტ ჯერარდ გიბსის, დრამერი ლეონარდ კინგისა და ბასისტ რალფ არმსტრონგის შემადგენლობით. 39 წლის კარტერი თანამედროვე ბარიტონ საქსოფონისტებს შორის პირველ, ტენორ საქსოფონისტებში კი მეცხრე ადგილს იკავებს. მუსიკის კრიტიკოსებს არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ მისი მუსიკა ტრადიციული ჯაზის გავლენასაც განიცდის და ამავდროულად თითქოს მის მომავალსაც წინასწარმეტყველებს. ამის შეფასების გადამოწმება კი სწორედ 27 ოქტომბერს შეგვიძლება.

მეორე საფესტივალო დღე მთლიანად Medeski, Martin & Wood-ს დაეთმობა. ნიუ იორკულ ტრიოს პიანისტი ჯონ მედესკი, დრამერი ბილი მარტინი და ბასისტი კრის ვუდი წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს მსმე-

ნელი სრულიად ახალ მუსიკას მოისმენს, რადგან ტრიოს შემოქმედება მთლიანად გამოკვეთილ იმპროვიზაციას ეფუძნება. ეს არის ჯაზის, სოულის, კლუბური მუსიკის, ფანკისა და როკის ერთგვარი სინთეზი, რომელიც თითქოს სპონტანურად, პირდაპირ სცენაზე იბადება. ჯგუფი ფართო საზოგადოების წინაშე 90-იანი წლების შუიდან გამოჩნდა და პრაქტიკულად მაშინვე შეძლო სიმპატიის მოპოვება, რაც ისევ და ისევ მათი მუსიკის განსაკუთრებული ჟღერადობის დამსახურებაა. პირველ წარმატებას პირველი სერიოზული თანამშრომლობაც მოჰყვა - 1997 წელს ტრიომ ლეგენდარულ ჯონ სკოფილთან ერთად იმუშავა.

29 ოქტომბერი ქართული ჯაზის დღეა, რომელსაც დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში განთავსებული ივენთ ჰოლი უმასპინძლებს. აქაც სწორედ იმ ხარისხის აპარატურა და განათების სისტემა დამონტაჟებულია, რაც ფილარმონიის მთავარ დარბაზში, ამიტომ მუსიკის ხარისხით სრულ ტკობას ამ კონცერტების მსმენელიც შეძლებს. ამჯერად დინი ვირსალაძის ბენდს (დინი ვირსალაძე, დავით მასტერანოვი, გურამ ტეცოშვილი) და იტალიელ ბასისტ რობერტო პუჯონის მოვუსმენთ, შემდეგ კი Georgian Jazz Trio-ს (დავით მაზანაშვილი, ნოდარ ექვთიმიშვილი, გიორგი სალაღიშვილი) და აზერბაიჯანულ საქსოფონისტ რაინ სულტანოვს.

მომდევნო დღეს კვლავ დიდი საკონცერტო დარბაზის მთავარ სცენაზე გადავინაცვლებთ, სადაც მომღერალ კურტ ელინგისა და საქსოფონისტ ერნი უოტსის დუეტი დაგვხვდება. ელინგი პროექტ Dedicated to you: Kurt Elling Sings the music of Coltrane and Hartman-ს წარმოადგენს და როგორც უკვე მიხვდით, ჯონ კოლტრენისა და ჯონი ჰარტმანის მუსიკას გვთავაზობს. იმავე დღეს, თუმცა ამჯერად კვლავ ივენთ ჰოლის მცირე სცენაზე, სკოტ კინსის ჯგუფი წარსდგება. იგივე სცენა იქნება 31 ოქტომბრის Jazz Dance Party-ს მასპინძელი. თბილისის საერთაშორისო ჯაზ ფესტივალს 1 ნოემბერს ამერიკული ჯაზ-ფანკ-არ-ენ-ბი-სოულ-დისკო ჯგუფი Kool & The Gang დახურავს.

წლებანდელ ფესტივალს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და თბილისი მერია წარმოადგენს. სპონსორები არიან: ბანკი რესპუბლიკა, სამშენებლო კომპანია მრედიქსი, კომპანიები მადნეული და ეკვარციტი. მუსიკოსების ოფიციალური გადამყვანია მთურქიმ ეარლაინსი, ხოლო ტრადიციული მასპინძელი მშერატონ მეტეხი პალასი. კონცერტებზე დასასწრები ბილეთების ფასი 30-დან 80 ლარამდეა, ხოლო მთლიანი აბონემენტი 350 ლარი ღირს.



კურტ ელინგი



Medeski, Martin & Wood

მიმართვა იუნესკოს

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ ნიკოლოზ რურუას გამოსვლა იუნესკოს გენერალური კონფერენციის 35-ე სესიაზე

ბ-ნო თავმჯდომარე!
ბ-ნო გენერალური დირექტო-
რო!

იუნესკოს პატივცემულო დე-
ლეგატებო!

ქალბატონებო და ბატონებო!
მაქვს პატივი და განსაკუთ-
რებული უფლება, სიტყვით მოგ-
მართოთ ქართული დელეგაციის
სახელით იუნესკოს კონფერენ-
ციის 35-ე სესიაზე.

უპირველეს ყოვლისა, ნება
მიბოძეთ, მოგილოცოთ ახალი
გენერალური პრეზიდენტის
დოქტორ ჰეპბერნის არჩევა და
პირადად მას თავისი განსაკუთ-
რებული მისიის წარმატებით
შესრულება ვუსურვო. საქარ-
თველო მიესალმება იუნესკოს გე-
ნერალური დირექტორის კოიში-
რო მაცურას ხელმძღვანელო-
ბით გატარებულ რეფორმებს,
რომლებიც საერთაშორისო თა-
ნამეგობრობის სამსახურში
დგომისას ორგანიზაციის მაქსი-
მალური კომპეტენტურობის,
ეფექტურობისა და გამჭვირვა-
ლობის შენარჩუნებას გულისხ-
მობდა.

ჩემი ქვეყნის სახელით
მსურს, აგრეთვე მივულოცო ქ-
ნ ირინა ბოკოვას გენერალური
დირექტორის პოსტზე კანდიდა-
ტად წარდგენა. დარწმუნებული
ვარ, მისი გონივრული ხელმძღ-
ვანელობით ორგანიზაცია კი-
დევე უფრო აქტიურად შეუწყობს
ხელს საერთაშორისო თანამე-
რობლობას და მისი როლი დღე-
ვანდელ გამოწვევებთან მიმარ-
თებაში კიდევ უფრო გაიზრდე-
ბა.

მიმდინარე ფინანსურ-ეკო-
ნომიკური კრიზისი იუნესკოსთ-
ვის ერთდროულად გამოწვევაც
არის და შესაძლებლობაც, უფ-
რო ნათლად გამოიკვეთილი პრი-
ორიტეტული მიმართულება
მისცეს დასახულ პროგრამებსა
და ღონისძიებებს, სიღარიბის
ეფექტურად დაძლევის, რაციო-
ნალური განვითარების, ცივი-
ლიზაციებს შორის დიალოგის
უზრუნველყოფის მიზნით.

ჩვენ მხარს ვუჭერთ 2010-
2011 წლის კულტურული პროგ-
რამის პრიორიტეტებს, კერძოდ
მატერიალური და სულიერი
კულტურის მემკვიდრეობის
დაცვას, კულტურული მრავალ-
ფეროვნების შენარჩუნებაზე
ზრუნვას და კულტურათა დია-
ლოგს. ნება მიბოძეთ, გაცნო-
ბოთ, რომ გასულ წელს საქარ-
თველომ ორ კონვენციას გაუკეთა
რეატიფიცირება: *კონვენციას
კულტურული თვითგამოხატვის
მრავალფეროვნების დაცვის
შესახებ* და *კონვენციას
სულიერი კულტურის
მემკვიდრეობის შენარჩუნების
შესახებ*. ხსენებული საერთაშო-
რისო ნორმატიული დოკუმენ-
ტები ხელს უწყობენ კულტურუ-
ლი თვითგამოხატვის მრავალ-
ფეროვნების დაცვას და ზოგა-
დად კულტურული მემკვიდრეო-
ბის შენარჩუნებას მსოფლიო
მასშტაბით. ამ საკითხებს კი ჩე-
მი ქვეყანა მუდამ გულისყურით
ეკიდებოდა.

1992 წლიდან მოყოლებული,



საქართველო *მსოფლიო
მემკვიდრეობის* დაცვის
შესახებ კონვენციის წევრი სა-
ხელწიფო გახლავთ. ჩვენ ვამა-
ყობთ იმით, რომ მსოფლიო
კულტურული მემკვიდრეობის
სიაში სამმა ქართულმა ძეგლმა
დაიმკვიდრა ადგილი და ამას-
თან გამოვთქვამთ მწუხარებას,
რომ ერთ-ერთი მათგანი ახლა-
ხან საფრთხის წინაშე მდგომი
კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლები სიაში იქნა შეტანილი.
უნდა აღინიშნოს, რომ 2008
წლის აგვისტოში რუსეთის
მხრიდან საქართველოზე შეიარ-
ღებული თავდასხმისა და სა-
ქართველოს სუვერენული ტე-
რიტორიების შემდგომი ოკუპი-
რების შედეგად ძალზე შეიზღუ-
და ქვეყნის შესაძლებლობები,
დროულად და ადეკვატურად შე-
ასრულოს მსოფლიოს კულტურ-
ული მემკვიდრეობის კომიტე-
ტის რეკომენდაციები იმ ძეგლე-
ბის თაობაზე, რომლებიც იქ
განლაგებული რუსეთის შეიარ-
ღებული ძალების სიახლოვეს
იმყოფება. პრობლემების გადა-
საჭრელად ჩვენი მხრიდან ყვე-
ლაფერი კეთდება და ამ მიმარ-
თულებით საერთაშორისო
მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.
საქართველოს მთავრობა სა-
ხელმწიფო დონეზე ყველა ღო-
ნეს ხმარობს, რომ მსოფლიო
კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის შესახებ კონვენციის
მოთხოვნათა შესრულება პრიო-
რიტეტად აქციოს ადმინისტრა-
ციულ დონეზე.

ჩვენი ქვეყნის რაციონალური
განვითარების, დემოკრატიზა-
ციისა და ერებს შორის დიალო-
გის დამყარების გზაზე აგრეთვე
გადამწყვეტ ფაქტორად მოიაზ-
რება საყოველთაო განათლების
ხარისხის გაუმჯობესებაზე
ზრუნვა, შესაბამისად მივესალ-
მებით იუნესკოს განათლების
პროგრამებს.

ვცდილობთ, ადეკვატურად
და ეფექტურად ვუპასუხოთ
ეკოლოგიურ გამოწვევებსაც
კლიმატური ცვლილებების, ბი-
ომრავალფეროვნების შენარჩუ-
ნებისა და წყლის რესურსების
მართვის თვალსაზრისით. ეს ის
საკვანძო საკითხებია, რომლებ-
საც იუნესკოს სამეცნიერო
პროგრამების ფარგლებში პრი-
ორიტეტულობა ენიჭებათ. მაქვს
პატივი გაცნობოთ, რომ ჩემი
ქვეყანა ელექტროენერჯის 80
პროცენტს ეკოლოგიურად სუფ-
თა და განახლებადი წყაროები-
დან აწარმოებს.

ღირსშესანიშნავი თარიღები,
როგორცაა აღმოსავლეთ ევ-
როპაში დემოკრატიული ცვლი-
ლებების დაწყების 20 წლისთავი
და ადამიანის უფლებათა დაც-
ვის საერთაშორისო დეკლარა-
ციის 60 წლისთავი, რომელიც
გასულ წელს აღინიშნა, კიდევ
ერთხელ მოგვაგონებს პრესისა
და სიტყვის თავისუფლების სა-
დარაჯოზე ყოფნის აუცილებ-
ლობას. დემოკრატიული გარ-
დაქმნის გზაზე მდგარი ჩემი
სამშობლო ამ საკითხებს უდი-
დეს ყურადღებას უთმობს და
მხარს უჭერს კომუნიკაციებისა
და ინფორმაციის პროგრამებს
და ღონისძიებებს. ამასთან,
მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩ-
ნია ორგანიზაციის სამონიტო-
რინგო როლის გაძლიერება ადა-
მიანის უფლებათა დაცვის და
პრესისა და სიტყვის თავისუფ-
ლების დაცვის სფეროში. სამწუ-
ხაროდ, დღესაც კი, ევროპის
დემოკრატიული გარდაქმნების
დაწყებიდან 20 წლის შემდეგ,
ევროპის კონტინენტზე არსე-
ბობს ადგილები, სადაც ადამიან-
ის უფლებების აქტიურ დამც-
ველებსა და ჟურნალისტებს
იტაცებენ და ხოცავენ, სადაც
შიში და მუქარა ბატონობს ადა-
მიანის ფუნდამენტურ უფლე-
ბებსა და თავისუფლებებზე.

მიმაჩნია, რომ იუნესკოს რო-
ლი კონფლიქტებისა და პოსტ-
კონფლიქტური სიტუაციების
მოგვარების სფეროშიც უნდა
გაძლიერდეს, რათა ადამიანის
უფლებები უფრო მეტად იყოს
დაცული. განსაკუთრებულად
უნდა გამახვილდეს ყურადღება
განათლების მშობლიურ ენაზე
მიღების უფლებასა და კულტურ-
ული მემკვიდრეობის დაცვაზე.

2008 წელს რუსეთის თავდას-
ხმისა და ქართული ტერიტორი-
ების შემდგომი ოკუპაციის გამო
საქართველოს მთავრობის
მხრიდან ვერ ხერხდება ხსენე-
ბულ ტერიტორიებზე კულტურ-
ული მემკვიდრეობის სათანა-
დო კონტროლი. ამიტომ კულ-
ტურულ მემკვიდრეობას სისტე-
მატურად ადგება ზიანი. ცხინვა-
ლის რეგიონის ფარგლებს შიგ-
ნით თუ გარეთ განლაგებულ
ძეგლებს რუსეთ-საქართველოს
ომის დროს სერიოზული ზიანი
მიადგა. ზარალი ჯერ კიდევ არ
არის ზუსტად შესწავლილი,
რადგან სიტუაციის ადგილზე
შესწავლა ტერიტორიის შეუღ-
ნევალობის გამო არც ერთ ქარ-
თველ თუ საერთაშორისო ექს-
პერტს არ შეუძლია. ჩვენ რეგუ-
ლარულად ვიღებთ შემამოფოთე-
ბელ ინფორმაციას ქართული
კულტურის ძეგლთა დაზიანე-
ბის, ძარცვისა და შეურაცხყო-
ფის ფაქტებზე. ცხინვალის რე-
გიონსა და აფხაზეთში კულტურ-
ის ძეგლთა (რომლებიც, გარკ-
ვეულწილად, მსოფლიო კუთვ-
ნილებას წარმოადგენს) ხელყო-
ფის ფაქტები წლების მანძილზე
შეიმჩნეოდა. ჩვენ არაერთხელ
მივმართეთ იუნესკოს ექსპერ-
ტებს თხოვნით, დაგვხმარებოდ-
ნენ საკითხის შესწავლაში, უნი-
კალური კულტურის ძეგლების
აღწესწავასა და შეფასებაში,
მაგრამ მსგავსი მისიით ჩემს
ქვეყანაში 1997 წლიდან დღემდე
არავინ ჩამოსულა. რუსული ინ-

ტერვენციის შემდეგ ძეგლთა
დაცვის პრობლემა კიდევ უფრო
მწვავედ დგას.

ჩვენ კიდევ ერთხელ მივმარ-
თავთ იუნესკოს, გამოიჩინოს
მეტი აქტიურობა და საქართვე-
ლოს ოკუპირებულ ტერიტორი-
ებზე ექსპერტთა ჯგუფი მიავ-
ლინოს. წინააღმდეგ შემთხვევა-
ში, ხსენებული ძეგლები და
ღირსშესანიშნაობები კვლავ
დადგება მიზანმიმართული გა-
ნადგურების საფრთხის წინაშე.

ამჟამად ოკუპირებულ ტერი-
ორიებზე მცხოვრები ქართული
მოსახლეობა ვერ ახორციელებს
საქართველოს კონსტიტუციითა
და საერთაშორისო დოკუმენტე-
ბით უზრუნველყოფილ განათ-
ლების უფლებას. ბავშვთა უფ-
ლება - მშობლიურ ენაზე მიი-
ლოს განათლება, სისტემატურ-
ად ირღვევა. ყოველივე ეს არა-
ერთხელ აისახა გაერო-ს გენე-
რალური მდივნისა და გაერო-ს
უშიშროების საბჭოს მრავალ-
რიცხოვან რეზოლუციებში. სამ-
წუხაროდ, საერთაშორისო თა-
ნამეგობრობის ეს მოწოდებები
დღემდე უგულვებელყოფილია.

ბ-ნო პრეზიდენტო!
პატივცემულო დელეგატე-
ბო!

ჩვენ ამ ორგანიზაციის შტაბ-
ბინაში ყოველ ორ წელიწადში
ვიკრიბებით იმ მიზნით, რომ
სადამიანთა გონებაში ომისა და
დაპირისპირების წინააღმდეგ
სიმშვიდის ზღუდე აღვმარ-
თოთ; ვმსჯელობთ იმაზე, თუ
როგორ გავხადოთ ეს ურთიერ-
თდამოკიდებული მსოფლიო
უკეთესი და როგორ დავიცვათ
იუნესკოს კონსტიტუციით გამ-
ყარებული პრინციპები. 2 წლის
წინათ ამ ტრიბუნიდან საქარ-
თველოს დელეგაციის ხელმძღვა-
ნელი საუბრობდა ცხინვალის
რეგიონის ახალგაზრდებს შო-
რის მშვიდობის, როგორც ფსე-
ულობის და პრინციპის დამკ-
ვიდრების მიზნით გატარებულ
ღონისძიებებზე, როცა ამ ახალ-
გაზრდებს პროექტ ASP.net-ში
მონაწილეობის შესაძლებლობა
მიეცათ. დღეს კი მე გატყობი-
ნებთ, რომ ის ორი სკოლა, რომ-
ლებიც იუნესკოს ასოცირებული
სკოლების პროექტში მონაწი-
ლეობის მისაღებად საგანგებოდ
იქნა შერჩეული, დღეს აღარ არ-
სებობს. 2008 წლის აგვისტოში
ისინი საჭაერო და სახმელეთო
თავდასხმების შედეგად ნანგრე-
ვებად და ფერფლად იქცა. დღეს
ამ ორი სკოლის ყველა მოსწავ-
ლე, რეგიონის 30 000 მცხოვ-
რებთან ერთად, დევნილი გახდა.

ვითვებ იმედს, რომ ჩვენ,
პასუხისმგებელი ერების თანა-
მეგობრობა, მსგავს ფაქტებს
აღარ შევეგუებით და ერთობ-
ლივად ვიღვანებთ მშვიდობისა
და ტოლერანტობის უზრუნველ-
საყოფად, ადამიანის უფლებათა
დასაცავად.

სპორტი

ძიუდო შინაა

ბაქოს მსოფლიო თასიდან შინ რვა მედლით დაბრუნებულმა ძიუდოსტმა ნაკრების მწვრთნელმა და ფედერაციის ხელმძღვანელმა, ტრადიციისამებრ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია ჩაატარეს. დამსწრეთა შორის იყვნენ ისინიც, ვინც აზერბაიჯანულ ტატამზე მედლები დაისაკუთრეს.

საქართველოს ნაკრების 17-კაციანი შემადგენლობიდან ბაქოს მსოფლიო თასზე რვა ძიუდოსტმა მიიღწია წარმატებას. ორი ოქრო, ორი ვერცხლი, ოთხი ბრინჯაო და გუნდური მეორე ადგილი - ასეთია ამირან ტოტიკაშვილის სამწყსოს მონაგარი.

ჩემპიონები გახდნენ ზაზა კედელაშვილი (73 კგ.) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა), ვერცხლის მედლები მოიპოვეს დავით კუპრაშვილმა (73 კგ.) და გრიგოლ მამრიკიშვილმა (90 კგ.), ბრინჯაო - ამირან პაპინაშვილმა (60 კგ.), მინდია ბოდაველი (90 კგ.), ლომერ ჟორჯო-



კედელაშვილი შინ გამარჯვებული დაბრუნდა

ლიანმა (100 კგ.) და ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე წონა).

მერთი თვეა, რაც საქართველოს ნაკრებს ვებლმძღვანელობ. მსოფლიო თასზე იმიტომ გამოვედით,

რომ გაგვეყო, რა მდგომარეობაში იყო ნაკრები. უამრავი პრობლემა და ხარვეზი დავინახეთ. სამუშაო ბევრია. მიუხედავად ამისა, რვა მედალი მოვიპოვეთ. 13-მა ძიუდოს-

ტმა სარეიტინგო ქულები დააგროვა, - ამბობს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან ტოტიკაშვილი, - მოვუნოვებ იმ სპორტსმენებს, რომლებიც ცალკე ვარჯიშობენ: ნოემბრის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატი ტარდება და ყველა ვალდებულია გამოვიდეს, რადგან იქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით შეირჩევა შემადგენლობა, რომელმაც მომავალ შეჯიბრებებზე უნდა იასპარეზოს.

გურამ მოდებაძეს, რომელიც წლების მანძილზე ქართულ ძიუდოს ემსახურება და არაერთი ცნობილი სპორტსმენი აღუზრდია, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბუღიანი ბინის შექმნას შეჰპირდა.

მაქამდე რუსთაველი ცხოვრობდა და იქიდან დადიოდა. ახლა კი საშუალება ექნება, უფრო მეტი დრო დაეთმოს თავის შეგირდებს. გურამ მოდებაძე დღემდე ათ საათს მუშაობს და ნამდვილად იმსახურებს ასეთ საჩუქარს. ხვალვე გავყვები და 25 ათასი დოლარის ფასად აარჩევს ბინას მოსკოვის პროსპექტზე.

ნოემბრის მოლოდინი

უკვე რა ხანია, საუბრობენ უფას გამოძიებაზე, რომელიც ჩაწყობილ თამაშებს ეხება. უფას ანტი-კორუფციული კომიტეტის თავჯდომარემ კარლ დონტმა ერთ-ერთ ჰოლანდიურ გამოცემასთან საუბრისას განაცხადა, რომ ფეხბურთის არსებობის ისტორიაში ეს ყველაზე მასშტაბური გამოძიებაა, რომელმაც უამრავი დარღვევა გამოავლინა.

კერძოდ, საუბარია 40 საექვო თამაშზე, რომლებიც ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის (ყოფილი უფას თასის) ეგვლით გაიმართა. უფას საბოლოო დასკვნას ნოემბრის შუა რიცხვებში გამოიტანს და, შესაძლოა, ზოგიერთ კლუბს სერიოზული პრობლემები შეექმნას. საექვო თამაშთა რიცხვში აღმოჩნდა წლებულს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გამართული მატჩი ყაზანის მრუბინსამ და კიევის მდინამოს შორის.

სკანდალში ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის კლუბები არიან გახვეული, მაგრამ ზოგიერთ მატჩში დასავლეთ ევროპის გუნდებიც იღებდნენ მონაწილეობას. კერძოდ, ექვქვეშაა 2006 წლის 24 აგვისტოს ბელგიურ მრუბელარესამ და კვიპროსულ მეთნიკოსს შორის ინტერტოტოს თასზე გამართული მატჩის შედეგი, რომელიც კვიპროსელებმა 5:0 მოიგეს. არსებული მონაცემების თანახმად, ჩინელმა ბუქმეკერებმა ბელგიელთა წაგებაზე დიდი ფსონი მიიღეს.

ჰესკის კლუბის შეცვლა მოუნდა

ინგლისის ნაკრებისა და ბირმინგემის მასტონ ვილასმ ფორვარდი ემილ ჰესკი სერიოზულად დაფიქრდა კლუბის შეცვლაზე. საქმე ის არის, რომ ბირმინგემულ კლუბში ჰესკის არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა აქვს, რის გამოც მან შესაძლოა კაპელოს გუნდში დაეკარგოს ადგილი და მუნდიალის ფინალურ ეტაპზე ვერ გაემგზავროს.

მძალიან მინდა, ინგლისის ნაკრების ნაწილი ვიყო. მიჭირს, როდესაც კლუბში რეგულარულად არ მინწევს თამაში. სწორედ ამაზე ვიფიქრებ, როდესაც კვლავ მასტონ ვილასმ განკარგულებაში ვიქნები. გუნდის შეცვლას ვაპირებ და ამ ნაბიჯის გადადგამამდე კარგად უნდა დაფიქრდე. არ ვიცი, თუ ქვეყნის ჩემპიონატში არ ვითამაშებ, როგორ დავიკევი ვიდრე ადგილს ეროვნულ ნაკრებში? ამ საკითხთან დაკავშირებით კაპელოს ჩემთვის არასოდეს არაფერი უთქვამს, - აცხადებს ჰესკი, რომელმაც შაბათს, უკრაინის ნაკრებთან 0:1 წაგებულ მატჩში, ინგლისელთა რიგებში 72 წუთი დაჰყო მოედანზე.

ვინ რამდენი მიიღო

გერმანიის ნაკრებმა უკვე დაიბევა ადგილი 2010 წლის აფრიკულ მუნდიალზე, გერმანიის საფეხბურთო კავშირი კი ნაკრებს ამ წარმატებისთვის, ჯილდოს სახით, 4 მილიონ ევროს გადაუხდის.

საკვალიფიკაციო მატჩზე გამოძახებულ ყოველ ფეხბურთელს, იმის მიუხედავად, მიიღო თუ არა მან ამ მატჩში მონაწილეობა, 200 ათასი ევრო ერგება.

ასე რომ, ის მოთამაშეები, რომლებიც ათივე შესარჩევ მატჩზე იყვნენ გამოძახებული - ასეთი კი სულ ექვსია (ფილიპ ლამი, ბასტიან შვინშტაიგერი, მარიო გომესი, ტომას შილდშეიკერი, ჰაიკო ვესტერმანი და პიოტრ ტროხოვსკი) - 200-200 ათასს მიიღებენ.

მეკარე ტიმ ვიზე, ვისაც ერთ მატჩშიც არ უთამაშია, უფრო მეტს (180 ათასს) დაიმსახურებს, ვიდრე ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი (8 გამოძახება, 7 მონაწილეობა).

ლამპარდი ფერდინანდს გამოესარჩლა

შაბათს ინგლისის ნაკრები უკრაინაში დამარცხდა. ინგლისელთა კარში გასული ერთადერთი გოლი რიო ფერდინანდის შეცდომას მოჰყვა. მანჩესტერელთა მცველი ჯერ ფაბიო კაპელომ დაიცვა, ახლა კი მას მჩელისსი ლიდერი ფრანკ ლამპარდიც გამოესარჩლა.

მრიოს, ისევე როგორც ჯონ ტერის სტაბილურობამ, ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ისინი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო დაცვით წყვილად აქცია. ეს გადაჭარბებული ნათქვამი არ არის და, დარწმუნებული ვარ, ბევრი დამეთანხმება. ვფიქრობ, უკრაინაში განცდილი მარცხი ერთი ფეხბურთელის ბრალი არ არის. შეცდომა ვის არ მოსვლია, - ამბობს ლამპარდი.

დანია პერაფერი ამხანაგი გამოდბა

ახალგაზრდები ევროპაზე თამაშის შანსს ინარჩუნებენ

თაა დოლიძე

9 და 13 ოქტომბერს 21 წლამდეელთა ეროვნულმა ნაკრებმა ირლანდიასა და დანიაში გასულითი მატჩები გამართა. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს რეალური შანსი აქვს 2011 წელს ევროპის ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა. 9 ოქტომბერს ოთარ გაბელიას შეგირდებმა დუბლინში თანატოლ ახალგაზრდებთან ფრედ - 1:1 ითამაშეს და ცხრილში მეოთხე ადგილზე არიან. მეორე ტაიმის ბოლო წუთებზე ჩვენს ახალგაზრდებს თამაშის მოგება და 3 ქულის აღება შეეძლოთ, თუმცა, მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

პირველი ტაიმი ირლანდიელი ფეხბურთელების სასარგებლოდ დასრულდა. მასპინძლების აქტიურობას 28-ე წუთზე როინ კვასხვაძის კარში გოლი მოჰყვა. ეპიზოდში თავი გამოიჩინა "პლიმუთის" ნახევარმცველმა ალან ჯაჯიმ. მასვე, მთელი

ტაიმის განმავლობაში, კიდევ არაერთხელ შეეძლო ქართველების კარის აღება, თუმცა, ჩვენმა ახალგაზრდებმა მოახერხეს მინიმალური ანგარიშის შენარჩუნება.

მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარმართა. შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა თამაშში გარდატეხა მოახდინეს. ლევან კუტალიას, გიორგი ჯანელიძისა და გიორგი ჭედიას მინდორზე გამოჩენის შემდეგ ქართველები უფრო თავამად ათამაშდნენ და კარში დარტყმების რიცხვაც საგრძნობლად იმატა. თუმცა, გიორგი ივანიშვილისა და ლაშა თოთაძის დარტყმული ბურთები უშედეგო აღმოჩნდა. მატჩის საბოლოო შედეგი 90-ე წუთზე ისევ ივანიშვილმა დააფიქსირა. ბოლო ორი მატჩია, ქართველი თავდამსხმელი შედეგიანობით გამოირჩევა. მატჩის ბოლო წუთზე ივანიშვილსა და კუტალიას ისევ შეეძლოთ თამაშის მოგება. თუმცა ახალგაზრდებმა ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხეს და მატჩში საბო-

ლო ანგარიში - 1:1 დაფიქსირდა.

სპეციალურად დუბლინისთვის ოთარ გაბელიამ ეროვნული ნაკრებიდან ამ მატჩისთვის სამი ფეხბურთელი დაიმატა. ყენია, ვანაძე და ანანიძე ახალგაზრდულ ნაკრებში უკვე მეორედ გამოიძახეს, თუმცა, ანანიძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოედანზე არ გამოჩენილა. "სპარტაკის" ქართველ ლეგიონერს თამაშის დღეს მაღალი სიცხე ჰქონდა და დუბლინიდან პირდაპირ შევდეთში, 19 წლამდეელთა მატჩზე წავიდა. ირლანდიაში ლევან ყენიამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მომდევნო თამაშს დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება. ვანაძე კი 73-ე წუთზე ჯანელიძემ შეცვალა.

გუმინ ახალგაზრდებმა ამხანაგური მატჩი გამართეს დანიის ნაკრებთან და დამარცხდნენ - 1:3.

მატჩის პირველი გოლი ირაკლი კლიმიაშვილმა 27-ე წუთზე გაიტანა. თუმცა, ქართველების სიხარული ზუსტად 20 წამს გაგრძელდა. ნიკოლაი ანგერმა ანგარიში გაათანაბრა -

1:1. მეორე ტაიმის მე-4 წუთზე დანიელებმა ისევ აიღეს როინ კვასხვაძის კარი - 2:1. ამჯერად ნიკი ნელსენიმა მიიღწია მიზანს. საბოლოო ანგარიში ტაიმის მიწურულს სწორედ მან დააფიქსირა - 3:1.

ირლანდიასთან რევანშის აღება ახალგაზრდულ ნაკრებს 14 ნოემბერს თბილისში შეეძლება. ბოლო თამაში კი 18 ნოემბერს შეიციარისთან სტუმრად ჩატარდება. სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით, ქართველებს რეალური შანსი აქვთ, ევროპაზე ითამაშონ.

1. შეიციარია	4	3	0	19:4	9
2. ესტონეთი	4	2	1	15:5	7
3. თურქეთი	3	2	0	18:6	6
4. საქართველო	3	1	1	15:3	4
5. ირლანდია	3	0	2	12:5	2
6. სომხეთი	3	0	0	34:10	0

ბარსელონას პოლიტიკა დაუნუნა

არც ისე დიდი ხნის წინ კატალონიურმა მბარსელონამ ახალი კონტრაქტი გააფორმა ლიონელ მესისთან, რომლის თანახმად, არგენტინელი 2016 წლამდე დარჩება კლუბში. კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომელიც გვამცნოს, რომ მესისი გამოსასყიდი თანხა 250 მილიონი ევროა.

ცხადია, რა მიზანსაც ისახავდა მბარსელონას ხელმძღვანელობა ამ კონტრაქტის გაფორმებით. კატალონიელებს არ სურთ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაკარგვა. მესი მბარსელონას სკოლის აღზრდილია და კატალონიელებს, ალბათ, სურთ, რომ არგენტინელმა ამ კლუბში დაასრულოს კარიერა. ცნობისთვის: არც თავად მესი უარობს ამას.

თუმცა, ეს კონტრაქტი ბევრს არ მოეწონა. პირველად ახალი შეთანხმების წინააღმდეგ ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდამ და მბარსელონაში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ფიგურამ იოჰან კრუიფმა გაილაშქრა.



მესის კონტრაქტი ბევრს არ მოეწონა

მარ მესისი, რა საჭიროა ასეთი გრძელვადიანი კონტრაქტი. ფეხბურთელის შენარჩუნების სხვა ხერხებიც არსებობს. წუთუ არ შეიძლება, კონტრაქტი ყოველი სეზონის ბოლოს გახანგრძლივდეს! ამით ხომ ფეხბურთელსაც ვუტო-

ვებთ მოტივაციას. გრძელვადიანი კონტრაქტი ფეხბურთელებში მოტივაციას კლავს, - თქვა კრუიფმა.

ახლა კი მბარსელონას აკრიტიკებს მსოფლიო ფეხბურთელთა პროფესიული გაერთიანება. მისი აზრით, ასეთი კონტრაქტის გა-

ფორმებით, მბარსელონამ ფიფას კანონებიც კი დაარღვია.

ფიფას მიერ 2001 წელს მიღებული კანონების თანახმად, კონტრაქტის ხანგრძლივობა ერთიდან ხუთ წლამდეა. მესის კი 2016 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი მბარსელონასთან, რაც ფიფას კანონების უხეში დარღვევაა, - აცხადებს მსოფლიო ფეხბურთელთა პროფესიული გაერთიანების პრეზიდენტი ფილიპ პიატი, რომელმაც წერილობით უკვე მიმართა ფიფას.

პიატიმა ის პუნქტიც დაინუნა, რომლის თანახმად, მესისი გამოსყიდვა 250 მილიონ ევროდ შეიძლება: მეს არ შეესაბამება ფიფას მიერ წარმოდგენულ პოლიტიკას. ასეთი ფანტასტიკური თანხების დაწესება უმგავსობაა.

პიატი მიმართავს არა მარტო ფიფას, არამედ ევროკავშირსაც და ითხოვს ამ საქმის განხილვას.

აგერს "გლადბახი" ინვეს

გერმანული მედიის ინფორმაციით, მოხსენებლადბახის მსორუსიასმ ოლივერპულისამ და დანიის ნაკრების 24 წლის მცველის დანიელ აგერის დაქირავება სურს.

მგლადბახის ინტერესი აგერის მიმართ იმდენად სერიოზულია, რომ კლუბის მსტორები შაბათს კოპენჰაგენსაც სტუმრობდნენ, სადაც დანიის ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო შესარჩევი ციკლის მატჩში შვედეთს 1:0 სძლია.

ზეელერის პროგნოზი

ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი უევე ზეელერი მიიჩნევს, რომ მიროსლავ კლოზეს კარიერის ბოლომდე ბუნდესსერებში უფრო მეტი გოლის გატანა შეუძლია, ვიდრე გერდ მიულერმა გაიტანა.

მიულერმა 61 სანაკრებო მატჩში 68 ბურთი შეაგდო და გერმანიის ყველა დროის საუკეთესო მეგოლედ არის მიჩნეული. 31 წლის კლოზემ კი შაბათს რუსეთის წინააღმდეგ სტუმრად 1:0 მოგებულ მატჩში, რაც მისი 92-ე სანაკრებო გამოსვლა იყო, 48-ე გოლი მიითვალა. ახლა მას და მიულერს შორის დგას მხოლოდ იაობი შტრაიხი, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში 55 გოლი აქვს გატანილი.

მსახვებთა შესაძლებელია, რომ კლოზემ, რომელიც კიდევ ორ-სამ წელიწადს თუ ითამაშებს, მიულერის რეკორდი დაამხო. მჯერა, რომ ის ამას გააკეთებს და გამიხარდება კიდევც. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, მიულერის მიღწევას ვერაფერი გააფერმკრთალებს - მან ხომ 68 გოლი 61 მატჩში გაიტანა.მ - ამბობს ზეელერი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 72 მატჩი აქვს გამართული და 43 გოლი გატანილი.

ანრიმ ადებაიორს შეუტია

დღეს გავრცელდა მარსენალის ლეგენდის ტიერი ანრის საინტერესო ინტერვიუ, რომელშიც მან მკაცრად გააკრიტიკა თავისი ყოფილი თანაგუნდელი ემანუელ ადებაიორი: ემანუელი ძალიან კარგი ფეხბურთელია. ის ახლა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. მიუხედავად ამისა, მას არა აქვს უფლება, მოიქცეს ისე, როგორც ის მოიქცა და დაივიწყოს ისინი, ვინც ის ფეხბურთელად აქცია.

მის ამ დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მარსენალს და არსენ ვენგერს. როდესაც არსენ ვენგერმა ადე მონაკოდან მარსენალში გადმოიყვანა, ის თავიდანვე არ ითვლებოდა მონაკოს ძირითად ფეხბურთელად, არსენმა კი ის გაუმინაურა ისეთი გუნდის ძირითადს, როგორც მარსენალია.მ

არსენმა მას ბევრი მოუთმინა. ამ დონის ვარსკვლავი რომ გამხდარიყო, ბევრი თამაშის ჩაგდების მიუხედავად, ის მაინც ენდობოდა მას და მშეთოფეთამ ძირითადში ათამაშებდა, რაც, ჩემი აზრით, ადეს აუცილებლად უნდა ახსოვდეს. მე მბარსელონასში ფეხბურთელი ვარ და ის, რომ გასულ წელს ჩემპიონთა ლიგაზე ტრიუმფს მივალნიე, სწორედ მარსენალისამ და არსენ ვენგერის დამსახურებაა, რადგან სწორედ მათ მატჩის პროფესიონალ ფეხბურთელად, - განაცხადა მარსენალის ლეგენდამ და ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა ტიერი ანრიმ, რომლის ანგარიშზე მარსენალის მისიურით ჩატარებულ 369 თამაშში 226 გოლია.

ოდემინგი ნიგერიაში საუკეთესოდ აღიარეს

მოსკოვის მლოკომოტივისამ და ნიგერიის ნაკრების ფორვარდი პიტერ ოდემინგი ნიგერიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

რუსულ კლუბში მოასპარეზე 28 წლის ფორვარდმა ესპანური მსარაგოსასამ თავდამსხმელ უჩე იკეჩუკუს და თელ-ავივის მპაპოელისმ მეკარე ვენსან ენუემას აჯობა. ეროვნული გუნდის ყოფილი თავდამსხმელი სამსონ სიასია, რომელიც ახლა ქვეყნის 20 წლამდეელთა ნაკრების თავკაცია, წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. ქალთა ეროვნული ნაკრების მეკარემ პრესიოს დედემ კი წლის ნომერ პირველი ქალი მოთამაშის ტიტული მოიპოვა.

ოლიჩი ისვენებს

ხორვატიის ნაკრებისა და მიუნხენის მბაიერნისმ ფორვარდმა ივიცა ოლიჩმა სანაკრებო შეკრებაზე ტრავმა მიიღო და ექვს კვირას ვერ ითამაშებს.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოლიჩი მხოლოდ ორ-სამ კვირას იუქმებდა, მაგრამ დამატებითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ტრავმა უფრო სერიოზულია.

ოლიჩის დაკარგვა მბაიერნისთვის სერიოზული დარტყმაა, მით უმეტეს, რომ მრეკორდმასიტერსმ ტრავმების გამო უკვე გამოაკლდნენ არიენ რობენი და ფრანკ რიბერი.

ზაზა ფაჩულიას მწვრთნელმა ათი ქულა დაუბეგმა

მორიგი წარმატებული მატჩი გამართა ზაზა ფაჩულიამ. NBA-ს რეგულარული სეზონის დაწყებამდე გუნდები საგამოფენო მატჩებს მართავენ და ასე ემზადებიან გადამწყვეტი ბატალიებისთვის. დეტროიტში განცდილი მარცხის შემდეგ მატლანტამ საკუთარ მფილისს არენაზე მშარლოტ ბობკეტსს უმასპინძლა და 107:90 დაამარცხა.

ფაჩულია არც ამჯერად იყო მქორების ძირითად ხუთეულში, თუმცა, თავისი გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ.

ქართველმა ცენტრმა ატლანტელთა გამარჯვებაში 14-ქულიანი წილი დაიღო, რასაც 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაყოლა. მან ამჯერადაც აჯობა თავის კონკურენტს ცენტრის პოზიციაზე - ალ შორფორდს, რომელმაც ისევ სასტარტოში ითამაშა და ისევ ზაზაზე ცუდი სტატისტიკით დატოვა მოედანი. შორფორდმა 19 წუთი გაატარა მოედანზე და 8 ქულას, 6 მოხსნას და თითო პასს, ჩაჭრას და დაფარებას გამოჩინა. ფაჩულიამ კი 14 ქულის შეგროვებას 17 წუთი მოანდომა. ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი მიითვალა, საჯარიმოს ხაზზე კი 7-ჯერ დადგა და 6 სროლა მიზანში გააჩტყა.

მომდევნო საგამოფენო მატჩს ატლანტელები 14 ოქტომბერს მემფისში ჩაატარებენ.

შორფორდის არც ისე დამაჯერებელი თამაში ატლანტელთა გულშემოტყვივისთვის საგანგაშო აღმოჩნდა, თუმცა მსოქუისმ მწვრთნელს მაიკ ვუდსონს მიაჩნია, რომ ალის სუსტი თამაში კომპენსირდება ზაზას კარგი ასპარეზობით და ამ დუეტს ბევრი სიკე-



ფაჩულია მეტოქის შეჩერებას ცდილობს

თის მოტანა შეუძლია გუნდისთვის.

ერთი რამ ზუსტად ვიცი: ალი მოუმატებს. სათამაშო დრო მას და

ზაზას შორის უნდა გადანაწილდეს. თითოეულ მატჩში ზაზა და შორფორდი, სულ მცირე, 20 ქულას მაინც მოგვიტანენ. ჩემი აზ-

ვინ იქნება ცენტრი?

ზურაბ თალაქვაძე

კარგი გუნდი, სოლიდური შემადგენლობა, უცვლელი თავკაცი და არც ერთი ცენტრალური თავდამსხმელი. აი, ასეთი პერსპექტივი ინყებს დამდეგ სეზონის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირზე ასეთი შემადგენლობით გამოვა: კაპიტანი შიო ხეცურიანი, მიხეილ ფანშულიძე, ლაშა ლოსაბერიძე, დავით ბარბაქაძე, გიორგი გაფრინდაშვილი, ბესო ლეჟავა, გიორგი კუჭავა, ზვიად დეკანოსიძე, შალვა კობრეიძე, ზურაბ ბადრიძე, ირაკლი ივანეიშვილი, ირაკლი გაბისონია.

გუნდის მთავარი მწვრთნელია ნუგზარ ჭეიშვილი. როგორც შარშან (და მანამდეც) ასისტენტი იქნება ნუგზარ მარკოიშვილი.

უკანა ხაზისა და მესამე ნომრების მხრივ ყველაფერი მშვენივრადაა. ორი-სამი კაცი მეოთხე ნომერზეც დადგება, მაგრამ ცენტრი? აი, აქ ცოტა უჭირთ სტუდენტებს.

ოპტიმალურად ჭეიშვილის სასტარტო ხუთეული უნდა შეავსონ (უკანა ხაზში) გიორგი გაფრინდაშვილმა, ბესიკ ლეჟავამ, მიხეილ ფანშულიძემ, შიო ხეცურიანმა და დავით ბარბაქაძემ.

სწრაფი და ბევრის ჩამგდება ხუთეულია, რომელშიც ფანშულიძესა და გუნდის კაპიტანს ადვილად შეუძლიათ ერთმანეთისთვის ადგილის გაცვლა. უკანა ხაზში კი, გაფრინდაშვილის სტაბილურობის და ბესოს კარგი კონდიციების შემთხვევაში, ნუგზარ ჭეიშვილს პრობლემა არ უნდა ჰქონდეს.

არც შორი და არც საშუალო სროლა, ძირითადად მშავი სამუშაოს შესრულებითა დაკავებული. შაკო სულ იქ არის, სადაც გუნდს სჭირდება, ესე იგი, მეტოქის ფარზე მიჯრით 2-3 მოხსნას გააკეთებს, ვიდაცას ბურთს აართმევს, ავანტიურულ შესვლას ზუსტი სროლით დაასრულებს და, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მაგრამ იომებს.

ნომინალურ ცენტრად დავით ბარბაქაძე დადგება. მცელურამ სულ ჯანზეა, მაგრამ, თუ არ ვცდები, ასე, სეზონის სტარტიდანვე არსად არ დამდგარა ცენტრად და იქნებ გარკვეული დრო დასჭირდეს ამ პოზიციაზე გასაშინაურებლად. ნომინალური შორეული ტყორცნი ბარბაქაძეს თითქმის ყველა გუნდის წინააღმდეგ შეეძლება მალელების პერიმეტრზე ამოწევა და თანაგუნდელებისთვის სამწამიანში სათარეშო სივრცის შექმნა. სხვა საქმეა, რამდენად ხშირად მიიღებს ის ასეთ დავალებას ჭეიშვილისგან. რომ არ მიიღოს და სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე განწყვიტოს, ბარბაქაძის გამოცდილება მას იმპროვიზაციის უფლებას ნამდვილად აძლევს. უეჭველია, რომ მყველა ვარსკვლავის მატჩისას დათო კვლავ ეცდება სლემ დანქის კონკურსში გამარჯვებას.

ბარბაქაძესავით მდფრინავს მიშა ფანშულიძე, რომელიც სეზონში, სულ მცირე, ორ-სამ ფეერიულ მატჩს ატარებს და, არა მგონია, წელს საშუალო ნორმას მოუკლოს. ფანშულიძეს, გამთამაშებლიდან დანეჭებული, მსუბუქი ფორვარდით დამთავრებული, ოპონენტის ნებისმიერი ნევრის დაჭერა შეუძლია და, როგორც წესი, ის ამას აკურატუ-

რით, ყველა თამაშში ორივე ახლოს იქნება ორმაგ დუბლთან. ალმა საშუალოდ 12-13 ქულა უნდა მოგვიტანოს და დაცვაში თამაშს უმატოს. ზაზასგან თითოეულ თამაშში ათ ქულას მაინც ველი და ალბათ ამდენივე მოხსნას. ჯერჯერობით ორივეს თამაშით კმაყოფილი ვარმ, - განაცხადა მაიკ ვუდსონმა.

იტალიის ჩემპიონატის პირველი ტურის ბოლო მატჩში მანუჩარ მარკოიშვილის მკანტუმ მბენეტონს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 68:72 დამარცხდა.

კანტუელები ბოლო მეოთხედს ორქულიანი უპირატესობით შეხედნენ, თუმცა, უკანასკნელ ათ წუთში მხოლოდ 12 ქულა ჩააგდეს და მატჩი ვერ გადაარჩინეს.

იტალიურ პირველობაზე მარკოიშვილს არცთუ წარმატებული დებიუტი გამოუვიდა. ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 14 წუთი დაჰყო და თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე 5 ჯარიმის გამო გამოეთიშა თამაშს. მან თამაშიდან სამივე ტყორცნა გააცუდა, ხოლო ოთხივე საჯარიმო ზუსტად ისროლა და თამაში 4 ქულითა და 1 პასით დაასრულა. 14 წუთის განმავლობაში მარკოიშვილმა ორჯერ დაკარგა ბურთი, მეტოქეები კი მასზე ორჯერ დაჯარიმდნენ.

18 ოქტომბერს მკანტუმ მეორე ტურის მატჩს გამართავს კრემონაში მკანოლისთან.

ლად, თუმცა, ამავე დროს, ხისტად აკეთებს. 10-12 ქულა, 4-5 მოხსნა, 2-3 პასი და საშუალოდ თითო ჩაჭრა-დაფარება - წესით, ფანშულიძის საშუალო მონაგარი ამაზე უარესი არ უნდა იყოს, ხოლო თუ გუნდს თამაში ნაუვა, ფანშულიძის სტატისტიკაც სოლიდური იქნება.

და მთლიანად თსუ? შევეჩვიეთ ერთ რამეს - გუნდი ყველასთან, აუტსაიდერ-ფავორიტისგან განურჩევლად, ბოლომდე იბრძვის, სადაც მეორე მეთობიდან პრესინგს მეტოქის ნახვერიდანაც თამაშობს, ნუგზარ ჭეიშვილი კი ხშირ როტაციას მიმართავს და ამით თითქმის ყველას აძლევს თამაშსა და დასვენების საშუალებას. ასე იქნება წელსაც, მაგრამ ნომინალური ცენტრის გარეშე გუნდმა იქნებ ძირითადის რამდენიმე ნევრის სათამაშო დრო იძულებით გაზარდოს. აკურატულიობაც უნინდელზე მეტად მოეთხოვება თსუ-ს, რომლის რამდენიმე ნევრი მსაჯებთან საუბრის აგდების ლამის ექსპერტად იქცა.

მოკლედ, კარგი შემადგენლობა, გამოცდილი მთავარი მწვრთნელი თავისი გამოცდილი ასისტენტით და უცვლელი კაპიტანი - ასეთი, თითქოს იოლად პროგნოზირებადი იქნება დუდუ დადიანის ხსოვნისადმი დაგეგმილ ტურნირზე თსუ, მერე კი ვნახოთ, რა და როგორ განვითარდება.

P.S. ყველას ძალიან გავგიხარდა სუპერლიგაში ზურაბ ბადრიძის დაბრუნება. წარმატებას ვუსურვებთ ამ უნიჭიერეს მოთამაშესა და არაჩვეულებრივ პიროვნებას.

რონალდინიოს მორიგი ჭილდო

ამ ფეხბურთელს კარიერის განმავლობაში ყველაფერი აქვს მოგებული, რისი მოგებაც ერთ მოთამაშეს შეუძლია. შესაძლოა, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ფეხბურთის თამაშისას მის განთქმულ ღიმილს ვეღარ ვხედავთ. როდესაც რონალდინიო თამაშობს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მას ფეხბურთი მობეზრდა. უკვე რამდენიმე წელია, ბრაზილიელი ფენომენის გულშემატივარი ვეღარ ხედავს იმ შთაბეჭქდავ თამაშს, რომელსაც რონალდინიომ შეგვაჩვენა. ორშაბათს მონტე კარლოში რონალდინიოს მორიგი ჭილდო გადაეცა. მონაკოს პრინც ალბერ მეორის ხელიდან მან მოქროს ფეხში მიიღო. შეიძლება გაგიკვირდეთ კიდევ, რა დროს რონალდინიოს დაჯილდოებაა, უკვე სამი სეზონია მას გროსის ფასი არაფერი გაუკეთებიაო. მაგრამ მოქროს ფეხში სხვა ტიპის ჭილდოა. ამ ტიტულს მხოლოდ 29 წელს მიღწეულ ფეხბურთელებს გადასცემენ და არა დღევანდელი თამაშისთვის, არამედ წარსული დამსახურებისთვის. პოდა, რა გასაკვირია, რომ მილანის ბრაზილიელი ვარსკვლავი დააჯილდოეს. რონალდინიოსთან ერთად



მონაკოს პრინცმა რონალდინიოს ჭილდო გადასცა

ნომინანტთა შორის იყვნენ ჯან-ლუიჯი ბუფონი, ლუიშ ფიგუ, სტივენ ჯერარდი, რაიან გიგზი, ტიერი ანრი, რაული, ფრანჩესკო ტოტი, დევიდ ბექჰემი და დევიდ ტრეზეგე. მოქროს ფეხის დაჯილდოება 2003 წლიდან იმართება. ეს ტიტული მიღებული აქვთ ფეხბურთელებს: რობერტო ბაჯოს (2003), პაველ ნედვედს (2004), ანდრეი შევჩენკოს (2005), რონალ-

დოს (2006), ალესანდრო დელ პიეროს (2007), რობერტო კარლოსს (2008). დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ რონალდინიომ ჟურნალისტებთან ისაუბრა. პირველ რიგში, გამოეხატა სილოცო ბერლუსკონის, რომელმაც ამას წინათ განაცხადა, რომ სჯერა რონალდინიოს და დარწმუნებულია, რომ გაუწიო მილანში კაკას შეცვლის.

შპრეზიდენტ ბერლუსკონის სიტყვებმა მე ენერჯია შემმატა. ყველაფერს ვიღონებ, რათა მისი იმედი გავამართლო. სიმშვიდეს ვინარჩუნებ. მესმის, რომ სათამაშოდ ბოლომდე არ ვარ მზად. თუ სათადარიგოთა სკამზე ვიქნები, არც ეგ არის პრობლემა. როცა შანსი მომეცემა, ბოლომდე გამოვიყენებ. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ვიღიმი მხოლოდ მაშინ, როცა მინდორზე ვარ და კარგად ვთამაშობ. შევეცდები დავემტკიცო ლეონარდოს, რომ მე ნამდვილი რონალდინიო ვარ და ძირითადად თამაშს ვიმსახურებ. ეს, რაც შეეხება მილანს, თუმცა, ჩემი ამბიცია მხოლოდ საკლუბო მოღვაწეობით არ შემოიფარგლება. მინდა ბრაზილიის ნაკრებში ადგილი დავიბრუნო. ხშირად ვესაუბრები ნაკრების მწვრთნელს კარლოს დუნგას. ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. მშვენივრად მესმის, თუ რატომ არ გამოიძახა ნაკრებში. მილანის ძირითადში ვერ ვხვდები და ნაკრებში ვინ მათამაშებს! თუმცა, დანებებას არ ვაპირებ. ყველაფერს ვიზამ, რომ ნაკრებში ადგილი დავიბრუნო და მუნდიალზეც გავემგზავრო, - ამბობს რონალდინიო.

მისტარ ეისი ივო კარლოვიჩი

ზარაბ თალაქვაძე

ეისების ოსტატთა რაოდენობა მამაკაცთა ჩოგბურთში წლიდან წლამდე მატულობს. 90-იანი წლების დასაწყისში ხორვატი გორან ივანიშვიტი ერთ მატჩში საშუალოდ 20-25 ეისს რომ დააქუხებდა ხოლმე, ფანები და სპეციალისტები აღტაცებას და გაკვირვებას ვერ მალავდნენ. გორანის შედეგებს ჯერ მიუახლოვდნენ, მერე და მერე კი გადაასწრეს ბრიტანელ-კანადელმა გრეგ რუხეციკიმ, ოშმა მარკ ფილიპუსისმა, შვეიცარიელმა მარკ როსემ.



მონაკოს პრინცმა რონალდინიოს ჭილდო გადასცა

დღეს თუ ვინმე ამ მხრივ გამორჩეული, ეს, პირველ რიგში, ხორვატი ივო კარლოვიჩია. ბოლო ორი სეზონია, ივო ჯამბური და საშუალო მაჩვენებლით ყველაზე სჯობის. გამოჩნაკლის არც წლებანდელი სეზონია.

წლებანდელ სეზონში ორმეტრიან ხორვატს 38 მატჩში 773 ეისი, ანუ აულეხელი მონოდება აქვს გაკეთებული, რაც ერთ მატჩში საშუალოდ 20.3-ია.

ივო სხვა სტატისტიკურ ცხრილშიც უპირობო ლიდერია. კერძოდ, ის დამაჯერებლად ლიდერობს საკუთარ პირველ მონოდებაზე მოგებული გათამაშებების პროცენტული მაჩვენებლით (85.5), მეორე ადგილზე მყოფი ამერიკელი სემ ქუერი კი მას მთელი 6 პროცენტით ჩამორჩება.

ხორვატი გოლიათი პირველია საკუთარ მონოდებაზე მოგებული ჯამბური გეიმების მხრივაც (92%), თუმცა ამ სიაში მხოლოდ ერთი პროცენტით უსწრებს კიდევ ერთ ცნობილ მეიესეს, იანკ ენდი როდისს.

შოგი უკანა ხაზიდან იგებს გათამაშებათა უმეტესობას, მე კი ღმერთმა სიმაღლე და ჯანი მომცა და მშვენივრად ვიყენებ ყველაფერს. შეიძლება ჩემი თამაში იოლად პროგნოზირებადია, მაგრამ ახლა ვეღარაფერს შევც-

ვლი, რადგან უკვე ჩამოყალიბებული ჩოგბურთელი ვარ და ექსპერიმენტების არც დრო მაქვს და არც სურვილი, - ამბობს კარლოვიჩი.

მეიესეთა პირველ ათეულს ბოლოს შემოგთავაზებთ. მანამდე კი გეტყვით, რომ არის კიდევ რამდენიმე მოთამაშე, ვისაც მამაკაცთა პრო-ტურზე, სულ მცირე, 15 საერთოულო მატჩი აქვს იყენებენ და აქაც, რა თქმა უნდა, ივოს მისი უძლიერესი მონოდება ეხმარება. ხორვატის მერე ხუთეულში არიან როჯერ ფედერერი, ჩილელი ფერნანდო გონსალესი, ამერიკელი ჯონ ისნერი და ფრანგი ჟო ვილფრედ ცონგა.

ფედერერი კი მომნოდებელთა შორის ერთადერთ რეიტინგში პირველობს. როჯერი მეორე მონოდებაზე გათამაშებათა ყველაზე დიდ რაოდენობას (58%) იგებს და ერთი პროცენტით სჯობის როდისს. მესამე პოზიციაზე რაფა ნადალი და ისნერი არიან (56-56%).

როჯერი უნივერსალია და ყველა სათამაშო კომპონენტში შეუძლია იყოს საუკეთესო. მე კი ეს ძალიან გამიჭირდება. უფრო სწორად, ვერ შევძლებ. ფედერე-

რის მერე ყველაზე უნივერსალურ მოთამაშეებად ენდი მარეი და ხუან მარტინ დელ პოტრო მიმანია, - ამბობს კარლოვიჩი.

მეიესეთა პირველ ათეულს ბოლოს შემოგთავაზებთ. მანამდე კი გეტყვით, რომ არის კიდევ რამდენიმე მოთამაშე, ვისაც მამაკაცთა პრო-ტურზე, სულ მცირე, 15 საერთოულო მატჩი აქვს ჩატარებული და საშუალოდ 10 და მეტ ეისს აწვდის. მათ რიცხვში არიან ამერიკელები მარდი ივში (407, 37, 11) და რობერტ კენდრიკი (226, 22, 10.2), გერმანელი ბენამინ ბეკერი (235, 20, 11.7) და ლუქსემბურგელი ჟილ მიულერი (170, 15, 11.3).

დამაგვირგვინებელ სიამდე კი ივანიშვიტის კომენტარს გთავაზობთ: იქმეს დროს ჩოგბურთი უფრო ლამაზი, თუმცა არანაკლებ ათლეტური იყო. მე, მიხედავ შტინი, ბორის ბეკერი, პიტ სამპრასი, სხვებიც, ერთ მატჩში 15-მდე ეისს უპრობლემოდ ვანვდიდით, მაგრამ სხვა ძლიერი მხარეებიც გვქონდა. ივოს სანინალმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თავის დროზე ფიზიომზა-

დების უკეთესი მწვრთნელი რომ აეყვანა, დღეს გაცილებით უკეთ იმოძრაებდა კორტზე, ექნებოდა უკეთესი კოორდინაცია და ბურთის გრძობა. ამ მხრივ არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემები აქვს დელ პოტროს, რომელიც არმეტრიანი კაცისთვის ძალიან სწრაფად მოძრაობს და იდეალურად ანაწილებს ენერჯიას, - ამთავრებს საუბარს უიმბლდონის ჩემპიონი.

- მეიესეთა პირველი ათეული კი ასა გამოიყურება:**
1. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) - 773 ეისი, 38 მატჩი (საშუალოდ 20.3)
 2. ენდი როდისი (აშშ) - 753, 59 (12.7)
 3. სემ ქუერი (აშშ) - 739, 64 (11.5)
 4. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) - 580, 61 (9.5)
 5. ჯონ ისნერი (აშშ) - 557, 39 (14.2)
 6. ჟო ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) - 540, 56 (9.6)
 7. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) - 481, 59 (8.1)
 8. ენდი მარეი (მოლდოვა) - 481, 65 (7.4)
 9. ჟერემი შარი (საფრანგეთი) - 458, 55 (8.3)
 10. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) - 446, 40 (11.1)

ტოტი ნაკრებში თამაშის ღირსია

გამოცდილი იტალიელი სპეციალისტი, მრომასმ მთავარი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი მიიჩნევს, რომ მისი გუნდის კაპიტანს ფრანჩესკო ტოტის იტალიის ნაკრებში დაბრუნება შეუძლია.

33 წლის ნახევარმცველმა ბოლოს მსკუადრა აძურასმ მისურით 2006 წლის 9 ივლისს ითამაშა, როდესაც გერმანიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იტალიელებმა ფრანგები პენალტების სერიამი დაამარცხეს და მეოთხედ მოიპოვეს პლანეტის უძლიერესი ნაკრების ტიტული.

მეფიქრობ, ყველაფერი იქით მიდის, რომ მალე ფრანჩესკო ნაკრებს დაუბრუნდება. მან ეროვნულ გუნდში ასპარეზობა ჯანმრთელობის გაუარესების გამო შეწყვიტა, მაგრამ, როგორც ჩანს, ტოტის დაბრუნება აქვს განზრახული. თუ ის და ლიპი შემხვედრ ნაბიჯებს გადადგამენ, ნაკრებში მისთვის კარი გაიღება, - ამბობს რანიერი.

ლიპი არ ჩქარობს

მას შემდეგ, რაც იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი წარმატებით დაძლია და ფრიული მუნდიალის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მსკუადრა აძურასმ თავკაცს მარჩელო ლიპის კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, თუმცა, თავად ლიპი არ ჩქარობს და მუნდიალის დასრულებამდე კონტრაქტზე საუბარს არ აპირებს.

ამ ინფორმაციამ უფრო გაამძაფრა გავრცელებული ჭორები, რომ მსოფლიო პირველობის შემდეგ ლიპი ნაკრებს ჩამოშორდება, როგორც ეს 2006 წელს, გერმანიაში მსკუადრა აძურასთან ერთად მუნდიალის მოგების შემდეგ გააკეთა.

ბენიერი ბენაიუნი

ისრაელის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი იოსი ბენაიუნი ინგლისურ მლივერპულსმ არ დატოვებს.

ფეხბურთელის აგენტმა რონენ კაცავიმ მმანჩესტერ სიტშიმ მისი კლიენტის შესაძლო გადასვლის შესახებ გავრცელებული ცნობა უარყო და განაცხადა, რომ ბენაიუნს სამუშაო ადგილის შეცვლაზე არც უფიქრია.

მსოველთვის გამოიჩინენ ინტერესს იმ ფეხბურთელის მიმართ, რომელიც კარგად ასპარეზობს მლივერპულში. დიდი კომპლიმენტია ის, რომ ჩემი კლიენტის შექენა მაღალი კლასის გუნდებს სურთ, მაგრამ იოსი ძალიან ბენიერია მლივერპულში და მომავალ ზაფხულს კლუბთან ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, - დასძენს ბენაიუნის აგენტი.

კანავარო გადარჩა

ტურინის მიუვენტუსისამ და იტალიის ნაკრების ვეტერანი მცველის ფაბიო კანავაროს საქმე დახურულია. შეგახსენებთ: ფეხბურთელს დოპინგის მიღებაში ედებოდა ბრალი.

მფრანჩესკო პლოტინოს ხელმძღვანელობით, ეროვნულმა ანტისადოპინგო ტრიბუნალმა გამოიძიება ჩაატარა. ანტისადოპინგო სინჯების მონაცემების მოსმენის შემდეგ, საქმე დაიხურა. განაყვეტილება როგორც იტალიის ფეხბურთის ფედერაციაზე, ისე ფეხბურთელის კლუბზე - მიუვენტუსზეც ვრცელდება, - ნათქვამია იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში.

“მარიტიმუს” ჰოლანდიელი გაუძღვება

პორტუგალიის მმარიტიმუსმ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მიჩელ ვან დერ გააგმა დაიკავა. მმარიტიმუსმ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კარლოს კარვალალის ორი კვირის წინ დაითხოვა, რის შემდეგაც მის მოვალეობას მანამდე მეორე გუნდთან მომუშავე ვან დერ გააგი ასრულებდა. ახლა კი ჰოლანდიელთან სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმეს.

ლეონარდო ბენვის ხიდზე გაივლის

მიუხედავად იმისა, რომ მილანისმ მესვეურები ერთხმად გაიძახიან, ლეონარდო თანამდებობას არ დატოვებს, თუ იტალიურ მედიას დაუჯერებთ, საქმე მთლად ასე არ არის. სულ მალე შესაძლოა ბრაზილიელი საშუალოს ჩამოაცილონ.

Corriere Dello Sport-ი იუნყება, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონს მროსონერისმ თავკაცის პოსტის დატოვება მოუწევს, თუ მისი გუნდი მომავალ ორ მატჩს ვერ მოიგებს - სერია A-ში მრომასთან და ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის მრეალთან. ამავე გამოცემის ინფორმაციით, ლეონარდოს გათავისუფლების შემთხვევაში, მილანისმ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ფილიპო გალი შესარულებს, ხოლო მომავალი სეზონიდან გუნდს ლუჩანო სპალეტი ჩაუდგება სათავეში. ლეონარდო გასულ ზაფხულს დაინიშნა მილანისმ მწვრთნელად, მას შემდეგ, რაც კლუბი დატოვა კარლო ანჩელოტი.

მიდის მატარებელი

გიზა გარასაშვილი

ექსტრემი ჩოგბურთსაც გადაედო. ერთხელ იყო და, არაბეთის ერთ-ერთი ფეხბურთელი სასტუმროს სახურავზე, შვეულბურთის დასაფრენ მოედანზე, როჯერ ფედერერმა და პიტ სამპრასმა ჩოგბურთი გააჩაღეს. ახლა და, ფრანგმა უო ვილფრედ ცონგამ და ესპანელმა ფერნანდო ვერდასკომ ერთგვარი საჩვენებელი მატჩი ჩატარეს მიმავალ მატარებელზე. მიმავალი კიდევ რბილი ნათქვამია: ფრანგმა და ესპანელმა შანხაის მიდამოებში მსოფლიოს ერთ-ერთ უსწრაფეს მატარებელში მოიმარჯვეს ჩოგბურთი.

მატჩში, სახელწოდებით მსოფლიოს უსწრაფესი ჩოგბურთი, მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი უო ვილფრედ ცონგა საგანგებოდ მოწყობილ მინიკორტზე რეიტინგის მეტყვე ნომერს ფერნანდო ვერდასკოს დაუპირისპირდა. შეხვედრა 7 წუთსა და 20 წამს გაგრძელდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ ხნის განმავლობაში მატარებელს კრეისერული სიჩქარე - 431 კმ/სთ განეფითარებინა და პუდლონგის სადგურ ლონგინიდან პუდლონგის საერთაშორისო აეროპორტამდე 30 კილომეტრი გადაეღობა (30 კილომეტრის გასაველულად 8 წუთი სჭირდება).

მსპეციფიკური შეგრძნებაა, რადგან ბევრად სწრაფად ემოძრაობდით, ვიდრე ბურთი მოწოდებისას ავითარებს სიჩქარეს, - საკუთარ შეგრძნებებს გვიზიარებს ცონგა. - როდესაც ასეთი სიჩქარით მიჰქრის, ნერვიულობა გენყვება.

ექსტრემალური შეგრძნებით ნასიამოვნები დარჩა ფერნანდო ვერდასკოც. მხოლოდ ჩოგბურთის ხარისხი არ მოეწონა.

ჩოგბურთის ისტორიაში პირველი



ვერდასკო და ცონგა შანხაის მატარებელში მოხიბლა

შემთხვევაა, როდესაც არავის გაუმარჯვია, - ოხუჯობის გუნებაზე იყო ესპანელი. - პირველად მომიხდა მატარებლით 400 კმ/საათით შემგზავრა. რაკი არაფერი

დაგვემართა, ესე იგი, სამში არ ყოფილამ. ესპანელი და ფრანგი წლის შემავამებელ ტურნირზე გასვლას აპირებენ. ლონდონის მეგატურნირი 22 ნოემბერს

აიღებს სტარტს. მანამდე კი მსატურსიმი სერიათა შანხაის ტურნირზე უნდა გამოიდონ თავი, რომ ლონდონში წამსვლელ 2009 წლის რვა საუკეთესო ჩოგბურ-

თელს შორის დაიბეგონ ადგილი. იგივე მიზანი აქვთ ამერიკულ ენდი როდისკს, ფრანგ ვილ სიმონს, შვედ რობინ სოდერლინგსა და რუს ნიკოლაი პეკოვს.

ფრანკიტი მეორად გახდა ინდი კარის ჩემპიონი



რბოლებს დაბრუნებულმა ფრანკიტიმ ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა

შოტლანდიელი დაროი ფრანკიტი ზედიზედ მეორედ, ერთი სეზონის გამოტოვებით, ინდი კარის მსოფლიო სერიის ჩემპიონი გახდა. ზედიზედ მეორედ იმიტომ, რომ შარშანდელი სეზონი გააცდინა, მაგრამ, დაბრუნდა თუ არა, მაშინვე ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა.

გამარჯვებულის ვინაობა ბოლო ეტაპზე გაირკვა, რომელსაც მაიაის გარეუბანში შოტლანდიის ოვალურმა ტრეკმა უმასპინძლა. ტიტულისთვის ერთდროულად სამი პილოტი იბრძოდა - ფრანკიტი, ავსტრალიელი რაიან ბრისკო და ახალზელანდიელი სკოტ დიქსონი.

ფრანკიტიმ პოულ პოზიციიდან აიღო სტარტი. მალე მას გაუარა ტიტულის ორივე მოცილებ, რომლებმაც თითქმის მთელი რბოლა (რომლის დროსაც, პირველად ინდი რეისინგ ლიგის ისტორიაში, ტრასაზე პეისკარი არ გამოსულა) უშეღავათო ბრძოლაში გაატარეს. გამოცდილი შოტლანდიელი კი ბოლომდე მათი საკმაოდ ახლოს მისდევდა.

ჰსე რომ, მიდიდა რა მეტოქეთა მანქანების მიერ დატოვებულ ჰაერის გაუხმოებული არეში, ფრანკიტი საწვავის დაზოგვას ახერხებდა, რაც მას რბოლის მინურულს დაეხმარა. ფინიშამდე 9 წრე რჩებოდა, როდესაც ბრისკომ და დიქსონმა ბოქსებს მიამართეს, რათა ავტოები შეეცდოთ, ფრანკიტის კი საწვავის შევსება აღარ დასჭირებია. რა თქმა უნდა, წინ აღარც ტრასაზე დაბრუნებული მეტოქეები გაუშვა და რბოლაც პირველმა დაასრულა.

სანამ ფრანკიტი მერვე წრეზე დაკარგულ ლიდერობას დაიბრუნებდა, დიქსონმა და ბრისკომ რამდენჯერმე გაასწრეს ერთ-

რამდენჯერმე. ფინიშამდე 80 წრით ადრე კი ამ სამეულმა დანარჩენები ერთ წრეზე ჩამოიტოვა.

თითქოს ჩემპიონი ბრისკოსა და დიქსონს შორის ბრძოლაში უნდა გარკვეულიყო, რადგან ფრანკიტი მათ 9 წამით ჩამორჩა. ფინიშამდე 56 წრით ადრე დიქსონმა და ბრისკომ მესამე პიტ სტოპი შეასრულეს, ფრანკიტომ კი ეს 7 წრის შემდეგ გააკეთა. ამკარა გახდა, რომ მას ბოქსში შესვლა აღარ მოუწევდა. სამაგიეროდ, წინ წასულელებს უკვე წრეზე ჩამორჩა.

დიქსონმა 191-ე, ბრისკომ კი 193-ე წრეზე ბოლო პიტსტოპი შეასრულეს. შედეგად, დანიანურად შოტლანდიელი, რომელმაც მეტოქეები 6 წამით ჩამოიტოვა. რა თქმა

უნდა, მათ დანევა სცადეს, მაგრამ სკოტმა მრბოლმა ახლოსაც აღარ გაიკარა.

მარ მჯერა, ეს წარმოუდგენელია, - მხოლოდ ამასლა იმეორებდა კოკპიტიდან ამომძვრალი ჩემპიონი, რომელსაც, როგორც წესი, პირველმა მისმა მეუღლემ, პოლიფუდის ვარსკვლავმა ეშლი ჯადმა მიულოცა.

თავისი პილოტის დამსახურება გუნდის შეფმა ჩიპ განასიმ ახსნა: მწვენს ჩემპიონ-

ნატს ბევრი ბიჭი ჰყავს, ვინც რბოლას მოიგებს, მაგრამ ბევრი არ არის ისეთი, რომელსაც ჩემპიონობა შეუძლია!

საინტერესო სტატისტიკა: ფრანკიტის მანქანის ნომერი 10, შოტლანდიელმა მან ჩიპ განასიმ გუნდს სეზონში მე-10 გამარჯვება მოუპოვა. ეს სეზონის მე-10 თვის მე-10 დღეს მოხდა.

მერაბ ლორთქიფანიძე
<http://formula1ge.blogspot.com/>

კოუხსტაის რბოლის შედეგები

1. დაროი ფრანკიტი (შოტლანდია, განასი)	1:28:28.317
2. რაიან ბრისკო (ავსტრალია, პენსკე)	+ 4.7888
3. სკოტ დიქსონი (ახ. ზელანდია, განასი)	+ 6.0206
4. ტონი კანანი (ბრაზილია, ანდრეტი გრინი)	+ 1 წრე
5. ჰელოუ კამტრუნევიმი (ბრაზილია, პენსკე)	+ 1 წრე
6. პიდეკი მუტო (იაპონია, ანდრეტი გრინი)	+ 2 წრე
7. მარიო მორაეში (ბრაზილია, KV რეისინგი)	+ 2 წრე
8. ალექს ლილი (ინგლისი, ნოემენ/ჰაას/ლენიგანი)	+ 2 წრე
9. ტომას შექტერი (სამსაფრიკა, დრეიერ/მრინბოლდი)	+ 3 წრე
10. ლასტინ უილსონი (ინგლისი, კონი)	+ 3 წრე
11. გრემ რეიპალი (აშშ, ნოემენ/ჰაას/ლენიგანი)	+ 3 წრე
12. ედ კარპენტერი (აშშ, ვიეტი)	+ 3 წრე
13. რაიან ჰანტერ-რეი (აშშ, ფოიტი)	+ 4 წრე
14. რაფაელ მატოსი (ბრაზილია, ლუქსო დრაგონი)	+ 4 წრე
15. მაიკ კონვეი (ინგლისი, დრეიერ/მრინბოლდი)	+ 5 წრე
16. ეიჯი ვიზო (ვენესუელა, HVM რეისინგი)	+ 6 წრე
17. მილკა დუნო (ვენესუელა, დრეიერ/მრინბოლდი)	+ 6 წრე
18. სარა ფიშერი (აშშ, ფიშერი)	+ 13 წრე
19. დანიკა პატრიკი (აშშ, ანდრეტი ფრინი)	+ 15 წრე

რბოლა ვერ დაასრულეს:
რობერტ დოორნბოსი (ჰოლანდია, HVM რეისინგი) 166 წრე
დენ უელდონი (ინგლისი, პანტერი) 150 წრე
მარკო ანდრეტი (აშშ, ანდრეტი გრინი) 58 წრე
ჟაკ ლაზიე (აშშ, კურბ/ავაჯანიან ტიმ 3G) 23 წრე

საბოლოო კლასიფიკაცია:
1. დაროი ფრანკიტი - 616 (5 მოგება, 5 პოული); 2. სკოტ დიქსონი - 605 (5, 1); 3. რაიან ბრისკო - 604 (3, 4); 4. ჰელოუ კამტრუნევიმი - 433 (2, 1); 5. დანიკა პატრიკი - 393 (0, 0); 6. ტონი კანანი - 386 (0, 0); 7. გრემ რეიპალი - 385 (0, 2); 8. მარკო ანდრეტი - 380 (0, 0); 9. ჯასტინ უილსონი - 354 (1, 0); 10. დენ უელდონი - 354 (0, 0); 11. პიდეკი მუტო - 353 (0, 0); 12. ედ კარპენტერი - 321 (0, 0); 13. რაფაელ მატოსი - 312 (0, 0); 14. მარიო მორაეში - 304 (0, 0); 15. რაიან ჰანტერ-რეი - 298 (0, 0); 16. რობერტ დოორნბოსი - 283 (0, 0); 17. მაიკ კონვეი - 261 (0, 0); 18. ეიჯი ვიზო - 248 (0, 0); 19. უილ პაუერი (ავსტრალია, პენსკე) - 215 (1, 0)

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი

მოქრავი საოპერაციო ბლოკით

ს ი ა ხ ლ ე !

მნიშვნელოვანი ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის III კვარტალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მე-3 კვარტლის დაზუსტებული გეგმით ხარჯის განხორციელების უზღვევით გამოხატულია გააჩნდა 6 437 309 ლარის ოდენობის თანხაზე, (მათ შორის 2 000 520 სარეზერვო ფონდიდან), რომელსაც თავის მხრივ ემატებოდა წინა კვარტლებში აუთენტიკური რესურსის სახით დარჩენილი 1 813 067.50 ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 838 665.20 ლარი). შესაბამისად ჯამური თანხა შეადგენდა 8 250 376.50 ლარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 2 839 185.20). შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვებისათვის ფაქტობრივად განუღებია ხარჯმა შეადგინა 5 857 556.40 (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 2 378 669.70 ლარი).

წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული გეგმის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით 2009 წლის III კვარტალში დადებულია 61 ხელშეკრულება. მათ შორის, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით 58, ხოლო ფასთა კოტირების საშუალებით 3 ხელშეკრულება.

ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 158 618.16 ლარი.

ფასთა კოტირების საშუალებით დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 26 149.92 ლარი.

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 30 სექტემბრის სატენდერო განცხადებებში (სასამართლო შენობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სახელმწიფო შესყიდვა) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები, კერძოდ:

- 1. პირველ პუნქტს დაემატოს მე-5 ლოტი;

მე-5 ლოტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ლოტი N5 - გორში გორის რაიონული სასამართლოს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები”.

სატენდერო კომისია

I. ქ. თბილისის N166 საჯარო სკოლა (მისამართი: ქ. თბილისი, ა.წერეთლის გამზირი N42) აცხადებს კონკურსს სკოლის ბალანსზე რიცხული, შენობის: 86კვ.მ. ფართი 1 სართულზე - სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისათვის; 322 კვ.მ და 142 კვ.მ ფართი დარბაზები - სპორტული და ქორეოგრაფიული წრეების ფუნქციონირებისათვის;

20 კვ.მ. მუსიკალური სტუდიის ფუნქციონირებისათვის; 312 კვ.მ. სტადიონი სპორტული წრეების ფუნქციონირებისათვის.

იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე. იჯარის ვადა: 3 წელი. საკონკურსო პირობებია: ეკოლოგიური, სანიტარულ - ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა; საიჯარო ფართში ელექტროენერჯის, წყლის განმხორციელება, დაკავებული ფართის მიხედვით ზამთრის პერიოდში პროპორციულად გაზის საფასურის გადახდა; კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1.განცხადება; 2.ამონაწერი სამშენებლო რეესტრიდან; 3.გადამხდელის მონაწილეობის ასლი; 4.საქმიანობის მოკლე დახასიათება. 2009 წლის 14 ნოემბერს 11:00 საათამდე; წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 16 ნოემბერს 13:00 საათზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 42, 166-ე საჯარო სკოლა.

ბანცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა ატარებს კონკურსს დავით აღმაშენებლის ქუჩის N6-ის მიმდებარე სკვერში 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა და ზესტაფონის მკვიდრ გია აბესაძის პატივსაცემად მემორიალის არქიტექტურული პროექტისა და მკვეთის დამზადებაზე.

- 1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

- 2. კონკურსში მონაწილე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის მონაწილის ასლი, იურიდიულმა პირებმა კი რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, e-mail-ი)

- 3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ მემორიალის არქიტექტურულ პროექტთან მკვეთთან, ელექტრონულ ვერსიისთან და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში (II სართული, ოთახი N29) 2009 წლის 1 დეკემბრამდე.

- 4. კონკურსში წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს.

- 5. კონკურსში გამარჯვებული არქიტექტურული პროექტის ავტორი მიიღებს ფულად ჯილდოს 1250 ლარს.

- 6. დანერგვითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: 5-30-64, 895904049, 893175150, 855104333 ან მომართეთ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში II სართული, ოთახები: N24 და N29.

- 7. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება საკონკურსო განცხადების მიღების დასრულებიდან ორი კვირის ვადაში 2009 წლის 15 დეკემბრამდე.

განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ინფორმაცია თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2009 წელს შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სია:

ლოტი	მიმწოდებელი	საქონლის დასახელება	დაფინანსების წყარო
1	შპს „ჯეოსტილი“	სხვადასხვა სახის ავეჯი	სახელმწიფო ბიუჯეტი
6			
7			
15			
2	შპს „ბ.ბ. ჯგუფი“	სხვადასხვა სახის ავეჯი	სახელმწიფო ბიუჯეტი
5			
9			
10			
4	შპს „ოფის 1“	სხვადასხვა სახის ავეჯი	სახელმწიფო ბიუჯეტი
8	შპს „ვიპიჯი“		
12	შპს „მაშო+“		
13	ი.მ. „კახაბერ მარგიშვილი“		
14			

ლოტი	მიმწოდებელი	საქონლის დასახელება	დაფინანსების წყარო
1	შპს „აბგ და კომპანია“	მიმდინარე და კაპიტალური სამშენებლო - სარემონტო	სახელმწიფო ბიუჯეტი
2	შპს „მნათობი“		
3	შპს „მშენებელი“		
5			

ლოტი	მიმწოდებელი	საქონლის დასახელება	დაფინანსების წყარო
6	შპს „კანოდუსი“	სამუშაოები	
4			
7			
8	შპს „მშენებელი 21+“		

ლოტი	მიმწოდებელი	საქონლის დასახელება	დაფინანსების წყარო
1	შპს „ელ+“	სხვადასხვა სახის სახანძრო, სამთო - სამაშველო აღჭურვილობა	სახელმწიფო ბიუჯეტი
2	შპს „მოგზაური“		
6	შპს „კავკასია პლიუსი“		
7			
8			

ლოტი	მიმწოდებელი	საქონლის დასახელება	დაფინანსების წყარო
1	შპს „მშენებელი“	მიმდინარე და კაპიტალური სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები	სახელმწიფო ბიუჯეტი
8			
2	შპს „აბგ და კომპანია“		
3			
7			
4	შპს „ახალი მთვარე“		
5	შპს „მშენებელი 21+“		
6	შპს „მაზგი“		



საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება ბრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის ბაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

რეგიონალური სატყეო სამმართველო	სატყეო უბანი	ყოფილი სატყეო	კვარტლის №	საქონლი ფართობი კა	საექსპლუატაციო ფართობი კა	მერქნაირი სახეობა	ჭრის სახე	მათ შორის მერქნაირი სახეობების მიხედვით		სამასალე მერქნის გათვალისწინება %	სამასალე	საშუაშე	საწიხის ფასი	ბე	ბიჯი
								სალოცენზიო ფართობზე სულ მისაქცეული მარაგი	სალოცენზიო ფართობზე მისაქცეული ლიცენზიის მარაგი						
შიდა ქართლი	გორი	ბოშური	25-28,34-37, 40-44,53,54	2568	125.7	ფიჭვი, ნაძვი	ნებიო-ამორჩეული	13280	11950	78	9330	2620	105 645	21 129	10 564
სულ				2568	125.7			13280	11950		9330	2620			

ლიცენზიის ბაზისი (ორბანოს) დასახელება	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ჭანტუიის ქ.№12 ტელ: 99 11 29; 92 91 73 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 14 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით 5 საათამდე. აუქციონი ჩატარდება ა/წ 13 ნოემბერს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში.
ბიჯი შეადგენს საწიხის ფასის 10%-ს	
სალიცენზიო მოსაკრებელი	ლიცენზიის მიძიებული პირი ვალდებულია გადაიხადოს თითოეულ ობიექტზე სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069
ლიცენზიის ბაზისი და მოსაკრებლის მართვითიან პერიოდს ვარაუდობს "გმ"-ს ბაზისის მართვითიან	აბუ“-ს გადახდის ანგარიში: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000
ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად წარსარგებლო ლიცენზიის მისაღებად ვარაუდობს ლიცენზიის მართვითიან	განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე (სასურველი ლოტის მითითებით). ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. ბ) ბიუჯეტური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე) აბუ“-ს გადახდის ქვითარი.
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაიქირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარეგულაციო ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარეგულაციო ლიცენზიის გაცემის საწიხის ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთგვარად გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი

სალიცენზიო პირობები და სარეგულაციო სახის განსაზღვრული მოთხოვნები:

1. ლიცენზიანტი განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა;
2. დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია უკანონო ტყითსარგებლობისაგან;
3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;
4. შეიმუშაოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი ინფორმაცია წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა;
5. ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 12 თვისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა, რომელსაც უნდა ერთვოდეს მოკლე ანოტაცია. ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ საქმიანობა ტყის დაცვის მიზნით და არ დაიშვება ლიცენზიანტის მიერ ხე-ტყის მოპოვება და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება;
6. უზრუნველყოს დამტკიცებული ტყით სარგებლობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;
7. ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას, ლიცენზიის გასასხვისებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა იქვედეს ტყის მასივის (კორუმის) დანაწევრებას და არ უნდა არღვედეს სატყეო კვარტლების საზღვრებს;
8. ლიცენზიის ან ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას, ტყით სარგებლობის ახალი გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა და ლიცენზიის შემქმნელმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ფართობის გადაბარება მიღება-ჩაბარების აქტით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის გადაბარებამდე ლიცენზიის გამსხვისებელმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექციას უნდა წარუდგინოს ანგარიში გაწეული სამუშაოების შესახებ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის გამსხვისებელს;
9. ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში ლიცენზიანტი წარმოადგენს ახალ ტყით სარგებლობის გეგმას (გეგმებს). ახალი ტყით სარგებლობის გეგმის (გეგმების) დამტკიცებამდე ლიცენზიით განსაზღვრულ ფართობზე ხე-ტყის დამზადება და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა არ დაიშვება;
10. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყოს ტყეკაფები;
11. მასალები შესათანხმებლად წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულება – სატყეო დეპარტამენტის რეგიონულ სატყეო სამმართველოში და ჭრები განახორციელოს ტყეკაფის მასალების მასთან შეთანხმებისა და ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
12. ტყეკაფის ათვისების ვადად განსაზღვრება კალენდრული პერიოდი ტყეკაფის ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს ორი წელიწადი;
13. მომდევნო ტყეკაფების ათვისება დასაშვებია მხოლოდ წინა პერიოდში გამოყოფილი ტყეკაფის ათვისებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ათვისების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის შემდეგ;
14. უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება;
15. ტყეში სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენოს ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღები მანქანა-იარაღები და ტექნოლოგიები;
16. უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები;
17. ლიცენზიის ბიომრავალფეროვნება საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაზიანებებისაგან;
18. არ დაუშვას უცხო (ინგლისური) სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და/ან გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქმიანობის დროს;
19. საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ეკოსისტემის ფრაგმენტაცია, ტყეების ბუნებრივი იერსახის ცვლილება, სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარბება;
20. არ დაუშვას გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება;
21. სამასალე ხე-ტყის პირველი გადაამუშავება (პროცესი, რომლის შედეგადაც მიიღება შემდეგი პროდუქცია – ხე-ტყის გადამამუშავების შედეგად მიღებული ფიცარი (ჩამოგანული ან ჩამოუგანავი), ძელი, ძელაკი, შალი, სპარტეკე ფრიზა, დაპობილი სათობი შუშა, შავი ნაშალი დეტალი) სრულად განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე;
22. უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებები;
23. დაიცვას წყალდაცვითი ზოლის რეჟიმი;
24. უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეების ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიანტის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა;
25. გაატაროს ტყის მოვლის, მკვებელობის და ხანძრისაგან დაცვისა და ტყის აღდგენის ღონისძიებები, რის უზრუნველსაყოფადაც განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მკვებელობის და ხანძრისაგან დაცვის მიზნით უნდა დაინიშნოს სახეობრივად გაურკვევლების ან/და ტყის ხანძრის შემთხვევაში ინფორმაცია ოპერატიულად მიწოდების საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს;
26. მკვანარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას ლიცენზიანტი ვალდებულია დაასაბუთოს მათი გამოყენების აუცილებლობა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს დასახული ღონისძიებების გეგმა. მკვანარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული და დოკუმენტირებული;
27. პესტიციდების ნარჩენები არ შეიძლება განთავსდეს ოქნის სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;
28. ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას (სამასალე და საშუაშე მერქნის გარდა) უსასიფლოდ მოაგროვოს ხელ-კენკროვანები, თხილი, სოკო, სამკურნალო მკვანარეები და ტყის სხვა პროდუქტები, გარდა „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებისა, ასევე ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის მოსახლეობის ყოფნას ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სხვა ტრადიციული ღონისძიებების განხორციელებას;
29. ისტორიული, რელიგიური და კულტურული ობიექტების გამოყენების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, უზრუნველყოს სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მათი დაზიანებისაგან დაცვა;
30. ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას;
31. ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადატანა ანძები და სხვა) განხორციელებასა და ფუნქციონირებას;
32. ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოებული სატყეო-სამეურნეო საქმიანობაში დასაქმებული პერსონალის არანაკლებ 80%-ს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი მოსახლეობა (იმ ტერიტორიული ერთეულის – მუნიციპალიტეტების, რომელსაც მოიცავს ლიცენზია);
33. მომუშავე პერსონალთან (ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან) გააფორმოს შრომითი ან/და მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები სამუშაოს აღწერილობით, დაქირავებულთა საცხოვრებელი ადგილის მითითებით. შემოწმებისას, მოთხოვნისთანავე წარადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემოწმებულს;
34. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის ან დადგენილ ვადაზე ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ლიცენზიით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით უბრუნდება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს.

გამარჯვებულის ბაზისის მართვის პირობები გამარჯვებულად ჩათვლება ლიცენზიის ის მიძიებული, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის მოთხოვნებსა და პირობებს და რომელიც ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

გამარჯვებულის მიერ სააუქციონე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მასზე გავრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსაჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, მსაჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საფინანსო-სარევიზიო სამმართველოს მრჩეველის (I კატეგორია) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად - ერთი საშტატო ერთეული. (თანამდებობრივი სარგო - 1500 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდეგ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირობებში, რომლებიც შეიქმნა განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატის ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე. საკონკურსო-სატესტაციო კომისია კონკურსში მონაწილე კანდიდატს აფასებს და განაწესებს იღებს მსაჯარო იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-სატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის N100 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საფინანსო-სარევიზიო სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

სამინისტროში მოსამსახურეთა მიერ ფინანსების მიზნობრივი განკარგვის, მატერიალურ ფასეულობათა და სხვა საშუალებების დაცვის და მათი ეფექტური გამოყენების მიზნით საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური და თემატური შემოწმება;

სამინისტროში საბიუჯეტო სახსრების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების კონტროლი;

სამინისტროში არასაბიუჯეტო სახსრების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების კონტროლი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- აუდიტის სტანდარტების ცოდნა და პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

სპეციალური მოთხოვნები:

- წერილობითი ანგარიშების მომზადების, წარდგენისა და რეკომენდაციების შემუშავების უნარი;
- დადგენილ ვადებში მუშაობის უნარი;
- სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესისადმი მდგრადობა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა.

საკონკურსო თემატიკა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი;
- მსახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონი;
- მბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ” საქართველოს კანონი;
- “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;
- “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 17 მარტის N63 ბრძანება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სანყის ეტაპზე უნდა წარმოადგინონ აქტუალური CV და სამოტივაციო წერილი. (სამოტივაციო წერილში დასაბუთებული უნდა იყოს კანდიდატის ცოდნის და გამოცდილების შესაბამისობა გამოცხადებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან).

შერჩეულმა კანდიდატებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-სატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღებში მისამართზე: თბილისი, გორგასლის 24.

კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-სატესტაციო კომისია.

კონკურსი ტარდება გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.

ყოველ კანდიდატს, საკონკურსო-სატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, წერილობით ეცნობება მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები მსაჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

კონკურსის თაობაზე ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-სატესტაციო კომისიის სამდივნოში მისამართზე: **თბილისი, გორგასლის 24; ტელ.: 40-50-67, 40-50-17 (საქართველოს მთავარი პროკურატურის მოქალაქეთა მისაღები).**

აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: **www.justice.gov.ge** (იუსტიციის სამინისტრო), **www.csb.gov.ge** (საჯარო სამსახურის ბიურო) და **www.jobs.gov.ge** (დასაქმება საჯარო სამსახურის სისტემაში).

საჯარო სამსახურის ბიურო

ბანკსადაბა ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს ტენდერს 2009 წლის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორგანოგადანერგვითა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით იმუნოსუპრესული მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: ტაკროლიმუსი 1 მგ N50 - 100 კოლოფი;

II ლოტი: ტაკროლიმუსი 0,5 მგ N50 - 50 კოლოფი;

III ლოტი: მიკოფენოლატ მოფეტილი 250 მგ. N100 - 300 კოლოფი.

3. საქონლის მიწოდების ვადა - შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არა უგვიანეს 2009 წლის 10 დეკემბრისა. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს პირობით: **INCOTERMS-2000, DDP** - თბილისი, უზნაძის ქ. N76/1.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლება 2009 წლის 3 ნოემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდინან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 4 ნოემბერს, 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. **დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.**

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. იურიდიული პირისათვის:
 - ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);
 - ბ) სამენარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);
 - გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
- 6.2 ფიზიკური პირისათვის:
 - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის - სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარად ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს **სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე**, შეუძლიათ გაცენონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

14. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შეცვლას **არ ექვემდებარება.**

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 932294, ალექსანდრე მამალაძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახები N 412, N413.

სატენდერო კომისია

საქმე №2/4332-08



დ ა შ ს წ რ ე ბ ე ლ ი
ბ ა დ ა წ ყ მ ვ ი ტ ი ლ ე ბ ა

სამართლის სახეობა

20 ივლისი, 2009 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართალის
კოლეგიის მოსამართლე ლილი ტყეშელაშვილი

მოსარჩელე: სს „ბაზის ბანკი“;

წარმომადგენელი: დავით აბაბუაძე

მოპასუხე: გენრიეტა სამსონია, გიორგი ყიფშიძე, ტარიელ ახვლედიანი;

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ქონების რეალიზაცია.

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „ბაზის ბანკის“ სარჩელი მოპასუხეების გენრიეტა სამსონიას, გიორგი ყიფშიძისა და ტარიელ ახვლედიანის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულებისა და ქონების რეალიზაციის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2008 წლის 23 ოქტომბერს სასარჩელი განცხადებით მიმართა სს „ბაზისბანკმა“ მოპასუხეების გენრიეტა სამსონიას, გიორგი ყიფშიძისა და ტარიელ ახვლედიანის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულებისა და ქონების რეალიზაციის მოთხოვნით. მოსარჩელემ განმარტა, რომ სს „ბაზის ბანკს“ და მოპასუხე გიორგი ყიფშიძეს შორის 2006 წლის 30 მაისს დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 30 000 აშშ დოლარის ოდენობით. 2008 წლის 30 მაისსვე აღნიშნულის სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა გენრიეტა სამსონიას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი მსესხებელი გიორგი ყიფშიძე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა 2008 წლის 30 იანვარს გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ტარიელ ახვლედიანმა იკისრა ვალდებულება გიორგი ყიფშიძის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი პასუხისმგებობის შესახებ. მოსარჩელის განმარტებით, როგორც გიორგი ყიფშიძის მიერ ასევე ტარიელ ახვლედიანის მიერ დაირღვა ხელშეკრულებითა და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, რაზედაც მათ გაეგზავნათ შეტყობინება და გაფრთხილებულ იქნენ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეთათვის სოლიდარულად დაკისრება ბანკის მიერ არსებული ვალდებულებისა 12 037.30 აშშ დოლარის ოდენობით. რომლის გადახდევინებაც ითხოვა გენრიეტა სამსონიას საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციით.

მოპასუხეებს გადაეგზავნა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე: გენრიეტა სამსონიასა და გიორგი ყიფშიძეს – თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №8, ბინა №19; ხოლო ტარიელ ახვლედიანს – თბილისი, ყიფშიძის ქ. №8, ბინა №26. აღნიშნული მისამართიდან ტარიელ ახვლედიანის გზავნილი დაბრუნდა ჩაუბარებელი სახით, იმაზე მითითებულ მისამართზე აღნიშნული პიროვნება არ ცხოვრობს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 აპრილის განჩინებით მოპასუხე ტარიელ ახვლედიანს საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა სს „ბაზის ბანკის“ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების თაობაზე და გაფრთხილებულ იქნა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის შედეგებზე.

2009 წლის 02 ივნისს სს „ბაზის ბანკის“ წარმომადგენლის დავით აბაბუაძის მიერ წარმოდგენილი იქნა 2009 წლის 01 ივნისის გაზეთი „სიტყვა და საქმე“, რომელშიც გამოქვეყნებული იქნა საჯარო შეტყობინება. მოპასუხე ტარიელ ახვლედიანისათვის სს „ბაზის ბანკის“ სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარებულად ჩაითვა 2009 წლის 09 ივნისს.

სასამართლოს მიანიჭა, რომ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგი წინაპირობები:

შესაგებლის წარმოდგენისათვის სასამართლომ მოპასუხეებს გიორგი ყიფშიძესა და გენრიეტა სამსონიას დაუნიშნა 10 დღის ვადა, რომლის ათვლაც დაიწყო მოპასუხე გიორგი ყიფშიძისათვის 2008 წლის 03 დეკემბერს (როგორც მომდევნო დღიდან), მოპასუხე გენრიეტა სამსონიასათვის 16 ივნისს (როგორც მომდევნო დღიდან). ხოლო მოპასუხე ტარიელ ახვლედიანს სასამართლო შესაგებლის წარმოსადგენად დაუნიშნა 07 დღის ვადა, რომლის ათვლაც დაიწყო 2009 წლის 10 ივნისიდან (როგორც მომდევნო დღიდან). სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში მოპასუხეებს შესაგებელი არ წარმოუდგენიათ. მათ არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზი (მიზეზები) უცნობებიათ სასამართლოსათვის და არც საპროცესო ვადის გაგრძელება უთხოვიათ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელი მოთხოვნას.

სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალია მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დადგენილია, რომ სს „ბაზის ბანკს“ და მოპასუხე გიორგი ყიფშიძეს შორის 2006 წლის 30 მაისს დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მსესხებელზე გაიცა კრედიტი 30 000 აშშ დოლარის ოდენობით. 2008 წლის 30 მაისსვე აღნიშნულის სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა გენრიეტა სამსონიას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი მსესხებელი გიორგი ყიფშიძე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა 2008 წლის 30 იანვარს გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ტარიელ ახვლედიანმა იკისრა ვალდებულება გიორგი ყიფშიძის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი პასუხისმგებობის შესახებ. ასევე დადგენილია, რომ გიორგი ყიფშიძისა და ტარიელ ახვლედიანის მიერ დაირღვა ხელშეკრულებითა და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, რაზედაც მათ გაეგზავნათ შეტყობინება და გაფრთხილებულ

იქნენ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე. მოპასუხეთა დავალიანება სს „ბაზის ბანკის“ მიმართ შეადგენს 12 037.30 აშშ დოლარს.

სასამართლოს მიანიჭა, რომ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელი მოთხოვნას, კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცესო განაკვეთი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის თანახმად თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის თანახმად თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაყვეთოს მოთხოვნა იძულებით აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუნარიობა აშკარაა.

ამასთანავე, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძველი, აღნიშნულიდან გამომდინარე სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ, იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 70-78-ე, 201-ე, 232-ე, 233-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით და

ბ ა დ ა წ ყ მ ვ ი ტ ა :

1. სს „ბაზის ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. მოპასუხეებს გიორგი ყიფშიძესა და ტარიელ ახვლედიანს სს „ბაზის ბანკის“ სასარგებლოდ დაკისროს 12 037.25 (თორმეტი ათას ოცდახუთმეტი აშშ დოლარი და ოცდახუთი ცენტი) აშშ დოლარის ოდენობით.
3. დავალიანების დაფარვა მოხდეს გენრიეტა სამსონიას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის გზით, მდებარე: ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №8, ბინა №19. (მიწის რეგისტრაციის №1/14/11/42/5, ნაკვეთის №42/5, ნაკვეთის ფართობი 723 კვ.მ)
4. მოპასუხეებს დაეკისროთ მოსარჩელე სს „ბაზის ბანკის“ სასარგებლოდ 361.12 (სამას სამოცდაერთი აშშ დოლარი და თორმეტი ცენტი) აშშ დოლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.
5. მოპასუხეებს გიორგი ყიფშიძესა და ტარიელ ახვლედიანს დაეკისროთ მოსარჩელე სს „ბაზის ბანკის“ მიერ გადახდილი იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული საფასური 481.49 (ოთხას ოთხმოცდაერთი აშშ დოლარი და ორმოცდაცხრა ცენტი) აშშ დოლარის გადახდა.
6. მოპასუხეს 05 (ხუთი) დღის ვადაში გადაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი.
7. განემარტოს მოპასუხეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მდებარე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6). საჩივრის შემოტანის გზით, მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი – ავტომობილები
დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები

ლოტი №	ავტომობილის ტიპი	რაოდენობა	ძირითადი მახასიათებლები
1	მსუბუქი ავტომობილი	10	ძრავის მოცულობა 1800 სმ ³ სიმძლავრე არანაკლებ 150ც.ძ. მექანიკური სინქარეთა კოლოფი (მოჭიდების დისკო, მოჭიდების ქურო და მქნევარა), წინა ამძრავი თვლები

ფიზიკურმა პირებმა:

- ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (სასამართლოდან);

როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირებმა:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2009 წლის 14 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის 14 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ, სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების ქვეპანელი. ტელ. 41-90-10

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო
ანგ. №7771313 სს „თბილისი ბანკი“, კოდი 220101850 ს/კ 205190513

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, ავტომობილები
პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 4 ნოემბრის 10 საათიდან 2009 წლის 4 ნოემბრის 14 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

იურიდიულმა პირებმა:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (საჯარო რეესტრის ერთნაირი საგენტოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (სასამართლოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (საგადასახადო ინსპექციიდან);

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მითხვენები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართსა და ტელეფონზე.

სატენდერო კომისია



შპს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატა"

საქართველო, ქ. თბილისი 0108, გახვლედიანის №23
ტელ/ფაქსი: (+995 32) 92 14 96
ელ-ფოსტა: tsspalata@gmail.com
www.tsspalata.ge

გადაწყვეტილება

გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი

5 ოქტომბერი 2009 წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის" არბიტრმა ლევან ქარუმიძემ, ერთპიროვნულად განვიხილე სს „ბაზისბანკის“ განცხადება მოპასუხეების ირაკლი ჭეიშვილის და ტარიელ ჭეიშვილის მიმართ 2009 წლის 26 ოქტომბრის საქმის არსებითი განხილვის შესახებ უწყების საჯაროდ გავრცელების გზით

აღწერილობითი ნაწილი

2009 წლის 5 ოქტომბერს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს "თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატა"-ში შემოტანილ იქნა განცხადება, პრეტენდენტ სს „ბაზისბანკის“ მიერ, მოპასუხეების ირაკლი ჭეიშვილის და ტარიელ ჭეიშვილის წინააღმდეგ დავალიანების გადახდის ვალდებულების დაკისრების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე. საქმეში მითითებულ მისამართებზე ვერ ხერხდება მოპასუხეებისთვის უწყების ჩაბარება, მიუხედავად არაერთი მცდელობისა.

სამოტივაციო ნაწილი

გავეცანი რა პრეტენდენტ სს „ბაზისბანკის“ განცხადებას მოპასუხეების ირაკლი ჭეიშვილის და ტარიელ ჭეიშვილის მიმართ 2009 წლის 26 ოქტომბრის საქმის არსებითი განხილვის შესახებ უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ ვთვლი, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის“ დებულების მე-II მუხლით დადგენილი წესით ვერ ხერხდება მოპასუხეებს უწყება, მითითებულ მისამართებზე, მიუხედავად არაერთი მცდელობისა.

სარეზოლუციო ნაწილი

ვიხელმძღვანელებ რა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატის“ დებულების II.18-ე მუხლით:

გ ა დ ა ვ წ ე ვ ი ტ ზ

1. დაკმაყოფილდეს სს „ბაზისბანკის“ განცხადება.
2. მოპასუხეებს ირაკლი ჭეიშვილს და ტარიელ ჭეიშვილს ეცნობოთ 2009 წლის 26 ოქტომბრის საქმის არსებითი განხილვის შესახებ უწყების საჯაროდ გავრცელების გზით. (მის: ქ. თბილისი, გიორგი ახვლედიანის №23, მე-3 სართული).
3. შეტყობინება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება გახეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. გადაწყვეტილების გამოქვეყნება უზრუნველყოს პრეტენდენტმა.
4. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.
5. საჯარო შეტყობინებისათვის არსებული ხარჯის გადახდა ეკისრება პრეტენდენტ სს „ბაზისბანკს“.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს „თბილისის საარბიტრაჟო-სამომრიგებლო პალატაში“ (გ. ახვლედიანის №23, მე-3 სართული).

მუდმივმოქმედი არბიტრაჟის:
თბილისის
საარბიტრაჟო-სამომრიგებლო
პალატის არბიტრი:

/ლ. ქარუმიძე/

13 D - ექიმი გერიატრი

- უმაღლესი განათლება მედიცინის სფეროში
- ლიცენზია სპეციალობაში "შინაგანი მედიცინა", ნებართვა სუბსპეციალობაში "გერონტოლოგია-გერიატრია"
- 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება გერონტოლოგია-გერიატრიის სფეროში
- კომუნიკაციის კარგი უნარი
- ანალიტიკური აზროვნების უნარი
- დაძაბულ რეჟიმში მუშაობის უნარი
- გუნდური მუშაობის უნარი და გამოცდილება
- შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა

ექსპერტთა ძირითადი მოვალეობები

ექსპერტთა ძირითადი მოვალეობაა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუდმივ წევრებთან ერთად მონიტორინგის მისიებში (ვიზიტებში) მონაწილეობა - შემომგების ჩატარება და ანგარიშგება.

მონიტორინგი განხორციელდება ისეთ დანესებულებებში, როგორცაა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლაციონები, წინასწარი პატიმრობის ადგილები (იუსტიციის სამინისტრო), სასჯელაღსრულების დანესებულებები, სამხედრო ჰაუპტვახტები, ბავშვთა სახლები, ფსიქიატრიული დანესებულებები, ხანდაზმულთა სახლები და სხვა დახურული ტიპის ინსტიტუტებში.

კონკურსის პირობები:

კონკურსი ეწყობა იმ პირობებში, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს. პირველ ეტაპზე მოხდება წარდგენილი დოკუმენტების შეფასება და შეფასების საფუძველზე შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტის პოზიციის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კანდიდატთა ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით. ამ კონკურსის ფარგლებში მონაწილე ექსპერტი არ შეიძლება იყოს პო-

ლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

კონკურსს ატარებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტთა შესარჩევი საკონკურსო კომისია.

ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, კომისია ადგენს ოქმს და საქართველოს სახალხო დამცველს რეკომენდაციის სახით წარუდგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტთა კანდიდატურებს. რეკომენდაციების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველი იღებს გადაწყვეტილებას კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატებთან შრომითი ხელშეკრულების დადების ან შრომითი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საკონკურსო კომისიას უნდა წარმოუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. წერილობითი განცხადება საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე;
2. სამოტივაციო წერილი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად);
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. კონკურსანტს საკუთარი სურვილით შეუძლია წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაცია (სერთიფიკატები, დიპლომები, რეკომენდაციები და ა.შ)

განცხადებაში სახალხო დამცველის სახელზე, მიუთითეთ ის ვაკანსია (კოდი და სათაური), რომელზეც გასურთ განაცხადის შემოტანა!

დოკუმენტები მიიღება **2009 წლის 5 ნოემბრის 18:00 საათამდე** წერილობით (საერთო კონკურსში) (10.00-დან 18.00 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა) მისამართზე: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბილისი 0105, მაჩაბლის 11; ტელ: (+995 32) 92 24 79; საკონტაქტო პირი: თამარ შვანგირაძე - მობ: (+995 95) 340051;

სტაჟირება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესახულაბა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური აცხადებს სტაჟორების შესარჩევ ღია კონკურსს. კონკურსზე დაიშვებიან 35 წლამდე ასაკის შესაბამისი განათლების მქონე პირები შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

